პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საბჭოთა ელჩის ნოტა საფრანგეთის მთავრობას.
- ინგლისის ლორდთა პალატამ „პრინციპიალურად“ მოიწონა ომის „აკრძალვის“ პროექტი.
- გერმანიის პრესა შახტის საქმის შესახებ.
- ცვლილებები იაპონიის მთავრობაში.
- საფრანგეთ-ავსტრიის სავაჭრო შეთანხმება.
- გერმანიის პრესა პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ.
- არჩევნების შედეგი ირაკში.
- აეროპლანის დაღუპვა აფრიკაში.—მოკლულია 5 მგზავრი.

პარასკევი, 18 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 113 (2156)

საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკა სოფლად

უკვე დაწყებულია წინასწარი მუშაობა 1928-29 საბიუჯეტო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გასატარებლად. ამ კამპანიას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მისი წარმატება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ფინანსიური განმტკიცებისა და საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვის დარგში. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, როგორც ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძლავრ იარაღს სოფლად.

სწორედ ამ მხრითაა საყურადღებო საკავშირო ცაკის უკანასკნელი (მესამე) სესიის დადგენილება 1928-29 წ. სას.-სამეურნეო გადასახადის შესახებ. თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა საგადასახადო სისტემას საფუძვლად უდევს საშემოსავლო პროგრესიული პრინციპი, რომლის მიხედვით გადასახადის ტვირთის მთავარი სიმძიმე შეძლებულ ელემენტებს აწევთ, ხოლო ნაკლებად შეძლებულ მეურნეობათა დაბეგვრა თვალსაჩინოდ შემცირებულია და ღარიბი მეურნეობანი კი სავსებით განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გამოარკვია, ეს პრინციპი ნაწილობრივ ირღვეოდა და ალაგ-ალაგ ვერ ტარდებოდა კულაკების მაქსიმალური დაბეგვრა. ეს გარემოება მიეწერება არა მარტო იმას, რომ აქა-იქ არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული წინედ მოქმედ სას.-სამ. გადასახადის კანონის სისწორით გამოყენების საქმე, არამედ იმითაც, რომ თვით ამ კანონში ზედმიწევნით არ იყო გათვალისწინებული მეურნეობათა მოსავლიანობის სრული აღრიცხვის შესაძლებლობა. აქედან—კულაკები ყოველ ხრიკებს მიმართავდენ დაეფარათ თავისი შემოსავლის ნამდვილი რაოდენობა, რომ შეემსუბუქებიათ საგადასახადო ტვირთი, და ამ მიზანს რამდენიმედ კიდეც აღწევდენ.

ახალმა კანონმა ეს ნაკლი მოსპო და შემოიღო წესი, რომელმაც სრულიად უნდა გამოაშკარავოს მეურნეობის შემოსავლიანობა. კანონით ამასთან გაძლიერებულია საგადასახადო პროგრესია შემოსავლის კვალობაზე. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ნორმებით აღრიცხულ შემოსავალზე შემოღებულია დანარიცხი მძლავრ მეურნეობებისათვის ვინაიდან ერთი და იგივე საგადასახადო ობიექტია. (მაგ., დესეტინა მიწა, ერთი სული საქონელი და სხ.) ასეთ მეურნეობებში უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვინემ ღარიბ მეურნეობებში. გარდა ამისა, ისეთი მეურნეობებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით განირჩევიან თავისი შეძლებულობით, მით უმეტეს, ისეთებისათვის, რომელთაც გააჩნიათ არაშრომითი შემოსავალი, შემოღებულია შემოსავლის აღრიცხვის საქმისადმი ინდივიდუალური მიდგომის წესი. ყველაფერი ეს იძლევა შესაძლებლობას სრულად იქნეს აღრიცხული კულაკურ მეურნეობის შემოსავალი.

ამავე დროს ხორბლეულ კულტურებზე გადასახადის ნორმა რამდენიმედ შემცირებულია, სამაგიეროდ გადიდებულია საგადასახადო ნორმები არამიწათმოქმედო შემოსავალზე. ეს ცვლილებებიც მიზნად ისახავს კულაკობის დაბეგვრის გაძლიერებას, რამდენადაც უმთავრესად სწორედ კულაკებს მოეპოვებათ ამგვარი შემოსავალი.

კულაკობის გაძლიერებულმა დაბეგვრამ შესაძლებელი გახადა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამის გადიდება (საბჭოთა კავშირის მასშტაბით ის 1927-28 წ. უდრიდა 230 მილ. მან., 1928-29 წლისათვის კი დაწესებულია 400 მილიონი მან.) ამავე დროს ღარიბი გლეხობა სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან საშუალო გლეხობის ხელმოკლე ნაწილისათვის დაკლებულია გადასახადი, ხოლო დანარჩენ საშუალო გლეხობის დაბეგვრის რაოდენობა უცვლელი რჩება. ეს იმ დროს, როცა ამ გლეხობის შემოსავალი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

როგორც ვხედავთ, ახალ საგადასახადო კანონში კლასობრივი პრინციპი მტკიცედ ბოლომდეა გატარებული. ერთი მხრით ის ყოველნაირად იცავს გლეხობის ინტერესებს, მეორე მხრივ მიმართულია კულაკურ, კაპიტალისტურ ელემენტების გაძლიერების წინააღმდეგ სოფლად და მიზნად ისახავს მათ შეზღუდვას.

ეხლა მთავარია ამ კანონის სისწორით და გადაუხვევლად გატარება. პირველ რიგში აუცილებელია შემოსავლის აღრიცხვის საქმეს მიექცეს უდიდესი ყურადღება, ვინაიდან ამაზე დამოკიდებული კლასობრივი ხაზის დაცვა და საგადასახადო კამპანიის წარმატება. ამ მხრივ ფინაპარატთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ საბჭოებს და აღმასკომებს, რომელთაც ეკისრებათ კამპანიის ხელმძღვანელობა და გატარება. კერძოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - საარიცხვო კომისიების შერჩევას. ამ კომისიებში უნდა მოხვდენ ისეთი პირები, რომელნიც კარგად იქნებიან გაცნობილი თვით გლეხურ მეურნეობას და ამასთან გამოიჩენენ საჭირო სიმტკიცეს და უნარს საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში. ზედმეტია ლაპარაკი, რომ საგადასახადო კამპანიის ჩატარება, მაზე ხელმძღვანელობის და კონტროლის გაწევა ადგილობრივ პარტორგანიზაციების ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

მოსამზადებელი მუშაობა, როგორც ვსთქვით, უკვე დაწყებულია. ამ თავითვე საჭიროა ფართე ახსნა-განმარტებების წარმოება, რათა გლეხობა ახალ კანონის შინაარსს კარგად გაეცნოს. უნდა იქნეს მიღებული ჯეროვანი ორგანიზაციული ღონისძიებანი აღრიცხვის საქმის დროიანად შესრულებისათვის და მთელი კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის გამოცემულ კანონის საფუძველზე. კერძოდ ამაში სასიცოცხლოდ უნდა იყვნენ დაინტერესებული ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, ვინაიდან გადასახადის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტებში შედის და ერთი მთავარი წყაროთაგანია თემების სამეურნეო-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი

პარტიის მე-15 ყრილობამ ახალი კვალი გაავლო იმ პოლიტიკაში, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ სოფლად. გაუკეთა რა ჯამი წინა პერიოდის შედეგებს და დასახა რა პერსპექტივები, ყრილობამ გარკვეულად აღნიშნა, რომ სოციალისტური მშენებლობა ეხლა უკვე არსებულ მიღწევათა ნიადაგზე უნდა სწარმოებდეს ენერგიულად და ფართოდ. ის უნდა განვითარდეს არა მარტო სამრეწველო ცენტრებში, არამედ სოფლადაც. ის გარემოება, რომ ჩვენ სოფელში მნიშვნელოვნად დავეუფლეთ საქონლის ბრუნვის პროცესს, ეხლა გვაძლევს საშუალებას სერიოზულად და დიდი მასშტაბით პრაქტიკულად დავსვათ მასიური საწარმოო კოოპერაციის განვითარების საკითხი.

მთელი პარტიული პოლიტიკა ყრილობის შემდეგ ტარდება პარტიული მასების შეგნების, მათი მობილიზაციის დროშის ქვეშ.

შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც იზრდება სოფლად, სულ უფრო და უფრო მეტად ტარდება ცხოვრებაში და მომავალშიაც განხორციელდება კოოპერაციაში შეკავშირებული ღარიბ-საშუალო მასების დარაზმვით, რომლებიც ჩაბმული არიან კოლექტიური სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

დაბრკოლებებმა პურის დამზადების საქმეში გაამწვავა კლასიური ბრძოლა კულაკთან და კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახადა კულაკთან წარმატებით ბრძოლის ამოცანა ეკონომიური მშენებლობის დარგში. უფრო მეტი მნიშვნელობა ღარიბ-საშუალო მასების კოოპერაციაში შეკავშირების საქმეში ენიჭება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობას. თუ რამდენად ფართო გასაქანი უნდა მოიპოვოს სოციალისტურმა მშენებლობამ სოფლად უახლოეს წლებში, ეს ნათლად სჩანს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ცირკულიარული წერილიდან, რომელიც გუშინ იყო გამოქვეყნებული.

„ცენტრალურმა კომიტეტმა,—ვკითხულობთ ამ ცირკულიარულ წერილში,—უდიდესი ამოცანა წამოაყენა: უახლოესი სამ-ოთხი წლის განმავლობაში თავისუფალ მიწებზე უნდა შეიქმნას მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ახალი ქსელი, რომლებშიაც პურის პროდუქცია მიაღწევს ას მილიონ ფუთამდე წელიწადში. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მუშათა კლასის, და პირველ რიგში ჩვენი პარტიის საორგანიზაციო ძალების მობილიზაციას. საბჭოთა მეურნეობების გაფართოებული ქსელი საუკეთესო საშუალება იქნება გლეხის მეურნეობის მოსაწყობად კოოპერატიულ-კოლექტიურ საფუძველზე“.

თავისთავად ცხადია, რომ ღარიბთა და საშუალო ელემენტების საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირება მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენს.

სოფლის ღარიბ და საშუალო ფენებში კოლექტიური მეურნეობისადმი ლტოლვის, მისწრაფების აღძვრა და ჩამოყალიბება, დახმარების აღმოჩენა კოლექტიურ მეურნეობათა შექმნის საქმეში, ახალ საწარმოო გაერთიანებათა სიმტკიცის უზრუნველყოფა, ცრუკოოპერატივების მიერ სახელმწიფო თანხების და კრედიტების უყაირათოდ ხარჯვის, გაფლანგვის შესაძლებლობის აღმოფხვრა, საწარმოო კოოპერაციის რაციონალური, სისტემატიური და საქმიანი ხელმძღვანელობა—აჰა ჩვენს წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები. ამ ამოცანების გადაწყვეტა გვიხდება თანამედროვე საბჭოთა სოფლის ურთულეს პირობებში რომელშიაც ძალთა ურთიერთობა თავს იჩენს უფრო ფარული სახით და უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება მათი სისწორით აღრიცხვა და მათზე გეგმიანი ზემოქმედება, ვიდრე ქალაქად. პირობების სირთულეს ზედ ერთვის გამოცდილების დაქსაქსულობა და მისი გაერთიანების შეუძლებლობა, და აგრეთვე ის, რომ არ არსებობს ყველა ორგანოების პარტიული მუშაობის გაკეთილების ცოტად თუ ბევრად სწორი დაკავშირება საბჭოთა სოფლის საზოგადოებრივობასთან. პარალელიზმი, გამოცდილების გაუზიარებლობა, არაჯანსაღი კონკურენცია, კუსტარნიკობა, პარტიკულარიზმი,—ყველა ეს უარყოფითი მოვლენები, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს სოფლად, უეჭველად უშლის ხელს და მომავალშიაც შეუშლის ლენინის კოოპერატიული გეგმის პრაქტიკულად განხორციელებას.

ეხლა უკვე მომწიფდა ის საჭიროება, რომ განზოგადოებული იქნას გამოცდილება კოოპერატიული მშენებლობის სხვადასხვა სფეროების კონტროლის დარგში; ამასთანავე შეთანხმებულ უნდა იქნეს სოფლის იმ საბჭოთა საზოგადოებრივობის სხვადასხვა ორგანიზაციების მოქმედება, რომელიც სწყვეტს საწარმოო კოოპერაციის განვითარების ამოცანას. ეხლა უკვე გამოაშკარავდა ის, რომ აუცილებელია შეიქმნას მომწესრიგებელი ორგანოები პარტიულ აპარატში, რომლებსაც თვალწინ ექნებათ ახალი სოფლის მშენებლობის მთელი სურათი, რომლებიც გააერთიანებენ ყველა საბჭოთა კოოპერატიული ორგანიზაციების მოძრაობას სოფლად და დასახავენ ახალ ღონისძიებებს სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმის გასაადვილებლად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გუშინ გამოქვეყნებული წერილი წინადადებას იძლევა ყველა ეროვნული კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან და საოლქოკომიტეტებთან შეიქმნას სოფლად მუშაობის განყოფილებანი, როგორც ისეთი ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა გადასწყვიტონ ზემოხსენებული ამოცანები. წერილი გვაძლევს ამ ორგანიზაციის პოლიტიკურ მოტივაციას და ახალი განყოფილებების ფუნქციების დეტალურ კონკრეტულ ახსნა-განმარტებას. აუცილებელია, რომ პარტიამ მეტად სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ ღონისძიებას. აუცილებელია, მეტად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ პარტიის ამ ღონისძიებას.

სოფლად მუშაობის განყოფილებანი პარტიულ კომიტეტებთან არსებობდა წინეთაც, პროლეტარული დიქტატურის პირველ ფაზაშიაც, როცა აღმშენებლობითი-ეკონომიური ამოცანები ჯერ კიდევ არ შეადგენდა ყურადღების უმთავრეს საგანს. სოფლად მუშაობის ეხლანდელ განყოფილებებს სულ სხვაგვარი კონკრეტული ხასიათის, შინაარსის მუშაობის წარმოება მოუხდება. ვინაიდან ეს განყოფილებანი არსდება გაფართოებული სააღმშენებლო მუშაობის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა კლასიური ბრძოლა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ სწარმოებს სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა საწარმოო კოოპერაციაში მასიურად შეკავშირების პირობებში.

აქედან გამომდინარეობს ამ მუშაობის დიდი მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება, აქედან გამომდინარეობს ამ განყოფილებათა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. ცეკას წერილი ამიტომ იძლევა წინადადებას, რომ „სოფლად მუშაობის განყოფილებაში მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, გამგეთ გამოყოფილი უნდა იქნან პარტკომების პასუხისმგებელი ინსტრუქტორები და საკმაოდ კვალიფიციური და ავტორიტეტული მუშაკები“.

თავისთავად ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ისეთ ხალხზე, რომელიც იცნობს არა მარტო წარსული დროის, წარსული წლების საბჭოთა სოფელს, არამედ დღევანდელი დღის საბჭოთა სოფელსაც: დრო არ ყოფილა გაყინული ერთ წერტილზე, მუშაობის პირობები, მდგომარეობა და ურთიერთობა ძალიან შეიცვალა, სწორი აღრიცხვა იმ პროცესებისა, რომლებიც სოფლად ხდება, დაჟინებით მოითხოვს, რომ ამ განყოფილებებში შერჩეულ იქნან ისეთი ამხანაგები, რომლებიც საკმაოდ ერკვევიან სოფლად მუშაობის თანამედროვე პირობებში.

სოფლად მუშაობის განყოფილებებმა ხელი უნდა შეუწყონ სოფლის უფრო სერიოზულად შესწავლას, პრაქტიკული გამოცდილების ზედმიწევნით დასაბუთებულ განზოგადოებას, სწორი კონკრეტული ზომების შემუშავებას და გლეხების საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების განხორციელებას.

სოფლის ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკური ცხოვრებას პარტიული ორგანიზაციები ამ ახალი ორგანოების საშუალებით გაუწევენ უფრო ფხიზელ და ზედმიწევნით კონტროლს, ვიდრე ეს დღემდე იყო.

რაც უფრო კარგად იქნება დაყენებული ეს მუშაობა, მით უფრო ნაკლებად ექნება ადგილი შეცდომებს და ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევებს სოფლად.

პარტიული და საბჭოთა მუშაობა სოფლად სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან მუშაობად ხდება სოციალისტური მშენებლობის თვალსაზრისით.

ამიტომ ახალი ღონისძიებანი, რომლებიც ახორციელებს მე-15 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებს, უეჭველად გატარდება ცხოვრებაში, თუ ადგილობრივი ამ დიდი საქმისათვის სათანადო პასუხისმგებლობას და პოლიტიკური მნიშვნელობის შეგნებას იქნება ადგილი.

„პრავდა“, 17 მაისი.

„მუდმივი მშვიდობიანობის“ პროექტის გარშემო

ძლიერდება კამპანია ბელა კუნის დასაცავად

ვარშავაში დაშალეს რუს თეთრგვარდიელ ახალგაზრდობის კავშირი

ჩან-ძო-ლინის ჯარები განაგრძობენ უკან დახევას

ლაყბობა „მუდმივი ზავის“ შესახებ

ლონდონი, 16 მაისი. ლორდთა პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც პრინციპალურად იწონებს კელოგის წინადადებას „ომის ამკრძალავ“ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

მუსოლინის პასუხი კელოგს

რომი, 16 მაისი. მუსოლინიმ გაუგზავნა კელოგს პასუხი „ომის ამკრძალავი“ ხელშეკრულების დადების წინადადებაზე. დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ წინააღმდეგ ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის პასუხისა, იტალიის პასუხი არსებითად არ ეხება კელოგის წინადადებას. იტალიის პასუხის ასეთ ხასიათს იმით ხსნიან, რომ მუსოლინის არ სურს აშკარად გამოვიდეს საფრანგეთის თვალსაზრისის წინააღმდეგ იმ მომენტში, როდესაც იტალია და საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებენ სხვადასხვა კოლონიალური საკითხების გარშემო. (ადს).

ლონდონი 16 მაისი, ლორდთა პალატის მიერ მიღებული რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კელოგის წინადადების ძირითად პრინციპებს „ომის ამკრძალავი“ ხელშეკრულების შესახებ, შეიტანა ლორდმა რიდინგმა; მან აღნიშნა, რომ კელოგის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულება „ინგლისს უტოვებს თავდაცვის უფლებას და მოქმედების თავისუფლებას იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ხელისმომწერი რომელიმე სახელმწიფო დაარღვევს მას“. მთავრობის სახელით გამოვიდა ლორდი კეშენდენი. რადგან ინგლისის მთავრობის აზრით კელოგის წინადადებას აკლია ერთგვარი გარკვეულობა, ლორდმა კეშენდენმა სთხოვა რიდინგს რომ არ მოეთხოვა თავის წინადადების ოფიციალურად მიღება. მიუხედავად ამისა, რიდინგის რეზოლიუცია ლორდთა პალატამ ერთხმად მიიღო. (ადს).

სამხრეთელების შეტევა პეკინზე

ჩან-ძო-ლინის ჯარების უკან დახევა

პეკინი, 16 მაისი. გაზეთების ცნობით, ჩრდილოელთა ჯარების საერთო დახევა გრძელდება. გენერალი ჩჟანინ-გუი. ჩრდილოელთა ჯარების სამხედრო მიმოსვლის უფროსი ტიანძინში გაემგზავრა, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს უკანდახეული ჯარების გადაყვანას. პეკინში სასწრაფო ზომებს იღებენ ქალაქის დასაცავად; ქალაქის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ ქუჩაში გამოსვლა ღამის 10 საათის შემდეგ. (ადს).

უხანის ჯგუფის პოზიცია

პეკინი, 16 მაისი. რეიტერი იუწყება, რომ ცზინანში მომხდარი ამბების შემდეგ უხანის ჯგუფი, — რომელშიაც ხელმძღვანელ როლს თამაშობს გენერალი ტან შენ-ში, უფრო მშვიდობიანად არის განწყობილი ნანკინის მთავრობის მიმართ და მზად არის მიიღოს მონაწილეობა შეტევაში ჩრდილოელთა წინააღმდეგ. (ადს).

შანსის ჯარების ნადავლი

შანხაი, 16 მაისი. შეუმოწმებელი ცნობებით, შანსის ჯარებმა ბაოდინის აღების დროს 13 მაისს ხელთ იგდეს 14.000 ტყვე, 61 ზარბაზანი, 64 ტყვიისმფრქვეველი, 9.000 ვინტოვკა და 100 ყუთი ამუნიცია. (ადს).

ჩენ-იუ-ნის დასჯა სიკვდილით

შანხაი, 16 მაისი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, იქ სიკვდილით დასაჯეს კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწე ჩენ იუ-ნი. (ადს).

ჩინური გაზეთების დახურვა

შანხაი, 16 მაისი. „ჩაინა ტაიმს“-ის ცნობით, იაპონიის ხელისუფლებამ ცინდაოში დახურა ჩინური გაზეთები (ადს).

კომუნისტების დახვრეტა

შანხაი, 16 მაისი. „ინდუსტრიელ კომერშელ ნიუს“-ის ცნობით, რამოდენიმე ასეული კომუნისტი შეიჭრა ხაიფუნში და ციხიდან განთავისუფლა კომუნისტები. 21 კაცი კიდევ დააპატიმრეს და დახვრიტეს. (ადს).

პეკინის მთავრობა მხარს დაუჭერს ნანკინის მთავრობის მიმართვას

პეკინი, 16 მაისი. პეკინის ამერიკული ორგანო „პეკინ ლიდერ“ იუწყება, რომ პეკინის მთავრობამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს ნანკინის მთავრობის მიმართვას ერთა ლიგისადმი, რათა უკანასკნელს ექნეს ამ საკითხის გარჩევის ფორმალური შესაძლებლობა. (ადს).

იაპონელთა საქონლის კონფისკაცია

შანხაი, 16 მაისი. „შუნ-ბაო“-ს ცნობით, შანხაის კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობს ანტი - იაპონურ ბოიკოტს, სხვადასხვა მაღაზიებში კონფისკაცია უყო იაპონელების საქონელს.

ქალაქ ნინბოში ჩამორთმეულ იქნა იაპონელების აუარებელი საქონელი. (ადს).

დეპეშა კულიჯს

ვაშინგტონი, 16 მაისი. თეთრ სახლში მიღებულია დეპეშა, რომელიც ნანკინის მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტან-პენ-კაიმ გაუგზავნა კულიჯს; დეპეშა შეეხება იაპონელთა მოქმედებას შანდუნში. კულიჯმა დეპეშა კელოგს გაუგზავნა. (ადს).

მუკდენელები ფულს დაბეჭდენ

პეკინი, 16 მაისი. რეიტერის სააგენტო მუკდენიდან იუწყება: მუკდენის ხელისუფლება აპირებს 30 მილიონი დოლარის შინაური სესხის გამოშვებას და ზოგიერთი გადასახადის გადიდებას. (ადს).

ბელა კუნის დასაცავად

მიმართვა მსოფლიო ინტელიგენციისადმი

მოსკოვი, 17 მაისი. გაიხსნა სამეცნიერო მუშაკთა სექციის ცენტრალური საბჭოს პლენუმი. მუშაობის დაწყების წინ პლენუმმა დაადგინა მიმართოს მსოფლიო ინტელიგენციას პროტესტით ავსტრიის ხელისუფლების მიერ ამხ. ბელა კუნის დაპატიმრებისა და მისი უნგრეთის მთავრობისათვის გადაცემის განზრახვის წინააღმდეგ (ადს).

მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის დეპეშა ზეიპელს

მოსკოვი, 17 მაისი. მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო ასოციაციამ ავსტრიის მთავრობის მეთაურს ზეიპელს მიმართა დეპეშით ბელა კუნის დაპატიმრების გამო: „გაზეთის ცნობების მიხედვით,—ნათქვამია დეპეშაში,—საბჭოთა უნგრეთის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს ბელა კუნს უპირებენ უნგრეთის მთავრობისათვის გადაცემას. რუსეთის მეცნიერები მიაქცევენ თქვენს ყურადღებას იმას, რომ ეს უდრის ბელა კუნის სიკვდილით დასჯას. მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი არასოდეს არ შეურიგდება პოლიტიკურ თავშესაფარის უფლების ასეთ დარღვევას. ჩვენ, რუსეთის მეცნიერები!—წარმომადგენელნი, დაბეჯითებით გთხოვთ თქვენ, სანამ გვიან არ არის, მიიღოთ ზომები, რომ არ იქნეს დაშვებული ბელა კუნის გადაცემა“.

დეპეშას ხელს აწერენ პროფესორი აბრიკოსოვი, ალექსანდროვი და სხვ.

კუნის გატაცების შიში

ვენა, 16 მაისი. სასამართლომ ნება არ მისცა ბელა კუნისა და სხვა დაპატიმრებულთა დამცველებს, რომ გასცნობოდნენ გამოძიების მასალებს. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს. როგორც „როტე ფანე“ იუწყება, დაპატიმრებულებს ნათესავების ნახვის ნებას არ აძლევენ. რადგან ამას წინად „ვინერ ნეიესტე ნახრიხტენმა“ გადაჭრით სთქვა, რომ უნგრეთის საზღვარი სულ 2 საათის სავალი მანძილით არის დაშორებული ვენასთან, ამიტომ „როტე ფანე“ მუშების ყურადღებას აქცევს იმ საფრთხეზე, რომ შესაძლებელია უნგრეთის კომისრებმა ბელა კუნი ძალით წაიყვანონ. გაზეთი მოუწოდებს ავსტრიის მუშებსა და საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ გააძლიერონ კამპანია კუნის განსათავისუფლებლად და ფხიზლად იყვნენ, რომ იგი არ გაიტაცონ. (ადს).

ამხ. ლიზარევზე თავდასხმის შემდეგ

ვარშავა, 16 მაისი. გაზეთები იუწყებიან, რომ ლიზარევზე თავდასხმის გამო დაშლილ იქნა რუს თეთრგვარდიელ ახალგაზრდობათა კავშირი ვარშავაში, ვინაიდან გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი მავნე მუშაობას აწარმოებს. ორგანიზაციის არქივები დაბეჭდეს. ქალაქ ვარშავის კომისარს განზრახვა აქვს აკრძალოს ეს ორგანიზაცია პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე იმის გამო, რომ მისმა წევრებმა უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში მოაწყვეს 2 თავდასხმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაზე. (ადს).

საბჭოთა კავშირის ნოტა საფრანგეთს

პარიზი, 16 მაისი. სენის სამოსამართლო პალატამ დაადგინა მოხსნას სეკვესტრი მართლმადიდებელთა ეკლესიებს პარიზში და ბიარიცში და გადასცეს ის სათანადო მრევლებს. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საფრანგეთში საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს მიმართა ნოტით, რომელშიაც აცხადებს, რომ იცავს საბჭოთა კავშირის პრეტენზიებს ამ ქონებაზე და რომ სეკვესტრის მოხსნა ეწინააღმდეგება საფრანგეთის ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია ერიოს ნოტაში საფრანგეთსა და საბჭ. კავშ. შორის დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ. (ადს).

მეგობრობის ხელშეკრულება

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკავშირო პროფსაბჭოს და ნორვეგიის და ფინეთის, პროფკავშირთა გაერთიანებებთან შეთანხმებული ხელშეკრულება ურთიერთ მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს დაამტკიცა საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის და ფინეთის პროფკავშირთა კონფერენციის (რომელიც შესდგება კოპენჰაგენში თებერვალში), დადგენილებანი, საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ ომის საფრთხესთან ბრძოლისათვის. (ადს).

დახმარება თეთრი ტერორის მსხვერპლთ

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ფინეთში დაპატიმრებული მუშების დასახმარებლად გადასდოს 5.000 მანეთი. ეს ფული უკვე გადაეგზავნა ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანებას დაპატიმრებულთა და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტისათვის გადასაცემად. ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებამ წინადადება მისცა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს, რათა დაწყებულ იქნას საერთო საპროტესტო კამპანია თეთრი ტერორის წინააღმდეგ ჩინეთში. (ადს).

იაპონია-საბჭოთა შეთანხმების დამტკიცება

ტოკიო, 16 მაისი. გაზეთების ცნობით, საიდუმლო საბჭომ მოიწონა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მეთევზეობის შესახებ დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

რით ჩაიშალა ლიტვა-პოლონეთის მოლაპარაკება

ბერლინი, 16 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ კოვნოში გამართულ მოლაპარაკების მარცხის მიზეზი იყო გოლუვკოს განცხადება იმის შესახებ, რომ პოლონეთს განზრახული აქვს შექმნას ბალტიის სახელმწიფოების ბლოკი, რომელიც ითამაშებს ბარიერის როლს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. გაზეთი ფიქრობს, რომ ლიტვა არ ჩაებმება პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის დელეგაციის მიერ კოვნოში აღებული ხაზი ეწინააღმდეგება ზალესკის განცხადებას იმის შესახებ, რომ პოლონეთი უნდა იქნეს არა ბარიერი, არამედ ხიდი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

გაზეთი იუწყება, რომ პოლონეთ ლიტვის ურთიერთობის საკითხი გაირჩევა ერთა ლიგის ერთ-ერთ მახლობელ სესიაზე. (ადს).

მენშევიური პარტია—მემამულეთა ხარჯზე

პრაღა, 16 მაისი. კომუნისტების კამპანიის და სოციალ-დემოკრატ მუშების ზეგავლენით, ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა ყოფილ დეპუტატ ხალუპას პარტიიდან გამორიცხვის მიზეზების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ ხალუპა გამორიცხულია იმის გამო, რომ მემამულე გრაფ კლამგალასასაგან ქრთამად მიიღო 50.000 კრონა, ვითომც პირადად თავისთვის.

გაზეთი „**ვეჩერნი ლისტი**“ ამტკიცებს, **რომ ეს ფული გადაეცა სოციალ დემოკრატიულ პარტიას და რომ ამ უკანასკნელმა ამისათვის მადლობა გამოუცხადა ხალუპას. (ადს).**

უკანონო დადგენილებები

ლონდონი, 16 მაისი. შოტლანდიაში ბიგტოუნის საოლქო მუნიციპალურმა საბჭომ დაადგინა, რომ ამიერიდან ნავთის პროდუქტებით სავაჭრო წარმოების გახსნის ნებართვა ოლქის ფარგლებში მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც პირობას დასდებს, რომ არ ივაჭრებს საბჭოთა ნავთის პროდუქტებით.

ინგლისელ იურისტების წრეებში აღნიშნავენ, რომ ბიგტოუნის მუნიციპალურ საბჭოს დადგენილება და აგრეთვე დადგენილებები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინად მიიღო საოლქო მუნიციპალურ საბჭოებმა პულში და საუტპორტში, სრულიად უკანონოა.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი გერალდ“ აცხადებს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ცირკულიარულად უნდა აუწყოს ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ნავთის პროდუქტებით ვაჭრობის ნებართვის გაცემა, რომ **უკანონო და დაუშვებელია რაიმე შემზღუდავი ზომები იმ წარმოებების მიმართ, რომლებსაც სურთ საბჭოთა ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა. ადს).**

„სოფლის კავშირი“-ს რწმუნებულთა მეორე ყრილობა

20 მაისს ტფილისში გაიხსნა საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის, „სოფლის კავშირი“-ს რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღორძინება იწყება 1924 წლიდან. ამ კოოპერაციის განვითარების პირველ წლებში მაშინდელმა ცენტრმა „წარმოკავშირმა“ ვერ შესძლო საქმისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევა და ის მალე დაიშალა.

1926 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რწმუნებულებმა დაარსეს ახალი ცენტრი „სოფლის კავშირი“-ს სახელწოდებით.

ახალი ცენტრი შეუდგა საქმეს ახალ საფუძველზე.

მუშაობის დასაწყისშივე მან გაითვალისწინა სას.-სამ. კოოპერაციის ძველი შეცდომები.

რა ამოცანები აქვს დაკისრებული სას. სამ. კოოპერაციას და რა შედეგებს მიაღწია მან?.

ეხლა ბევრმა იცის, რომ სას. სამ. კოოპერაცია არის ჩვენი სოფლის მშრომელი გლეხობის ორგანიზაცია, რომლის მუშაობა მიმართულია დაქვეითებულ მეურნეობის აღდგენისა და სოფლის ინდუსტრიალიზაციისაკენ. მისი მოვალეობაა მიაწოდოს გლეხობას მეურნეობისათვის საჭირო მასალები და მანქანა-იარაღები, გაასაღოს და გადაამუშავოს სოფლის ნაწარმოები, გასცეს გლეხებზე შეღავათიანი მიზნობრივი სესხი და სხ.

რა გააკეთა ამ მიმართულებით „სოფლის კავშირმა“?

თავისი არსებობის ერთი წლის განმავლობაში მან განამტკიცა კოოპერატიული საქმიანობა თავის ძირითად ქსელში.—თუ 1926 წ. სას. სამ. კოოპერაცია აკავშირებდა საქართველოს გლეხურ მოსახლეობის 23,2 პროც., 1927 წლის 1- ოქტომბერს ის უკვე აკავშირებს 30,7 პროცენტს.

1926-27 საოპერაციო წლის განმავლობაში სას. სამ. კოოპერაციის (მის ქსელთან ერთად) საქონლის ბრუნვა უდრის მიწოდების დარგში 4.244.300 მანეთს და გასაღების დარგში—14.130 800 მან., სულ 18.375.100 მანეთს.

1925—26 წელთან შედარებით ბრუნვა გაიზარდა 55 პროც. ამავე დროს სოფლის კავშირმა შესძლო თავის ხელში აეღო და კოოპერატიულად ჩაეტარებინა მთელი 100 პროც. გლეხის ნაწარმოების დამზადება, როგორიცაა: მატყლი, თამბაქო, და ბამბა; ამასთანავე დიდი რაოდენობით აიღო მან ხელში მევენახეობის დარგიც 35 პროც., მეხილეობა 30 პროც. და სხვა.

ქსელის ძირითადი საშუალებები—507.904 მან. გაიზარდა 822.138 მან., ე. ი. 62 პროც. საპაიო ანაბარები თითო წევრზე 6 მან 87 კაპ. გაიზარდა 8 მან. 59 კაპ.—25 პროცენტით.

რა ამოცანები აქვს შესასრულებელი სას. სამ. კოოპერაციას?

უნდა სათანადოთ შესწავლილ იქნას სოფლის მოსახლეობის ქონებრივ ფენებად დაყოფის საკითხი იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ღარიბ და საშუალო ფენების ხვედრითი წონა სას. სამ. კოოპერაციაში.

სას. სამ. კოოპერაციის განვითარებასთან ერთად უნდა გაღრმავებულ იქნას მუშაობის მეთოდები წარსულ საოპერაციო წელში აღებული გზით და ჩატარებულ იქნას აპარატის რაციონალიზაცია და მომჭირნეობის რეჟიმი.

სოფლის კავშირის მომარაგება-გასაღების ოპერაციები იმ მიმართულებით უნდა სწარმოებდეს, რომ განმტკიცდეს სწორი კოოპერატიული სამეურნეო ურთიერთობა (საკომისიო მუშაობა) ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ამასთან ერთად მომარაგების ოპერაციები უნდა შეუფარდოთ ღარიბ ფენების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, მათი კოლექტიურ მეურნეობის ნიადაგზე შეკავშირების მიზნით.

სოფლის ნაწარმოების დამზადება გასაღების საქმე სას. სამ. კოოპერაციამ მთლიანად უნდა აიღოს თავის ხელში მით უმეტეს, რომ უკვე დღესვე ზოგიერთ ნაწარმოების დამზადებას სავსებით სას. სამ. კოოპერაცია აწარმოებს. ამასთან ერთად უნდა შემოღებულ იქნას მიღებული კონტრაქტაციის სისტემა იქ, სადაც ჯერ ასეთი არ არის.

სას. სამ. კოოპერაციამ მომავალ საოპერაციო წელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ნაწარმოების პირველ დამუშავებას და ნაწარმოების გადამუშავებას.

აღნიშნულ ღონისძიების გატარებით, სას. სამ. კოოპერაცია შეასრულებს მეთხუთმეტე ყრილობის დირექტივებს, დააყენებს სოფლის მეურნეობას სახელმწიფო გეგმიან მეურნეობის გავლენის ქვეშ, გაუკაფავს მას გზას სოციალისტურ მეურნეობაზე გადასასვლელად, რითაც ის შეასრულებს თავის მოვალეობას საქართველოს მშრომელი გლეხობის წინაშე.

ვლ. ცაბარელი.

ამხ. სტალინის სიტყვა

ახ. ლ. კ. კ. საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი, 17 მაისი. საკ. ახ. ლ.კ.კ. ყრილობის საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა.

„ჩვეულებრივად,—ასე დაიწყო ამხ. სტალინმა თავისი სიტყვა,—ყრილობებზე მიღებულია ლაპარაკი მიღწევების შესახებ. ეს მიღწევები, რათქმა უნდა, ცოტა არაა და მათი დაფარვაც ზედმეტია. მაგრამ ჩვენში ამ ბოლო დროს მიღწევებზე იმდენად ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად ისე მომაბეზრებლად რომ იკარგება ნათქვამის განმეორების ყოველგვარი ხალისი, ამიტომ ნება მომეცით გადაუხვიოთ ამ საერთო წესს და ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ჩვენი სისუსტისა და ამ სისუსტეებთან დაკავშირებულ ამოცანების შესახებ. მე მხედველობაში მაქვს, ამხანაგებო, ის ამოცანები, რომლებიც შეიცავენ ჩვენი შინაური მშენებლობის საკითხებს. ეს ამოცანები ეხება სამ საკითხს: ჩვენი პოლიტიკური მუშაობის ხაზის საკითხს, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ფართო მასებისა და საერთოდ მუშათა კლასის აქტივობის გაძლიერების საკითხს და ბოლოს სამეურნეო მშენებლობისათვის ახალი კადრების შექმნის საკითხს.

რა ახასიათებს მიმდინარე მომენტს

დავიწყოთ პირველი საკითხიდან. ეხლანდელი მომენტის დამახასიათებელი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ 5 წელიწადია მშვიდობიანი განვითარების პირობებში ვაწარმოებთ მშენებლობას. მშვიდობიანი მშენებლობის პირობებმა განსაზღვრული გავლენა მოახდინა ჩვენზე. ამ პირობებმა თავისი დაღი დაასვა ჩვენს მუშაობას, ჩვენს მუშაკებსა და მათ ფსიქოლოგიას. მთელ რიგ მუშაკებს შეექმნათ ისეთი სულიერი განწყობილება, რომ ყველაფერი თავისთავად საუცხოვოდ მოგვარდება, რომ ჩვენ ვზივართ სასწრაფო მატარებელში და შეუჩერებლად პირდაპირ სოციალიზმისაკენ მივექანებით. ამ ნიადაგზე შეიქმნა „თავის თავად მოგვარების“ თეორია, თეორია, რომ „ყველაფერი თავისთავად მოეწყობა“, რომ არ არის კლასობრივი მტრები, და რომ ყველაფერი დაწყნარდა, რომ ყველაფერი ისე წავა, როგორც ნაკარნახევია. აქედან წარმოსდგება მისწრაფება ინერტობისა და განცხრომისაკენ. რაში მდგომარეობს ასეთი სულიერი განწყობილების საფრთხე? იმაში რომ ის თვალს უხვევს მუშათა კლასს არ აძლევს მას შესაძლებლობას დაინახოს თავისი მტრები, ახუნებს მის ბრძოლის უნარს. ისტორია გვეუბნება, რომ ყველაზე დიდი არმიები იღუპებოდენ იმის გამო, რომ მათ გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ თავის ძალებზე, ძალიან ცოტა ანგარიშს უწევდენ მტრის ძალას, ეძლეოდენ განცხრომას, ჰკარგავდნენ ბრძოლის უნარს და კრიტიკულ მომენტში სახიფათო მდგომარეობაში ვარდებოდენ.

ყველაზე დიდი პარტია შეიძლება დაღუპოს, თუ იგი დღითი-დღე არ გამოიმუშავებს თავისი კლასის ბრძოლის უნარს. მტერს, რომ მოუმზადებლად დახვდე, ეს იმას ნიშნავს, რომ პანიკის მსხვერპლად გადაიქცე, პანიკას; რომელსაც მოსდევს დამარცხება და დაღუპვა. მართალი არ არის, ვითომც ჩვენ კლასობრივი მტრები აღარ გვყავდეს, ვითომც ისინი განადგურებულნი და მოსპობილნი იყვნენ. ჩვენი კლასობრივი მტრები არამც თუ არსებობენ, არამედ იზრდებიან კიდეც და ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას. ამას ადასტურებს პურის დამზადების სიძნელენი მიმდინარე წლის ზამთარში, როდესაც სოფლის კაპიტალისტური ელემენტები ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა. ამას ადასტურებს შახტის საქმე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალისა და ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიის შეერთებული გამოსვლის გამომხატველია. ამას ადასტურებს შინაური და საგარეო პოლიტიკის უამრავი ფაქტი, რაც თქვენ კარგად იცით და რის შესახებაც აქ ლაპარაკის გაგრძელება ზედმეტია. პურის დამზადების კრიზისის და შახტის საქმის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ყველა ჩვენი ორგანიზაცია გამოაფხიზლეს. პარტიის მთავარი ამოცანა და მისი ყოველდღიური მუშაობის პოლიტიკური ხაზია: მუშათა კლასის ბრძოლის უნარის გაძლიერება მისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.

როგორ ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს

მეორე საკითხი შეეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანას, ჩვენი დეფექტების მასიური კრიტიკის ორგანიზაციის ამოცანას, ქვემოდან მასიური კონტროლის ორგანიზაციის ამოცანას. ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი უსასტიკესი მტერია ბიუროკრატიზმი. იგი არსებობს ყველა ჩვენს პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებში. საქმე რომ მარტო ძველ ბიუროკრატებს შეეხებოდეს მაშინ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ყველაზე ადვილი იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ საქმე მარტო ძველ ბიუროკრატებს არ შეეხება. საქმე, ამხანაგებო, ახალ ბიუროკრატებშია, საქმე იმ ბიუროკრატებშია, რომელნიც თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და, ბოლოს, საქმე კომუნისტ-ბიუროკრატებშია. კომუნისტ-ბიუროკრატი ყველაზე სახიფათო ბიუროკრატია. რატომ? იმიტომ, რომ ის თავის ბიუროკრატიზმს პარტიის წევრის სახელწოდების წილაბს აფარებს. ასეთი კომუნისტი ბიუროკრატები ჩვენ, საუბედუროდ, ცოტა არა გვყავს. აიღეთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. თქვენ, ალბად, წაკითხული გექნებათ სმოლენსკის საქმე, არტემოვსკის საქმე და სხვ. რითი აიხსნება ეს სამარცხვინო ზნეობრივი გახრწნა და გათახსირება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთ ნაწილებში. იმით, რომ პარტიის მონოპოლია აბსურდამდე მიიყვანეს, ჩაახშეს ქვედა ფენების ხმა, მოსპეს შინაპარტიული დემოკრატია და დანერგეს ბიუროკრატიზმი. როგორ ვებრძოლოთ ამ ბოროტებას? მე ვფიქრობ, რომ ამ ბოროტების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს; ეს არის: პარტიული მასების კონტროლის ორგანიზაცია ქვემოდან და შინაპარტიული დემოკრატიის დანერგვა; სხვა საშუალება არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. აი, მაგალითად, აიღეთ კომკავშირი. ვინ უარყოფს ჯგუფური ბრძოლის ფაქტი კომკავშირის ზედაფენაში—ცალკე პირების გარშემო, იმ ბრძოლისა, რომელიც ატმოსფეროს სწამლავს კომკავშირში. რას ადასტურებს ეს ფაქტი, თუ არა იმას, რომ კომკავშირის ზედაფენების ზოგიერთ ნაწილებში სწარმოებს ბიუროკრატიული დახავსების პროცესი? ვინ უარყოფს, რომ ბიუროკრატიზმი პროფკავშირებში საკმაოზე მეტია? ჩვენ გვაქვს საწარმოო თათბირები საწარმოებში და დროებითი საკონტროლო კომისიები პროფკავშირებთან. ამ ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფხიზლად ამოძრაოს მასები, გამოააშკარავოს ჩვენი დეფექტები და აღნიშნოს მშენებლობის გაუმჯობესების გზები, რატომ მუშებში სიცოცხლე არაა ამ ორგანიზაციებში? განა ცხადი არ არის, რომ პროფკავშირებში ეს ბიუროკრატიზმი, პარტორგანიზაციებში არსებული ბიუროკრატიზმის მიმატებით, განვითარების საშუალებას არ აძლევს მუშათა კლასის ამ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებს? გადავხედოთ ეხლა სამეურნეო ორგანიზაციებს. ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებში ბიუროკრატიზმი არ არსებობს? როგორ მოვსპოთ ბოლოს ბიუროკრატიზმი ყველა ამ ორგანიზაციებში? საამისოდ მხოლოდ ერთად-ერთი გზაა—კონტროლის ორგანიზაცია ქვემოდან, მუშათა კლასის მილიონიანი მასების კრიტიკის ორგანიზაცია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ჩვენი დაწესებულებების კრიტიკის ორგანიზაცია მათი დეფექტებისა და მათი შეცდომების წი-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პასუხი შახტის კონტრ-რევოლიუციონერებს. საბჭოთა მეურნეობის განმტკიცების სესხი

მოსკოვი, 17 მაისი. შახტის კონტრ-რევოლიუციონერების საქმემ როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე მოსკოვის პროლეტარიატში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მთელი რიგი მუშათა ორგანიზაციები არ კმაყოფილდებიან ჩვეულებრივ პროტესტის გამოთქმით შახტის კონტრ - რევოლიუციონერებისა და მათი საზღვარგარეთელ დამქირავებლების მიმართ. მათ გამოაქვთ პრაქტიკული დადგენილებები იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აცილებულ იქნას შახტის მაგვარი შეთქმულება.

ამასთან ერთად მოსკოვის ფაბრიკა - ქარხნებში გამოაქვთ დადგენილებები იმის შესახებ, რომ საჭიროა შახტის კონტრ - რევოლიუციონერების საპასუხოდ გამოშვებულ იქნას

ახალი შინაური სესხი

ასეთი მოწოდებით მიმართა საკავშირო მთავრობას ქარხანა „კაუჩუკ“, ლენტის ფაბრიკის, ოქტომბრის შვიდი წლის თავის ქარხნის და სხვა წარმოებათა მუშებმა. აღსანიშნავია, რომ თავიანთ მოწოდებებში, მუშები მიუთითებენ მთავრობას იმაზე, თუ როგორ უფრო უმჯობესი იქნება საბჭოთა მეურნეობის განმტკიცების სესხის ორგანიზაცია.

ასე მაგალითად, მუშების აზრით საბჭოთა მეურნეობის განმტკიცების სესხში ნაკლები უნდა იყოს დიდი მოგებათა რიცხვი, სამაგიეროდ უნდა გადიდებულ იქნას მოგებათა საერთო რაოდენობა. გარდა ამისა თვითეულ ობლიგაციის ფასი არ უნდა აღემატებოდეს ათ მანეთს.

შახტის კონტრ - რევოლიუციის საპასუხოდ გამოშვებული საბჭოთა მეურნეობის განმტკიცების სესხი დიდ პოპულარობას მოიხვეჭს მშრომელ მასებში. ამიტომ მოსკოვის მუშათა ორგანიზაციები მოითხოვენ მთავრობას, რათა წინასწარ გათვალისწინებულ იქნას ის დეტალები, რომელნიც ხელს შეუწყობენ სესხის რეალიზაციას.

კაუჩუკის, ლენტის ფაბრიკის და ოქტომბრის შვიდი წლის თავის ქარხნის მუშების დადგენილებას გამოეხმაურა მოსკოვის სხვა ფაბრიკა - ქარხნების მუშათა საერთო კრებებიც.

საავტომობილო მშენებლობის გაძლიერებისათვის

მოსკოვი, 17 მაისი. საავტომობილო-საგზაო საზოგადოება („ავტოდორი“-ი) აწყობს საბჭოთა კავშირში ავტომობილის სხვადასხვა ნაწილების მასიურად დამზადების საქმეს. გამორკვეულია, რომ ამგვარი წესით, საავტომობილო მშენებლობა გაცილებით უფრო იაფი დაჯდება და პროდუქციაც თავის ღირსებით უკეთესი იქნება.

საავტომობილო - საგზაო საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს დააწესოს მტკიცე ვადა, რომლის განმავლობაშიაც უნდა დასრულებულ იქნას ავტომობილების მშენებელ ქარხნათა აგება. ამ მიზნით აღნიშნული საზოგადოება წინასწარ შეისწავლის ასეთი ვადის განსაზღვრისათვის აუცილებელ პირობებს.

თბილისის საბჭოს დეპუტატები მოსკოვში

მოსკოვი, 17 მაისი. აქ ჩამოვიდა თბილისის საბჭოს დეპუტატების ერთი ჯგუფი ამხ. სოლ. დოლიძის მეთაურობით. დეპუტატებს განზრახვა აქვთ გაეცნონ მოსკოვის საბჭოს მუშაობას. ისინი უკვე ყოფილან საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქებში: ბაქოში, როსტოვში და ხარკოვში.

თბილისის საბჭოს დეპუტატები მეტად თავაზიანად და ამხანაგურად მიიღო მოსკოვის საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, რომელნიც ყოველნაირ ზომებს ღებულობენ იმისათვის, რომ დეპუტატებს შედარებით იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელიც მათ განკარგულებაშია, გაუადვილონ მოსკოვის საბჭოს სხვადასხვა სექციების მუშაობასთან გაცნობა. ამასთან ერთად, თბილისის საბჭოს მუშათა დელეგაცია ეწვია საკავშირო ცაკის ორგანოებს, ამ ორგანოების მუშაობასთან გაცნობის მიზნით.

მოსკოვის საბჭოს სექციებიდან დელეგაცია განსაკუთრებით შეჩერდა მოსკოვის კომუნალურ მეურნეობისა და მოსკოვის სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილების საქმიანობის გაცნობაზე.

დელეგაციას განზრახვა აქვს მოსკოვის შემდეგ ლენინგრადში გამგზავრება.

კურორტებზე მუშების გამგზავრება

მოსკოვი, 17 მაისი. უკანასკნელი დღეების განმავლობაში დიდათ გაიზარდა სამხრეთის კურორტებზე (ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, საქართველო) მიმავალ მუშების რიცხვი. მოსკოვიდან ყოველ დღე მიემგზავრება 500—600 მუშა.

მიმდინარე სეზონში განზრახულია დასასვენებლად გაიგზავნოს 20 პროცენტით მეტი მუშა, ვიდრე ეს წარსულ წელს იყო.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე

მოსკოვი, 17 მაისი. როგორც 14 მაისს გატყობინებდით, ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმის გარჩევა უნდა დაწყებულიყო 17 მაისს. დღეს, დილის ათ საათზე მოსკოვის კომკავშირის სარაიონო სახლში დაიწყო ისლამოვის ქალის თვითმკვლელობაში დამნაშავეთა გასამართლება. ბრალდებულთა სკამზე სხედან: მწერალთა ფედერაციის მდივანი ალტშულერი, პოეტები ანოხინი და გავრუშენკო. ფიქრობენ, რომ პროცესი 4 დღეს გაგრძელდება. სასამართლოს სხდომის დარბაზს დიდძალი ხალხი აწყდება.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობაში დამნაშავეთა გასამართლების შესახებ ამხ. მანდელშტამმა შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

„ზნეობრივი გახრწნის ამაზე უფრო შემაძრწუნებელი სურათი ძნელი წარმოსადგენია. სასამართლო ალბათ ღირსეულ სასჯელს მიუზღავს „კულტურულ“ გამაუპატიურებლებს და მოძალადეებს, მაგრამ ეს არ კმარა. არა ნაკლებ აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ გადაგვარებულ ალტშულერ - ანოხინ - გავრუშენკოს კამპანიას აქა-იქ დამცველებიც აღმოუჩნდნენ. საჭიროა არა მარტო დამნაშავეთა დასჯა, არამედ ალტშულეროვშჩინის დამცველთა გონს მოყვანაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაღმდეგ. მე ვიცი, რომ ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიული ხომალდის წინააღმდეგ მიმართული მილიონიანი მასების რისხვა ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებსაც გაჰკვირავს, რომელთაც წარსული ღვაწლი მოუძღვით, მაგრამ ბიუროკრატიული სენით არიან დაავადებულნი. ძველი ღვაწლისათვის მათ დაბლა თავი უნდა დაუკრათ, ახალი შეცდომებისა და ბიუროკრატიზმისათვის კი სამწიფო ცოტა „ფაფუთავზოთ". ლაპარაკობენ ზემოდან წარმოებული კრიტიკის შესახებ, კრიტიკის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ჩვენი პარტიის ც. კ.-ის მხრით. ეს სრულებით არ კმარა. უმთავრესი ახლა ის არის, რომ ქვემოდან წამოვიდეს კრიტიკის უფართოესი ტალღა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საზოგადოთ და ჩვენი მუშაობის დეფექტების წინააღმდეგ განსაკუთრებით. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლის წარმოება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოვაწყობთ ორმაგ პრესს—ზემოდან და ქვემოდან, თუ სიმძიმის ცენტრს გადავიტანთ ქვემოდან წარმოებულ კრიტიკაზე. ჩვენი მრეწველობის შემქმნელი მუშათა მილიონიანი მასები დღითი-დღე იძენენ მშენებლობის უდიდეს გამოცდილებას, რომელიც ჩვენთვის სრულებითაც არ წარმოადგენს ნაკლებ ღირებულებას, ვიდრე ხელმძღვანელთა გამოცდილება. მასიური კრიტიკა ქვემოდან და კონტროლი ქვემოდან ჩვენ, სხვათა შორის, იმისთვის გვესაჭიროება, რომ მილიონიანი მასების ახლომა გამოცდილებამ ამაოდ არ ჩაიაროს, რომ მას ანგარიში გაეწიოს და ცხოვრებაში განხორციელდეს. აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: ულმობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, მასიური კრიტიკის ორგანიზაცია ქვემოდან, ამ კრიტიკის გამოყენება იმ პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რომლებმაც უნდა გამოასწორონ ჩვენი დეფექტები.

საბოლოოდ დავიპყრათ მეცნიერების ციხე

მესამე ამოცანა შეეხება სოციალისტური მშენებლობის ახალი კადრების ორგანიზაციის საკითხს. ჩვენს წინაშე, ამხანაგებო, სდგას მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის უდიდესი ამოცანები. სასოფლო მეურნეობის დარგში ჩვენ საძირკველი უნდა ჩაუყაროთ მსხვილ გაერთიანებულ საზოგადოებრივ მეურნეობას. მოლოტოვისა და ბაუმანის დღევანდელი მიმართვიდან თქვენ, ალბად, იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება უძნელეს ამოცანას ისახავს; ეს არის წვრილ დაქუცმაცებულ სახლებო მეურნეობათა გაერთიანება კოლექტივებში იმ მიზნით, რომ შეიქმნას ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენ პირისპირ უნდა მოუდგეთ მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციას სასოფლო მეურნეობაში. სასოფლო მეურნეობის მეცნიერების მცოდნე პირები ჩვენ მეტის-მეტად ცოტა გვყავს. აქედან გამომდინარეობს ახალი საზოგადოებრივი სასოფლო მეურნეობის შემქმნელთა ახალგაზრდა კადრების მომზადების ამოცანა.

მრეწველობის დარგში ჩვენი საქმე გაცილებით უკეთესადაა. მაგრამ აქაც მშენებელთა ახალი კადრების ნაკლებობა აფერხებს ჩვენს წინსვლას. რასაკვირველია, ჩვენ გვყავს ძველი სპეციალისტები მრეწველობის მშენებლობის საქმეში. მაგრამ, ჯერ ერთი, ისინი ცოტანი არიან, მეორე — ყველა მათგანს არ სურს ახალი მრეწველობის მშენებლობა, მესამე—ბევრ მათგანს არ ესმის მშენებლობის ახალი ამოცანები, მეოთხე — მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაბერდა და ფასსა ჰკარგავს.

საქმის წინ წასაწევად საჭიროა, რომ აჩქარებული ტემპით შევქმნათ სპეციალისტების ახალი კადრები მუშათა კლასის რიგებიდან და კომუნისტებისაგან. მუშათა კლასი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონად ვერ გადაიქცევა, თუ იგი თავს ვერ დააღწევს უკულტურობას, თუ იგი ვერ შექმნის თავის საკუთარ ინტელიგენციას, თუ არ დაეუფლება მეცნიერებას და ვერ გაუძღვება მეურნეობას მეცნიერების საფუძველზე. სამოქალაქო ომის პერიოდში შეიძლებოდა მტრის პოზიციის აღება შეტევით, გულადობით, სითამამით, ცხენოსანთა თავდასხმით. ეხლა, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის დროს, შეტევითა და იერიშებით მხოლოდ საქმის წახდენა შეიძლება. მარტო გულადობითა და სითამამით ფეხს ვერ გასწვდი. ახლა მტრის დასამარცხებლად უნდა ვიცოდეთ: მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის მშენებლობა, უნდა ხელი ავიღოთ დიდკაცურ, ამპარტავნულ დამოკიდებულებაზე ვაჭრობისადმი. რომ მშენებლობა ვაწარმოოთ, საჭიროა შევიძინოთ ცოდნა, საჭიროა, მეცნიერებას დავეუფლოთ. ხოლო რომ ცოდნა შევიძინოთ, უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ მუყაითად, გულდასმით, ხალისიანად, ვისწავლოთ მტრისა და მეგობრისაგან, მეტადრე მტრისაგან. ჩვენს წინ აღმართულია ციხე-სიმაგრე. მას ეწოდება მეცნიერება თავისი მრავალრიცხოვანი დარგებით. ეს ციხე-სიმაგრე აუცილებლად უნდა ავიღოთ, იგი უნდა აიღოს ახალგაზრდობამ. ჩვენ ახლა ვერ დავკმაყოფილდებით ბოლშევიკური კადრების შექმნას საერთოდ, რომლებიც თითო-ოროლა სიტყვას იტყვიან ყველაფრის შესახებ. ჩვენ ახლა გვესაჭიროება ბოლშევიკი-სპეციალისტები ლითონისა, ფეიქრობისა, საწვავი მასალისა, ქიმიისა, სასოფლო მეურნეობისა, ტრანსპორტისა, ბუღალტერიისა, ვაჭრობისა და სხვა საქმეებში. უამისოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ ჩვენ დავეწევით და გავუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. დავეუფლებით მეცნიერებას, შევქმნით ბოლშევიკ-სპეციალისტების ახალ კადრებს ცოდნის ყველა დარგში. ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ მუყაითად, დაჟინებით — ასეთია ახლანდელი ამოცანები. რევოლუციონური ახალგაზრდობის ლაშქრობა მეცნიერებაზე — აი, ამხანაგებო, ამჟამად რა გვესაჭიროება!" (მქუხარე ტაში. „ვაშა", „ვაშა" ძახილი. ყველა ფეხზე დგება).

პროვოკატორისათვის კანონი არ არსებობს

ლონდონი, 16 მაისი. პენჯაბის პროვინციის საკანონმდებლო კრებაში პროვინციის მთავრობას (ე. ი. ინგლისელთა ხელისუფლებას) შეკითხვა მისცეს პოლიციის საიდუმლო აგენტის ბანერჯის განთავისუფლების გამო (ის უნდა აერიოთ ლილუას გაფიცულ რკინიგზელთა ლიდერთან—ბანერჯისთან); ბანერჯი დასჯილი იყო იარაღის უკანონოდ შენახვისათვის და დანაშაულობრივი ხასიათის შეთქმულებათა ორგანიზაციისათვის. მთავრობის წარმომადგენელმა ბანერჯის განთავისუფლება იმით ახსნა, რომ იგი „პოლიციას სასარგებლო ცნობებს აწვდიდა და ეხმარებოდა ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისა და გამოაშკარავებაში". მთავრობის პასუხმა დიდათ აღაშფოთა ინდოეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეები, რადგან ბანერჯი ტიპიური პროვოკატორია. (ადს).

კულაკური აგრარული ბიურო

პრაღა 16 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: პრაღაში გაიმართა სხდომა „საერთაშორისო აგრარული ბიუროსი", რომელშიაც თავისი წარმომადგენლები ჰყავთ ზოგიერთი ქვეყნების მემამულეთა და ნაწილობრივ კულაკთა ორგანიზაციებს. სხდომას დაესწრნენ ბულგარეთისა, საფრანგეთისა, პოლანდიისა, პოლონეთისა, რუმინეთისა; სამხრეთ-სლავიისა და ჩეხო-სლოვაკიის აგრარულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სხდომა რეზოლიუციებში მოითხოვს, რომ აგრარულმა პარტიებმა მონაწილეობა მიიღონ თავ-თავიანთ ქვეყნების მთავრობებსა და ადმინისტრატიულ აპარატში. (ადს).

იაკუბოვსკის საქმე

ბერლინი, 16 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ" იუწყება, რომ იაკუბოვსკის საქმემ მიიღო ახალი, სრულიად მოულოდნელი მიმართულება. ბავშვის მკვლელები და იაკუბოვსკისთან მცხოვრები ქალები მართლაც განთავისუფლებული არიან საპატიმროდან პროკურორის განკარგულებით. განთავისუფლებულთაგან ერთ-ერთმა კვლავ დაადასტურა იაკუბოვსკის დამცველი ვექილი კონის წინაშე, რომ აღიარებს თავის მონაწილეობას ბავშვის მკვლელობაში და აგრეთვე იმ ჩვენებების სიყალბეს, რომლის საფუძველზე მსჯავრი დასდეს იაკუბოვსკის (ადს).

ბერლინი, 16 მაისი. პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს იაკუბოვსკის უდანაშაულობის გამოაშკარავებას. მნიშვნელოვნად სთვლიან იმ გარემოებას, რომ მეკლენბურგის პროკურორი მიულერი, რომელმაც განთავისუფლა დამნაშავენი იმ მკვლელობაში, რომლისთვისაც უდანაშაულოდ დასაჯეს სიკვდილით იაკუბოვსკი, თავის დროზე დაჟინებით სცდილობდა მიეღწია იაკუბოვსკის დასჯისათვის და შემდეგში ყოველგვარი საშუალებით უშლიდა ხელს საქმის გადასინჯვას. მაკლენბურგის იუსტიციის მინისტრმა რეიხბინცენა გადასჩივრა მიულერის მოქმედება და მოითხოვა, რომ გერმანიის იუსტიციის სამინისტროს იაკუბოვსკის საქმის გადასინჯვა მიენდო სხვა ავტორიტეტულ პირისათვის. (ადს).

შტრეიკბრეხერი სპენსერი

პასუხისგებაში აძლევს კუკს

ლონდონი, 16 მაისი. სამთა-მადნო მუშათა „პოლიტიკური" კავშირის ორგანიზატორმა სპენსერმა საჩივარი აღძრა კუკის წინააღმდეგ, რომელსაც ის ბრალს სდებს ცილისწამებაში. საქმე აღძრულია იმ სიტყვასთან დაკავშირებით, რომელიც კუკმა წარმოსთქვა ნოტინგემშირში. (ადს).

ცვლილებები იაპონიის მთავრობაში

ტოკიო, 16 მაისი. გაზეთების ცნობით, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი მოციზუკი დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო კუხარა—მის ადგილზე. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი სუზუკი დანიშნულ იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაშისტური ორგანიზაციის კოკუსუიკაის თავმჯდომარედ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

რიკოვის ჯანმრთელობა

მოსკოვი, 17 მაისი. ტემპერატურა და რევმატიზმით გამოწვეული ტკივილები თანდათან კლებულობს ყოველ დღე. 17 მაისს დილით ტემპერატურა აღწევდა 36,9, დღისით—36,8. საერთო მდგომარეობა კარგია. რევმატიული პროცესის არავითარ გადახრას არ აქვს ადგილი. სისხლის ანალიზის მიხედვითაც არ არის გადახრა ნორმიდან. უახლოეს დღეებში მოსალოდნელია სრული განკურნება. პროფესორი **გურმინი**, დოქტორი **ლევინი**, პროფესორი **ლეტრიხი**.

განაჩენი სანტოს საქმეზე დამტკიცებულია

ვენა, 17 მაისი. როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის განაჩენი უნგრეთის კომპარტიის ცეკას წევრების—სანტოს და სხ. საქმეზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ სანტოს მიუსაჯა საკატორღო ციხე 8 წლით, დანარჩენ 35 ბრალდებულს დაპატიმრება სხვადასხვა ვადით. (ადს).

სამინისტროს კრიზისი ალბანეთში

ვენა, 17 მაისი. როგორც ტირანიდან იუწყებიან, ალბანეთის მთავრობა გადადგა. მთავრობის გადადგომა, ვითომც გამოწვეულია დიდი უთანხმოებით, რომელიც მთავრობაში წარმოიშვა ბიუჯეტის განხილვის დროს პარლამენტში. (ადს).

ვენა, 17 მაისი. უკანასკნელი ცნობებით, ალბანეთში უკვე შესდგა ახალი კაბინეტი. ძველი მინისტრებიდან კაბინეტში დარჩა მხოლოდ გარეშე საქმეთა მინისტრი. (ადს).

ამხ. ტროიანოვსკის საზეიმო შეხვედრა

ტოკიო, 16 მაისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ტროიანოვსკიმ და სავაჭრო წარმომადგენელმა ანიკეევმა ინახულეს სიდზუოკის ჩაის პლანტაციები, სადაც მათ საზეიმო შეხვედრა გაუმართეს ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელმა და ჩაით მოვაჭრეთა ასოციაციამ. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება საბერძნეთში

ვენა, 17 მაისი. როგორც ათენიდან იუწყებიან, ათენის პოლიციამ 10 მაისს გაჩხრიკა კომპარტიის ბელადების ბინები. ზოგი მათგანი უკვე დააპატიმრეს. საბერძნეთის პრესის ცნობით, კომუნისტების დაპატიმრება და ჩხრეკა გამოწვეულია ვითომც „კომუნისტური შეთქმულების" აღმოჩენით. სალონიკიდან იუწყებიან, რომ იქ დააპატიმრეს 12 კომუნისტი.

უნგრეთის პოლიცია საქმეს ეცნობა

ვენა, 17 მაისი. მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთის „ტაგ"-ის ცნობით, უნგრეთის მთავრობამ თხოვნით მიმართა ავსტრიის მთავრობას, რათა ნება დართოს უნგრეთის სასამართლოს უწყების და პოლიციის წარმომადგენლებს ოფიციალურად გაეცნონ ბელა კუნის საქმის დოკუმენტებს. უნგრეთის მთავრობის მიმართვა გადაგზავნილია პროკურატურაში, რომელმაც იგი ვენის სასამართლოს გადასცა დასკვნისათვის. (ადს).

საარჩევნო კამპანია ბერლინში

ბერლინი, 17 მაისი. საარჩევნო კამპანია გაძლიერებულია. საარჩევნო სიების საერთო რიცხვი „ლენინბუნდის" სიის გაუქმების შემდეგ აღწევს 29-მდე. კანდიდატების საერთო რიცხვი 6,000 უდრის. ყველა პარტიები სცდილობენ ისარგებლონ უკანასკნელი დღეებით და განავითარონ თავისი პროპაგანდა. მაგრამ მოსახლეობის მონაწილეობა კამპანიაში ეხლა უფრო სუსტია, ვიდრე წინანდელ არჩევნებში. ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა მწუხარებით აღნიშნავენ, რომ საარჩევნო კრებებზე ცოტა ხალხი ესწრება. ხოლო კომუნისტურ კრებებს და მიტინგებს ძალიან ბევრი ხალხი ესწრება, წარმოებებში განწყობილება კომუნისტების სასარგებლოდ შეიცვალა. პარტიის საწარმოო უჯრედები დიდ აქტივობას იჩენენ. ბევრ წარმოებაში სოციალ-დემოკრატ მუშებმა არ დაუშვეს, რომ დაერიგებინათ სოციალ-დემოკრატიული ფურცლები. კომუნისტური პრესის ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა. საარჩევნო დროის დაარსდა კომპარტიის ახალი ადგილობრივი ორგანიზაციები და კარხნის უჯრედები. ახალ-ახალი ორგანიზაციები დაარსდა საქსონიაში, პფალცში, ბერლინ-ბრანდენბურგის რაიონში. მზადებას წითელფრონტელთა კავშირის შეკრებისათვის, რომელიც მოხდება რეიხსტაგის არჩევნების შემდეგ (მიზნად აქვს პარლამენტის გარეშე მასების მობილიზაცია) ორგანიზაციულად განამტკიცებს საარჩევნო კამპანიის შედეგები, რომლებსაც მიაღწევს კომპარტიამ, კომუნისტურმა პრესამ და ფრონტელთა წითელმა კავშირმა.

კინო-მსახიობის დაპატიმრება

ვარშავა, 17 მაისი. როვნოში დააპატიმრეს ცნობილი კინო-მსახიობი რუნიჩი, რომელსაც ბრალს სდებენ ჯაშუშობაში. (ადს).

გაფრენა პაეროსტატით

ხარკოვი, 17 მაისი. 15 მაისს ხლოვიანსკის მფრინავთა წრის ოთხი მონაწილე მეორედ გაფრინდა პაეროსტატით. მფრინავები ჰაერში დარჩნენ 6 საათის განმავლობაში და გაიარეს 200 კილომეტრი. ქუხილის გამო პაეროსტატი იძულებული გახდა დაშვებულიყო ძირს სოფელ არხანგელსკში (კურსკის გუბ.). მფრინავთა ერთ-ერთი წრე უკრაინაში, რის და შესდგება მუშა-კომკავშირელებისაგან. (ადს).

სპენდიაროვის დაკრძალვა

ერევანი, 17 მაისი. 17 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე კომპოზიტორ სპენდიაროვის კუბოსთან გადაიხდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. სიტყვები წარმოსთქვეს თბილისის მუსიკალურ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. კუბო გამოიტანეს მთავრობის წევრებმა. კულტურის სახლის აივნიდან სომხეთის ცაკის და სახკომსაბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ერზნკიანმა. საფლავთან გაიმართა მეორე სამოქალაქო პანაშვიდი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საღამოს 6 საათზე სპენდიაროვის ცხედარი მიაბარეს მიწას. (ადს).

შახტის პროცესის წინ

ბრალდებულ ბრატანოვსკის და მატოვის განცხადება

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო უზენაეს სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ბრალდებულ ბრატანოვსკისა და მატოვის განცხადება დამცველ მურავიოვის სამსახურზე უარის თქმის შესახებ.

თავის განცხადებაში ბრატანოვსკი აცნობებს სასამართლოს, რომ დამცველი მურავიოვი აშინებს მას მოსალოდნელ „სიკვდილის განაჩენით" და გამოსთქვამს ეჭვს ბრატანოვსკის მიერ წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში. ფიქრობს რა, რომ მურავიოვი ვერ დაიცავს მის ინტერესებს, ბრატანოვსკი სთხოვს სასამართლოს დაუნიშნოს მას სხვა დამცველი.

მეორე ბრალდებული მატოვი თავის განცხადებაში სწერს: „ვინაიდან ჩემი დამცველი მურავიოვი მიქმნის მძიმე სულიერ განწყობილებას და მეუბნება, რომ მე სიკვდილით დამსჯიან და გარდა ამისა, ვფიქრობ რა, რომ დამცველი საკმაო ყურადღებას უნდა უთმობდეს ჩემს საქმეს და არ უნდა იყოს სხვა საქმეებით დატვირთული, ვთხოვ უზენაეს სასამართლოს დამინიშნოს სხვა დამცველი".

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდებულთა შუამდგომლობა და დამცველად მურავიოვის მაგიერად დაუნიშნა მათ დამცველთა კოლეგიის წევრი ტალმატოვსკი. ამასთანავე ერთად უზენაესმა სასამართლომ ეს დადგენილება აცნობა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმს და მიუთითა იმ მოტივებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ბრალდებულთა მიერ უარის თქმა დამცველ მურავიოვზე.

უზენაეს სასამართლოში განცხადება შეიტანა დამცველმა მურავიოვმაც, რომელიც სთხოვს სასამართლოს გაანთავისუფლოს ის ბრალდებულთა დამცველის მოვალეობისაგან, ვინაიდან ისინი უარს ამბობენ მის სამსახურზე.

ვლადიმირსკის გამორიცხვა

სტალინო, 17 მაისი. საბრალმდებლო დასკვნაში შახტის კონტრ-რევოლუციის საქმის შესახებ ნახსენებია ინჟინერი ვლადიმირსკი—დონბასის სამთო ინსტიტუტის პროფესორი. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო მუშაკების სექციის სტალინის ბიურომ დაადგინა მოსთხოვოს ინსტიტუტს ვლადიმირსკის გამორიცხვა ინსტიტუტის პროფესურის შემადგენლობიდან (ადს).

მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას

სტალინო, 17 მაისი. შახტის კონტრ-რევოლუციონერების პროცესთან დაკავშირებით, ოლქის მაღაროებში გაიმართა მუშათა კრებები. მიღებულ რეზოლიუციებში მუშები მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას.

გერმანიის პრესა პროცესის შესახებ

ბერლინი, 16 მაისი. გერმანიის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი შახტის პროცესის მიმართ შედარებით თავდაჭერილობას იჩენს. პრესა უცდის, თუ რას გამოაშკარავებს პროცესი და კმაყოფილდება მოსკოველ კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობების გამოქვეყნებით.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის კორესპონდენტი სწერს:

„ბრალდება სრულებით არ არკვევს საკითხს —ვინ და რა გზით გზავნიდა დონბასში უცხოეთიდან მილიონიან თანხებს. ამიტომ ჩვენ ეჭვის თვალით უყურებთ მოსაზრებას გეგმაშეწონილ პოლიტიკურ შეთქმულების შესახებ, რაც საბრალმდებლო დასკვნის საფუძველს წარმოადგენს. საბრალმდებლო დასკვნაში მოყვანილი მრავალრიცხოვანი შემთხვევები, როგორც ჩანს, არის ცალკე პირების დაუდევრობის შედეგი".

„გერმანია"-ს მოსკოველი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი სდგას პირველ რიგში იმ საკითხებს შორის, რომლებმაც მიიპყრო საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, ფართო საბჭოთა წრეების აზრით, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა მტკიცე საფუძველზეა დამყარებული.

შემდეგ კორესპონდენტი სწერს:

„შახტის პროცესზე ამ მეგობრობას ახალი გამოცდა მოელის და, თუ მართლა უნდა განხორციელდეს იმედი, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა მიიღებს კიდევ უფრო უკეთეს ფორმას, ვინემ ამჟამად, მაშინ პროცესის მსვლელობა დაუმტკიცებს გერმანიის ხალხს, რომ მოსამართლენი ხელმძღვანელობენ არა პარტიული მიზნებით, არამედ ფაქტების დამშვიდებული და საქმიანი შეფასებით ცდილობენ ნათელი შეიტანონ ამჟამად არსებულ წყვდიადში". (ადს).

აფხაზეთის ცაკის სესია

სოხუმი, 17 მაისი. 17 მაისს აფხაზეთის ცაკის სესიაზე მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და თვითდაბეგვრის შესახებ გააკეთა ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ჩანბამ**. შეეხო რა თვითდაბეგვრას, მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლულოვანებანი, რომლებიც მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობის კულტურულ-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეგროვილი ზოგიერთი თანხები იხარჯებოდა სოფლის ადმინისტრაციის შენახვაზე. თვითდაბეგვრის თანხა ზოგიერთ ადგილებში აღემატებოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხას. მიუხედავად ამ ნაკლულოვანებათა, გლეხობამ შეიგნო თვითდაბეგვრის მნიშვნელობა და ის სახსრებით შეგნებულად მოეკიდა თვითდაბეგვრის კამპანიას.

თანამოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გააკეთა ფინსახკომის რწმუნებულმა აფხაზეთში ამხ. **მარღანიამ**, რომელიც დაწვრილებით შეეხო საგადასახადო კამპანიას, დასაბეგრავი ობიექტების აღრიცხვა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელში თავის დროზე ჩატარდა. აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ წმინდა შემოსავალი შეადგენს 5.029.783 მანეთს. პირველად ნავარაუდევი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა შეადგენდა 240.977 მანეთს. გადასახადისაგან განთავისუფლებულ ღარიბთა მეურნეობის რიცხვი შეადგენდა 16.225 (4,8 პროც.) ყველა შეღავათების გატარების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უნდა შეგროვილიყო 197.731 მან. რაოდენობით. გადასახადი სავსებით იქნა შეგროვილი. შეგროვილ იქნა აგრეთვე ყველა წინა წლების გადასახადიც.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო იმ ცვლილებებს ახალ დებულებაში მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომლებიც მიიღო საკავშირო ცაკმა.

კამათში ამხ. ჩანბას და მარღანიას მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღო 13 დელეგატმა, უმთავრესად გლეხებმა, რომლებმაც აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია კონტროლი გაეწიოს თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხების ნაყოფიერად ხარჯვას; ორატორები აღნიშნავდნენ აგრეთვე ნაკლულოვანებებს. ცალკე საგლეხო მეურნეობათა შემოსავლიანობის აღრიცხვის დარგში, სახელდობრ იმას, რომ აღმრიცხველები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების დროს ყოველთვის არ ითვალისწინებდნენ ყოველი მეურნეობის ფაქტიურ შემოსავალს, რის გამო ადგილი ჰქონდა გაუგებრობებს. კამათში გამოსული გლეხები მოითხოვდნენ, რომ მომავალში აღმრიცხველების დასახმარებლად შეიქმნას კომისია იმ აქტიური გლეხებისაგან, რომლებმაც იციან თავისი სოფლის სამეურნეო მდგომარეობა.

იაპონიის ელჩი თურქეთში იაკიში ობატა ჩამოვიდა თბილისში

16 მაისს ღამით თბილისში ჩამოვიდა იაპონიის ელჩი თურქეთში ბ. **იაკიში ობატა**, რომელთანაც ერთად ჩამოვიდნენ საელჩოს პირველი მდივანი ბ. **შიშუ ნაიტო** და იაპონიის რწმუნებული ხმელთა შუა ზღვის სრუტეების კომისიაში ბ. **ტოშიტო იამატა**. მათი ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიის გაცნობა და ზოგიერთი მსხვილი საწარმოო რაიონების დათვალიერება.

გუშინ ღამით იაპონელი სტუმრები გაემგზავრნენ ბაქოში ნავთის მრეწველობის დასათვალიერებლად.

საუბარი იაპონიის ელჩ ბ. ობატოსთან

გუშინ საღამოს იაპონიის ელჩმა თურქეთში იაკიში ობატომ მიიღო ჩვენი გაზეთის თანამშრომელი, რომელთანაც მას საუბარი ჰქონდა უმთავრესად თურქეთ-იაპონიის ეკონომიურ დამოკიდებულებათა შესახებ. ბ. ელჩი შეეხო აგრეთვე ამიერ-კავკასიაში მიღებულ შთაბეჭდილებებს და განაცხადა:

— უპირველესად ყოვლისა მე მადლობა უნდა განუცხადო საბჭოთა ხელისუფლებას იმ გულწრფელი და კეთილმეზობლური მიღებისათვის, რომელსაც მე შევხვდი საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადმოსვლისთანავე.

თქვენ მეკითხებით, თუ როგორია იაპონია-თურქეთის დამოკიდებულების პერსპექტივა. იაპონიის მთავრობა, რა თქმა უნდა, თურქეთში არ ისახავს რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზნებს. ჩვენ დაინტერესებული ვართ მხოლოდ ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებით. იმისათვის, რომ გასაგები იქნეს ჩვენი გულწრფელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება თურქეთისადმი; საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო: იაპონიაში, უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით ითვლება 60 მილიონზე მეტი მცხოვრები, ხოლო ყოველწლიურად მცხოვრებთა საშუალო ზრდა უდრის 600.000-ს. აშკარაა, ასეთ პირობებში იაპონიის მთავრობას არ შეუძლია ქვეყნის კეთილდღეობის ქვაკუთხედათ აღიაროს სასოფლო მეურნეობა, ვინაიდან მრავალრიცხოვან მცხოვრებთ არ გასწვდება მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები. ამიტომ ჩვენში უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს მრეწველობის განვითარებას და მეორეს მხრივ, სამრეწველო ნაწარმოებთათვის ბაზრების გამონახვას.

თურქეთი იაპონიის მრეწველობისათვის წარმოადგენს საკმაოდ დიდ ბაზარს, და ეს მიუხედავად სიშორისა და მთელი რიგი სხვა წვრილმანი მიზეზებისა. უკანასკნელი წლების განმავლობაში თურქეთის წლიური იმპორტი იაპონიიდან აღწევს 6 მილიონ თურქ. ლირამდე, ხოლო ექსპორტი 1 მილიონ ლირამდე. იაპონიიდან თურქეთში შემოაქვთ უმთავრესად საფეიქრო ნაწარმოებნი და ბამბა. გააქვთ ოპიუმი და სხვა საქონელი. დღემდე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვა იაპონია-თურქეთს შორის ხდებოდა ინგლისური სანაოსნო საზოგადოებების გემებით. უკანასკნელად იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა სპეციალური სუბსიდიები გაუხსნას იაპონურ სანაოსნო საზოგადოებებს და დაამყარონ პირდაპირი მიმოსვლა გემებით ქ. იოკოგამიდან პორტსაიდამდე და ალექსანდრიამდე.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რამდენათაა დაინტერესებული იაპონიის მთავრობა საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებით, ობატომ განაცხადა:

— ჩვენ დაინტერესებული ვართ, სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებით, არა თუ მარტო იმ ქვეყნებთან, რომლებიდანაც ჩვენ არ გვაშორებს დიდი მანძილი, არამედ ყველა შორეულ ქვეყნებთანაც და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან. ჩემს მთავრობას განზრახვა აქვს თურქეთთან იაპონური გემების პირდაპირი მიმოსვლის აღდგენის შემდეგ დაამყაროს აგრეთვე იმავე გემების სისტემატიური მიმოსვლა ქ. ოდესასთან. ეს ზომა უთუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის კომერციული საქმიანობის განვითარებას.

როგორც უკვე ცნობილია, საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებულია კონვენცია თევზის დაჭერის შესახებ. კონვენციაზე ხელის მოწერამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია, როგორც იაპონიის წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ორივე ქვეყნებს შორის შექმნილია მტკიცე კეთილმეზობლური განწყობილება, რომლის დამრღვევი მიზეზებიც აღარ არსებობს.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირი

მესამე სხდომაზე მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა აგრონომმა **გოგილაძემ**.

მიწის საკითხი საქართველოში, როგორც სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში — ამბობს მომხსენებელი, შეადგენს სოფლის მეურნეთა სოციალურ ურთიერთობის და კლასობრივ დაჯგუფების ქვაკუთხედს.

მიწით სარგებლობა საერთოდ იყოფა ორ ფორმად: პირველი, როდესაც მიწა იმყოფება თვით მიწის მუშის განკარგულებაში და მეორე, როდესაც მიწა არის არა მშრომელთა ხელში. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მიწით სარგებლობის მეორე სახე და მიწა მთლიანად გადავიდა მიწის მუშის და თვით სახელმწიფოს ხელში.

საბჭოთა მიწის კოდექსით გათვალისწინებულია მიწით სარგებლობის სამი წესი: თემური, უბნური და სამოსახლო. მიწით სარგებლობის თემური წესი გავრცელებულია საქართველოს ტერიტორიის 14 პროცენტზე და უბნური 80 პროცენტამდე.

მიწით სარგებლობის ამხანაგური წესი გულისხმობს მიწით გაერთიანებულ სარგებლობას სას. სამ. კომუნების, არტელების და ამხანაგობათა წევრების მიერ.

საქართველოს გლეხობის განკარგულებაში ამჟამად იმყოფება 2.123.000 ჰექტარი მიწა. აქედან სამოსახლო 67.000 ჰექტარი, ბაღ-ბოსტნის ქვეშ 15.000, ვენახის ქვეშ 32.000, სახნავ-სათესი 1.127.600, სათიბი 100.000 და საძოვარ ქვეშ 781.400 ჰექტარი. თვითეულ გლეხზე საქართველოში მოდის 5,07 ჰექტარი მიწა.

მიწათმოწყობა საქართველოში დაიწყო 1922 წლიდან.

მცირე მიწიან გლეხების (რომელთაც მოეპოვებათ საშუალოთ ერთი მეოთხედი დესეტინა მიწა) რაოდენობა მიწათმოწყობის შემდეგ 13,8 პროცენტიდან შემცირდა 4,4 პროცენტამდე.

ამჟამად მიწათმოწყობა დამთავრებულია თითქმის 85 პროცენტით. რომ ჩვენი მოსახლეობა ნორმალურათ იქნეს მიწით დაკმაყოფილებული, საჭიროა ჩვენი მიწების ფონდი გადიდებული იქნეს ერთი მილიონ ჰექტარით. ცხადია მიწის საკითხის გადაწყვეტა ჩვენში რამდენობის საზომით შეუძლებელია და საჭიროა მიღებული იქნეს ზომები მიწის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მიწის ხარისხის გაუმჯობესება და ამ საქმის შედარებით ადრე შესრულება შესაძლებელია მიწით განსაზოგადოებულ სარგებლობის პირობებში. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ღარიბი გლეხობა მეტის რაოდენობით შეკავშირდეს სას. სამ. გაერთიანებებში.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლის აგრონომ **სამადაშვილის** მოხსენება — კულტურულ მცენარეთა და მათი კოლექტიურად გაშენების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ორგბიუროს გეგმა

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაამტკიცა ცეკას ორგბიუროს 1928 წლის მუშაობის გეგმა. გეგმით სხვათა შორის, გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების განხილვა:

მაისში — დირექტივები პროფკავშირების კულტმუშაობის შესახებ, დაზგის მუშებიდან პარტიაში ახალი წევრების მიღების გეგმა, სმოლენსკის ორგანიზაციის მოხსენება.

ივნისში — მოხსენება ყირიმის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, ღონისძიებები პოლიტგანათლების საქმის გაუმჯობესებისათვის პარტიაში.

ივლისში — საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენება, მოხსენება ირკუტსკის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, სოფლის საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხი საადგილ-მამულო საზოგადოებების მიმართ საბჭოებზე ხელმძღვანელი როლის დაკისრებასთან დაკავშირებით.

აგვისტოში — საბჭოების გადარჩევის კამპანიის გეგმა, სტავროპოლის ორგანიზაციის მოხსენება, ბრძოლა საბჭოთა სამეურნეო აპარატის პირად შემადგენლობის გაუმჯობესებისა და ახალი კადრების დაწინაურებისათვის.

სექტემბერში — ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია 1928—29 წლისათვის.

ოქტომბერში — ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში საბჭოთა უჯრედების მონაწილეობის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

ნოემბერში — ახალ მშენებლობისა, მეტალურგიისა, მანქანათმშენებლობისა, ელექტრო მშენებლობისა და ქიმიურ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა შემადგენლობის შემოწმება. (ადს).

პარტგანათლება საქართველოში

(1927—28 სასწავლო წელი)

ჩვენს ძირითად პარტიულ განათლების სისტემაში შედის როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი ქსელი. სავალდებულო ქსელი შეიცავს სოფლად პოლიტცოდნის მოძრავ და სტაციონალურ სკოლებს სოფლად; ნორმალურ, შემოკლებულ და საღამოს პარტიულ სკოლებს ქალაქად. მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევარში გაიხსნა ოქტომბრის გაწვევის სკოლები პოლიტსკოლის შემოკლებული ტიპის სკოლების პროგრამით.

პირველდაწყებითი პოლიტმომზადების მისაღებად პოლიტცოდნის სკოლების გავლა სავალდებულო იყო პარტიის კანდიდატებისა და წევრებისათვის, მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყველა ტიპის პოლიტსკოლის სავალდებულოდ გადაქცევა პარტიის წევრებისათვის მიზანს ვერ აღწევს. ამიტომ გასულ წელში საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების მიხედვით ქალაქის ნორმალურ სკოლაში შემოღებულ იქნა ნებაყოფლობითი პარტსწავლა. პოლიტცოდნის დანარჩენი სკოლები ისევ სავალდებულოდ დარჩნენ, მხოლოდ განსაზღვრულ იქნა სკოლების ფუნქციები: მაგ. სოფლის მოძრავ სკოლას დაეკისრა უმთავრესად პარტიის კანდიდატების გადამზადება, სტაციონარულს-პარტწევრებისა. ამასთან აღიარებულ იქნა, რომ პარტიულ მასებში ფართოდ უნდა განვითარდეს პარტგანათლების ნებაყოფლობითი სკოლები, წრეები, ინდივიდუალები, თვითგანვითარება და სხვა.

1927—28 სასწავლო წელი დაიწყო 15 ოქტომბერს და დამთავრდა მაისში, ე. ი. გაგრძელდა 7 თვე. პირველად ჩამოყალიბდა სოფლის მოძრავი სკოლები, რომლებმაც მეცადინეობა დაასრულეს სამი თვის განმავლობაში, (იანვარში ისევ გაიხსნა ახალი მოძრავი სკოლები), ამრიგად, მოძრავ სკოლების გამოშვება მოხდა ორჯერ. დანარჩენი სკოლების და წრეების მეცადინეობა კი სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში და გამოშვება მოხდება სასწავლო წლის ბოლოს.

როგორი იყო პარტიული განათლების ქსელი მიმდინარე სასწავლო წელში? საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების ჩათვლით, ქალაქად გვქონდა სულ 403 სასწავლო ერთეული, 11.114 მსმენელით. სოფლად—234 ერთეული—6.385 მსმენელით.

თვითგანვითარებით მუშაობაში წელს ჩაბმული იყო 1127 კაცი, ეს რიცხვი ეკუთვნის მხოლოდ სამ მაზრას. თვითგანვითარების ქსელში ჩაბმულთა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ მთელ რიგ მაზრაში ჯერ ასეთები არაა აღრიცხული.

ქართულ წითელ ჯარში სულ იყო 113 სკოლა—2685 მსმენელით.

ამგვარად, წითელ არმიის პარტგანათლების ქსელის დამატებით მთელს საქართველოში ჩვენ გვქონდა 750 სასწავლო ერთეული, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 20.184 მსმენელი.

პარტქსელში ჩაბმულთა რიცხვში პარტიულები შეადგენენ 70 პროცენტს, კომკავშირელები—20 პროც. უპარტიოები—10 პროც.

ქალთა რიცხვი ძლიერ ცოტაა პარტგანათლების ქსელში (841 ქალი, ანუ 4,75 პროც.).

საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციაში 1928 წლის იანვრისათვის ირიცხებოდა 30.552 კაცი. თუ შევადარებთ მას პარტგანათლების ქსელში ჩაბმულთა რიცხვს, დავინახავთ, რომ ძირითად პარტსწავლაში ჩაბმულია მთელი ორგანიზაციის 39,5 პროცენტი. წითელ არმიელთა დამატებით კი 48 პროც.

ძირითად პარტგანათლების ქსელის გარდა, ჩვენში არსებობს პარტგანათლების საშუალო სასწავლებელი, ანუ საბჭოთა პარტიული სკოლების ქსელი. მთელს რესპუბლიკაში გვაქვს პირველი საფეხურის სამი პარტსკოლა, მეორე საფეხურის—ორი; ოსეთის პარტიულ სკოლის შესახებ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება, დანარჩენი ოთხი სკოლა კი აერთიანებს 417 მსმენელს.

უმაღლესი პარტიული განათლების მისაღებად საქართველოდან ყოველწლიურად იგზავნება სხვადასხვა კომუნისტურ სასწავლებლებში 60-მდე კაცი.

პარტგანათლების უმთავრესი ხელის შემშლელი მიზეზი იყო მომზადებულ პროპაგანდისტების საკმაო კადრის უქონლობა. აგრეთვე ის, რომ არ მოგვეპოვება საჭირო სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე.

ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო პარტიული მასებისათვის სათანადო პოლიტიკური მომზადების მისაცემად. ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი პარტიული ორგანიზაციისა ჯერ პარტქსელში არ გატარებულა, ზოგან ამის მიზეზია წერა-კითხვის უცოდინარობა, რაც პირველ რიგში უნდა იქნას აღმოფხვრილი. ისინიც კი, რომლებიც სკოლებში და წრეებში ღებულობენ პოლიტცოდნის მინიმუმს, დამშვიდებით და კმაყოფილებით არ უნდა უყურებდენ თავის მდგომარეობას. პარტაქტივს ესაჭიროება მუდმივი და სისტემატიური მეცადინეობა, აქტივისტები უნდა ცდილობდნენ თვითგანვითარებით განაგრძონ სწავლა, ამიტომ არის, რომ პარტგანათლების ნებაყოფლობით ქსელს თანდათან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

დ. ო—ძე.

დელეგატ ქალისანგარიში

(„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა).

10 მაისს „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის წითელ კუთხეში, დასვენების დროს მუშების კრებაზე დელეგატ ქალმა ამხ. ეკ. ასლამაზიშვილმა წაიკითხა ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მოისმინეს დელეგატ ქალებმა თავიანთ კრებებზე.

ანგარიშიდან სჩანს, რომ დელეგატ ქალებს სექტემბრიდან დღევანდლამდე მოუსმენიათ და გაურჩევიათ საუბრები უჯრედების მუშაობისა, მრეწველობის განვითარების, სოფლად კულტურულ მცენარეულობათა გავრცელების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის და სხვათა შესახებ.

დელეგატ ქალებს მოუწყვიათ აგრეთვე ექსკურსიები, დაუთვალიერებიათ უპატრონო ბავშვთა სახლი, ყოფილან უმუშევარ და უბინაო ქალების თავშესაფარში, სადაც იმყოფებიან მარტოხელა და ბავშვიანი ქალები, სულ 30 სულამდე. აქ, გარდა ბინისა, მათ ეძლევათ საჭმელ-სასმელი, ვინც ისურვებს სამშობლოში წასვლას ეძლევა უფასო ბილეთიც, თავშესაფართან მოწყობილია სახელოსნო, სადაც ხელოსანი ქალი პოულობს სამუშაოს.

კრების მიერ ამხ. ასლამაზიშვილის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

მეორე დელეგატ ქალმა ამხ. ნაცვლიშვილმა ანგარიშის წაკითხვაზე უარი სთქვა.

„ვოსტოკელი".

კომკავშირში

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

საბოლოო სხდომა

მოსკოვი, 17 მაისი. გაიმართა საკ. ას. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობის საბოლოო სხდომა. ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. სტალინის სიტყვა. ამხ. სტალინს ყრილობა მქუხარე ოვაციით შეეგება.

კომისიების მოხსენებებისა და რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობა ირჩევს ახალ ცეკას 91 წევრისა და 39 კანდიდატის შემადგენლობით. ახალ ცენტრალურ კომიტეტში შედიან ამხ. მილჩაკოვი, კოსარევი, ხიტაროვი და ადგილობრივი მუშაკები. სულ ახალ ცეკას შემადგენლობაში 70 მუშაა, მათ შორის 9 დაზგის მუშა. ცეკაში არჩეულია აგრეთვე ამხ. მუკლევიჩი.

შემდეგ ამხ. კოსარევი აცნობებს ყრილობას, რომ ამხ. ჩაპლინი, სობოლევი და შაცკინი სტოვებენ მუშაობას კომკავშირში.

ყრილობა კომკავშირიდან გასულ ძველ აქტიურ მუშაკებს უმართავს მქუხარე ოვაციას და ირჩევს მათ საპატიო კომკავშირელებად.

ფაქტების ღაღადი

(პასუხად ბ-ნ კ. კანდელაკს)

V

თემის ბიუჯეტი მენშევიკების დროს

უპირველესად ყოვლისა, რას წარმოადგენდა მენშევიკების დროის თემი და ეგრეთ წოდებული თემის ბიუჯეტი, საბიუჯეტო-საფინანსო უფლების მხრივ.

ცნობილია, რომ არავითარი, ოფიციალურად მიღებული და სათანადოთ გამოქვეყნებული დებულება საერთო ერობის ბიუჯეტის და კერძოთ თემის საბიუჯეტო-საფინანსო უფლებების შესახებ მენშევიკებს არ ჰქონიათ.

სხვადასხვა თემი ხშირად ერთსა და იმავე მაზრაში სხვადასხვა ნაირად აწყობდა თემის ბიუჯეტს და ყოველივე ცალკე თემი დაუკითხავათ ითვისებდა საბიუჯეტო უფლებების იმ ჯამს, რომელიც მას ესაჭიროებოდა. ფაქტიურად კი არც თემის ბიუჯეტი იყო და არც რაიმე უფლებებით აღჭურვილი სათემო ერობა. რომ ეს სწორედ ასე იყო, ამას მოწმობენ შემდეგი ამონაწერები იმავე მენშევ. ოფიციალურ ჟურნალ „ერობიდან". „საჭიროა (თბილისის მაზრაში) დაჩქარებით გამორკვეულ იქნას თემის საბიუჯეტო უფლება. საჭიროა გამაგრდეს თემის მდგომარეობა. უნდა ხელი შეეწყოს მის გაჯანსაღებას, თორემ" თუ საძირკველი (ალბათ საძირკველი ვლ. ორჯ.) დანგრეულია მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა დაკარგულია". („ერობა" № 2 20 წ. № 1), „არ იყო (გორის მაზრაში) მიიღო შემდეგი დადგენილებანი: თემსაც და სამაზრო ერობასაც ექნეს საბიუჯეტო უფლებანი". („ერობა 20 წ. № 2), „არ იყო (გორის მაზრა) აგრეთვე გარკვეული საბიუჯეტო უფლება, რის გამოც თემები უფლების გამო (?) დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ და ხშირად ვერ ახორციელებდნენ დასახულ მიზნებს". („ერობა" 1920 წ. № 1), „ჩვენი (ოზურგეთის მაზრა) საბიუჯეტო უფლებები გაურკვეველია" („ერობა" 1920 წ. № 3) და სხვადასხვა. ამისთანა უიმედობით გამსჭვალული განცხადებებია საქართველოს თითქმის ყველა მაზრიდან.

დაბოლოს, როგორც იქნა 1920 წელში შედგენილი იყო ვრცელი და საქართველოს სინამდვილისათვის სრულიად გამოუსადეგარი „კანონ-პროექტი თემის შესახებ". მაგრამ ჯერ ერთი, რომ „კანონპროექტს თემის შესახებ" დამტკიცებაც ვერ ეღირსა და მეორე, უმთავრესი ის იყო, რომ კანონპროექტში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი უამრავი ხარჯები, რომელიც ეკისრებოდა თემს, ხოლო მის შემოსავლის და თემის საბიუჯეტო-საფინანსო უფლებების შესახებ კი კანონპროექტში ასეთი შედევრი იყო მოთავსებული: „IV) ფინანსები, საბიუჯეტო უფლებები და ანგარიში. ეს ნაწილი კანონპროექტისა შემუშავდება მაშინ, როცა საზოგადოთ შემუშავდება ადგილობრივი თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლება. ყოველ შემთხვევაში შესაძლოა აქვე აღინიშნოს სწორი სქემატიური გეზი თემის საბიუჯეტო უფლებისა: 1) საზოგადო სახელმწიფოებრივ საქმეთა შესასრულებლად სახსარს იძლევა ხაზინა, 2) სახელმწიფო ეხმარება თემს დოტაციის და სუბვენციის საშუალებით, 3) დაბეგვრა სწარმოებს „დამატებითი სანტიმების" სისტემით უმთავრესად საერობო გადასახადებთან. ეს სქემა მაშინ იქნება დამაკმაყოფილებელი, როცა შეიცვლება არქაიული საერობო გადასახადთა წესდება და მის მაგიერ შემუშავდება თანამედროვე დამაკმაყოფილებელი წესდება საერობო შემოსავალ-გასავლის შესახებ".

ასეთია შინაარსი დებულების მე-IV თავისა, რომელიც განზრახ სავსებით და სიტყვა-სიტყვით ამოვწერეთ.

რასაკვირველია, ამ ფრიად სასიამოვნო, მაგრამ სრულიად უშინაარსო აბდა-უბდას თემის იურიდიული სახის გამორკვევა და მისი ფინანსიური გაჯანსაღება არ შეეძლო. ამიტომ ძველებურად ყოველივე ცალკე თემი თავისებურად ჰქმნიდა თემის ბიუჯეტის პოლიტიკას და ყოველ ცალკე შემთხვევაში თემი იძულებული იყო გამოენახა თავისი ხარჯების დასაკმაყოფილებლად თემის ფარგლებში საშემოსავლო წყარო.

ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალებიდან ირკვევა, რომ მართლაც თემი დიდს ფინანსიურ გაჭირვებას განიცდიდა. თემს უამრავი ხარჯები ჰქონდა დაკისრებული მაზრის მიერ და საქართველოს ყველა თემი ცხოვრობდა განსაკუთრებით დოტაციით, სოფლის მოსახლეობის დაბეგვრით და ადგილობრივი გადასახადებით. მივმართოთ ისევ ოფიციალურ მასალას.

შორაპნის მაზრაში „ფინანსიური მხარე თემებისა ვერ არის კარგათ დაყენებული, სცხოვრობენ სესხით და სურსათის წარმოებიდან შემოსული თანხებით".

დუშეთის მაზრაში „ერობის გამგეობა ცდილობს საქმის მოწესრიგებას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს ვერ აკეთებს".

სიღნაღის მაზრაში „თემების სასურველ ნიადაგზე მუშაობას ხელს უშლის ფინანსიური მდგომარეობა: თემს ძალიან ცოტა აქვს შემოსავალი წყარო და ის გადასახადები, რაც თემის მიერ შემოღებულია, დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში".

ოზურგეთის მაზრაში „ხელს გვიშლის ფინანსიური ხასიათის დაბრკოლება, ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა კრიტიკულია, პირდაპირ საშინელია. მრავალი ხარჯები გვაქვს. აუარებელი დაწესებულებები უნდა შევინახოთ, ყველაფერი ჩვენს ხელშია, ქონება კი არ გვაქვს, შემოსავალი არსაიდან".

ამ კრიტიკულ და „პირდაპირ საშინელ" ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, თემები აწერდნენ სოფლებზე უამრავ გადასახადებს; მაგრამ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ გლეხკაცობა თავის ნებით გადასახადს არ იხდიდა და მას ძალდატანებით ახდევინებდნენ. რაც შეეხება თემში შემოღებულ გადასახადებს აქ უნდა მოვიხსენიოთ „საფუთო გადასახადი", რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას პირდაპირ სისხლს უშრობდა.

„საფუთო გადასახადი—სწერდა თელავის მაზრიდან ე. ბერეჟიანი—მიზან შეუფერებელია. ხშირად ხდება, რომ საქონლის პატრონი, ურემზედ არ არის, ამისათვის ატუსაღებენ ურემს, ვიდრე საფუთო გადასახადს არ მოიშორებს; ასეთი მაგალითიც ხშირია, რომ თემს რწმუნებული ახდევინებს საფუთო გადასახადს და თვით ითვისებს,... საფუთო გასახადი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. როცა თემის მილიციონერი უხვდება ურემს საფუთო გადასახადისათვის, იწყება ერთი ალიაქოთი, უსიამოვნება, ყვირილი; ლანძღვა; გროვდება ხალხი და ყველას სახეზედ კითხულობთ უკმაყოფილებას გადასახადის წინააღმდეგ. ხშირად ურმებს უხდებათ რამდენიმე თემი გაიარონ". („ერობა" 1920 წ. № 3), ამავე დროს ოზურგეთის სამაზრო საერობო ყრილობამ ნოტანებ-ოზურგეთის გზაზე გადასაზიდ ტვირთის თვითეულ ფუთზე საგრძნობლად გაადიდა გადასახადის რაოდენობა.

„წინანდლის არსებობის შემოსავალ წყაროებს შეადგენენ: 1. მოწმობების გადასახადი, 2) განაჩენების შესამოწმებელი, 3) ნასყიდობების შესამოწმებელი, 4) საკლავზედ გადასახადი და 5) საფუთო გადასახადი". ყველა ეს საშემოსავლო წყარო იძლეოდა თვეში დაახლოვებით 3.450 მანეთს (ბონებში) და გასავალი კი უდრიდა თვეში 21.700 მან., მაშასადამე 18.310 მანეთი, რომელიც ყოველ თვიურად უნდა გამოენახა თემს მხოლოდ თავისი ადმინისტრატიული აპარატის შესანახად თემზე იწერებოდა. წინანდლის თემის ფინანსიური მდგომარეობა დამახასიათებელი იყო მაშინდელ დროის საქართველოს ყველა თემისათვის.

VI

სოფლის სკოლები მენშევიკების დროს

თუ თემის ბიუჯეტი არ ყოფნიდა ადმინისტრაციას, თუ მოსახლეობა არ იხდიდა გაწერილს გადასახადს, მაზრა კი ვერ ეხმარებოდა სოფელს, მაშინ საინტერესოა გამოირკვეს საკითხი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა სოფლის ადგილობრივი დაწესებულებანი და მათი მუშაკები—სკოლები, აგრონომები და სხვა.

მაზრების მთელი რიგი თემებიდან მიდიოდა ცნობა, რომ სკოლა უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. აუარებელ მასალიდან ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს:

სიღნაღის მაზრაში: „თემების სკოლები მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, რის მიზეზები მრავალია: არ მოიპოვება შესაფერი შენობები, არ არის მომზადებული მასწავლებლები და სხვა. ბევრი მოწაფე რჩება სკოლის გარეთ" („ერობა" 1920 წ. № 4).

გურჯაანში „სასკოლო შენობა ქვისაა, სამი დიდი ოთახისაგან შესდგება: ამჟამად უზომოდ დაძველებულია. ალაგ-ალაგ კედელი გახეთქილია და ჩამონგრეული, თითქმის ყველა ფანჯრებია მინები ჩალეწილია; ერთი ფანჯარა, თავის ჩარჩო-ბუდითურთ, ამოვარდნილია და დღეს არა—ხვალ სულ მთლად ჩამოსცილდება კედელს, დაძველებული საკლასო დაფა კოჯაურების გაფუჭების გამო, იატაკზე გდია, საანგარიშო „სჩოტიც" დალეწილია. დროთა ვითარების თუ მზრუნველთა უყურადღებობის გამო; გაუკეთავ შკაფში საცოდავათ გამოიყურება ოდესღაც დიდი ზრუნვით თავმოყრილი სურათები; უხმარათ არის დაგდებული ჯადო-ფარანი (волшебный фонарь), კედლები, იატაკი და მთლად სკოლა, უსუფთაობის და სიძველის ცოცხალ სურათს წარმოადგენენ... ამ სკოლას განყოფილებებიც აქვს. იქ კიდევ უარესი მოუწყობლობაა: უვარგისი პარტები, მასწავლებლისათვის არც სტოლი, არც სკამი, არც ერთი სურათი კედელზე, სკოლას მსახური არ ჰყავს".

ველის ციხეში „სკოლაში მინები ჩალეწილია" ყოველ მხრიდან ქარი უბერავს, ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია; შკაფები დაუკეტავია... შკაფში უწესრიგოთ დაყრილია დამტვრიანებული და გაფუჭებული სურათები, რუქები, გლობუსი, ჯადო-ფარანი, მრავალი ხელსაწყო, რომლის შესაძენადაც დღეს-დღეობით ვერას გზით ვერ მოახერხებს სკოლა, მოუვლელობით იღუპება. სკოლას არა ჰყავს გამგე. ყოფილი გამგე წასულა და ღვთის ანაბარა დაუტოვებია სკოლა. სკოლას არც მსახური ჰყავს, შიგ წარმოუდგენელი უსუფთაობა მეფობს".

ველის ციხეში „მეორე სკოლაც არის. შენობა საეკლესიოა, საშინელი ნესტიანი და ბნელი. ამ სკოლას სრულიად არაფერი გააჩნია, არც ერთი სურათი; არც სხვა რამ სახელმძღვანელო არ მოეძებნება".

ახმეტში „სკოლა მოთავსებულია ნამდვილ დიდ ბეღელში, რომელიც გამოჭედილია 94 შეგირდის პარტებით. სასუნთქავი ჰაერი არ აქვს მოწაფეთ და მასწავლებლებს. როცა აცივდება და ფეჩი დაიდგმის, რამდენიმე პარტა უნდა აიღონ და მოწაფეების ნაწილი დაითხოვონ".

ჩუმლაყში „სიცივის გამო მეცადინეობა შეწყვეტილია. სკოლა მოთავსებულია ეკლესიის გვერდით, ბნელ და ნესტიან ოთახში, რომელიც ღარიბი მონასტრის სენაკს მოაგავს. არავითარი მოწყობილობა; ფანჯრების მინები აქაც ჩალეწილია. ქვის იატაკი იმდენათ ნესტიანია, რომ რამდენიმე წუთითაც ძნელია იქ დგომა".

მკითხველი ხედავს, როგორი იყო სკოლების მდგომარეობა მენშევიკების დროს.

ასეთ და უფრო საზარელ სურათების ამოწერას რომ მოვყვეთ, ძალიან შორს წაგვიყვანს. უნდა ვსთქვათ მხოლოდ. რომ ყველგან სიღნაღის მაზრაში (და სხვა მაზრებშიაც ვ. ო.) ძველი სკოლები მთლად დანგრეული იყო, ინვენტარს მოკლებულნი და სკოლები მოთავსებული სრულიად უვარგის და გამოუსადეგარ შენობებში. „დანარჩენი ახალი სკოლები უფრო ღარიბი (!) არიან", ვკითხულობთ დამფუძნებელი კრების განათლების კომისიაში წაკითხულ მოხსენებაში.

მაშასადამე, საქართველოს სოფელს 1920 წ. არ ჰქონია უმრავლეს შემთხვევაში არც ერთი დაწესებულება, რომელიც მართლად სკოლას **წარმოადგენდა**. ამ მხრივ მაშინდელი დროის სოფელი, თვით ოფიციალურ მოხსენების აღწერის თანახმად, ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენდა.

რას წარმოადგენდა 1920 წ. სოფლის სკოლის ქსელი, რამდენად საკმარისი იყო იგი, და როგორ შედეგებს იძლეოდა მაშინდელი სკოლა? მივმართოთ იმავე დროის ოფიციალურ მასალას: „რადგან (სკოლის) შენობები ვერ იტევს იმდენ მსურველთ, ზოგან კენჭის ყრით იღებენ ბავშვებს დიდი თავ-პირის მტვრევაა და აურ-ზაურია, ბავშვების მიღებაზე. სკოლის გარეთ დარჩენილთა მშობლებს ძალით მიჰყავთ შვილები სკოლაში და საკლასო ოთახში ფანჯრიდან შეაძვრენენ ხოლმე გაკვეთილის დროს".

„მაგრამ, იქნებ თავისი შინაარსით მაინც იზიდავს სკოლა მოზარდი თაობის სულსა და გულს? იქნებ ამ უბადრუკი პირობების მიუხედავათ მაინც იფურჩქნება და ყვავის ბავშვის სული, ფართოვდება მისი გონებრივი ჰორიზონტი?".

თურმე არც ამ მხრივ ამართლებს მაშინდელი სკოლა თავის დანიშნულებას.

„სწავლა იწყება დილის 9 საათზე, ხვალ ღრუბლიანი დღის გამო — სწავლა ათზე დაიწყება; ზეგ დაიწყება მაშინ, როცა ბავშვები მოიყრიან თავს. ხშირია მაგალითი, როდესაც ბავშვი ერთ-ორ თვეს დადის სკოლაში; მერე სრულიად უმიზეზოთ თავს ანებებს. ორი-სამი თვით ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში შეგირდი ანბანის ცოდნის გარდა არაფრით არ განსხვავდება იმ მეღორეთა და მეძროხეთაგან, რომლებსაც არასოდეს სკოლის კარები არ უნახავათ. მის ნაწერში და ზეპირად ნათქვამში იშვიათად თუ დაინახავთ გონებრივ წარმატებას. მათგან დაწერილი სტრიქონები უფრო ყურადღების მიჩლუნგებას მოწმობენ (ასოების და სიტყვების გამოტოვება, ნაწერის უაზრობა), ვინემ განვითარებას".

ზედმეტია ყოველივე ახსნა-განმარტება ჩვენ მხრივ. სურათი სრულიად ნათელია. გამოსარკვევია კიდევ, თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინდელი მასწავლებლობა? ამის შესახებ აი რას სწერდა ვინმე სეკედელი „ერობაში":

„ჩვენ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი სკოლა დაღუპვის გზაზეა. სკოლა და მასწავლებლობა არასოდეს არ ყოფილა კარგ მდგომარეობაში — დღევანდელი მდგომარეობა კი პირდაპირ აუტანელია. ამჟამამდე ვითმენდით, მაგრამ მოთმინებას უკვე ბოლო მოეღო. დამშეული, ფეხშიშველი, ძონძებში გახვეული მასწავლებლობა იღუპება. დღეს თუ ხვალ დაიღუპება აგრეთვე სკოლებიც, მთავრობამ გაკოტრებულად გამოაცხადა თავისი თავი მასწავლებლობის და სკოლების გადარჩენის საქმეში. თუ ბავშვების მშობლებს, საზოგადოებას და კერძო პირებს სურთ მატერიალურად დაეხმარონ სკოლებს — მთავრობამ ამაში ხელი არ უნდა შეუშალოს მათ. გაიგონეთ, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენი მოზარდი თაობა". („ერობა" № 11).

ამის გარდა, კარგათ ცნობილია, რომ შორაპნის მაზრის მასწავლებლობამ გაფიცვა გამოაცხადა ეკონომიურ ნიადაგზე.

ასეთს უნუგეშო სურათს წარმოადგენდა მენშევიკური სკოლა სოფლად „სკოლის შენობა და მოწყობილობა მტრისაგან ბრძოლით დაპყრობილი, ქალაქის აწიოკებულ სახლებს წააგავდა, შეგირდები კი უმეტეს შემთხვევაში — ლტოლვილთა ბავშვებს. სკოლას არ ჰქონდა თავის მისადრეკი ადგილი; ის ობოლი და ბოგანო იყო. ის აღარ იყო არც ძველი და არც ახალი სკოლა. მისი სახე გაურკვეველი იყო". (ერთობა № 11).

ასეთს უნუგეშო სურათს წარმოადსურათხატება თვით მენშევიკების მიერ. ასეთივეა თუ უფრო უარესი არა, სხვა მეტის-მეტად მცირე და სოფელში იშვიათად საპოვნი სხვა ადგილობრივ დაწესებულებათა მდგომარეობაც.

VIII.

რა არის გასაოცარი

ამის შემდეგ წიგნაკში „რას ამბობენ ფაქტები" ბ-ნი კანდელაკი გაოცებას გამოსთქვამს, იმის შესახებ, რომ 1925 წ., ე. ი. 4 წლის შემდეგ „არიან მაზრები, სადაც სკოლების რიცხვი საკმარისი ყოფილა, მაგრამ „როგორც წესი" ისინი მოთავსებული არიან შემთხვევით და საძაგელ შენობებში და ძლიერ საჭიროებენ სასკოლო ინვენტარს და სამოსწავლო ნივთებს", ან იმის შესახებ, რომ 1925 წ. მასწავლებლის უმაღლესი ჯამაგირი თემში ძალიან ძვირად აღემატება 37 მან. 50 კაპ., ან რომ სკოლას ზოგიერთ შემთხვევაში მსახური არ ჰყავს".

მოდით თქვენ და ნუ გაგიკვირდებათ!

ზემოთ აღწერილი და ზოგიერთ შემთხვევაში აღწერილზე უარესი მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა საქართველოს ადგილობრივმა ბიუჯეტმა, და ამის შემდეგ ვიმეორებთ, არ არის გასაკვირალი, თუ 1925 — 26 სამეურნეო წლისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ და სასურველად ვერ მოეწყო სკოლის საქმე საქართველოში, რა არის გასაოცარი იმაში, რომ 1925—26 წელში საქართველოში ზოგიერთი სკოლა უვარგის შენობაშია მოთავსებული, რომ ზოგიერთ სკოლას არ ჰყავს დარაჯი და სხვა. საქართველო ჯერ-ჯერობით რა ისეთი შესაძლებლობის პატრონია, რომ მას საშუალება ჰქონოდა სამი-ოთხი წლის განმავლობაში მთელი ადგილობრივი მეურნეობა და ადგილობრივი ყველა დაწესებულებები ხელ-ახლა მოეწყო. და თუ მართლაც დღეს მოიპოვება რაიმე გასაოცარი, უსათუოდ გაკვირვება და გაოცება მხოლოდ იმ უტყუარ და ყველასათვის ნათელ ფაქტებმა უნდა გამოიწვიოს, რომ ღარიბმა საქართველომ ისეთ მოკლე დროში, როგორიცაა 3—4 წელიწადი, სრულიად „გაოხრებული და აწიოკებული" სოფლის სკოლა გაასუფთავა, იქ მინები ჩასვა, ინვენტარი შეიძინა. ახალი სკოლების აშენების გარდა ძველი ძონძების შენობები უმრავლეს შემთხვევაში შეაკეთა, მასწავლებლებს ძონძების მაგივრად ადამიანური ტანსაცმელი ჩააცვა და თვით სკოლაში ისეთი პირობები შექმნა, როდესაც „იფურჩქნება და ყვავის ბავშვის სული და ფართოვდება მისი გონებრივი ჰორიზონტი".

ვ. ორჯონიკიძე.

(დასასრული იქნება)

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს.

განათლების სახ. კომისარიატის მოწოდება

საქ. მეცნიერების მუშაკების, მასწავლებლების და მოწაფეების მიმართ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ რამოდენიმე დღის წინად ქუთაისს თავს დაატყდა საშინელი უბედურება. ცეცხლის სტიქიამ იმსხვერპლა ქალაქის მოსახლეობის ულარიბესი რაიონი. დანაკლისი, რომელიც სტიქიურმა უბედურებამ მიაყენა ამ მოსახლეობას, დიდია არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურული თვალსაზრისითაც.

საქართველოს მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ამ საქმისათვის აუცილებელია საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობის ამოქმედება.

ჩვენი მიზანია ალვადგინოთ დაზარალებული რაიონი და შესაძლებლობის ფარგლებში გავაუმჯობესოთ დაზარალებულთა ყოფა-ცხოვრების პირობები.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში მთელ საბჭოთა საზოგადოებრივობასთან ერთად, დიდი თვითმოქმედება და აქტიური თანაგრძნობა უნდა გამოიჩინოს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების მუშაკებმა, მასწავლებლობამ და მოწაფეობამ. ჩვენი ენერგიული მონაწილეობით უნდა მოეწყოს დაზარალებულ მოსახლეობისათვის სწრაფი მატერიალური დახმარების აღმოჩენის საქმე. მასწავლებლებისა და მოწაფეების აქტიური მონაწილეობით, თვითეულმა სკოლამ ეს მეტად დიდი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მუშაობა უნდა ჩაატაროს რაც შეიძლება მეტი ენერგიით და წარმატებით.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ მიმართულებით ჩვენი გამოძახილი და ჩატარებული მუშაობა საგრძნობი და ნაყოფიერი იქნება.

ჩვენი ქვეყნის კულტურულმა ძალებმა, მუშებთან და გლეხებთან ერთად აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ ქუთაისის აღდგენის საქმეს.

განათლების სახალხო კომისარი.

5.000 მან. ერევნის ქალაქის საბჭოსაგან

ერევანი, 17 მაისი. ქალაქის საბჭოს დადგენილებით ქალაქის საბჭოს საშუალებიდან გადადებულია 5.000 მან. ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დახმარება ქუთაისს

გამოხმაურება

„სოფლის მეურნე“-ს თანამშრომლების წვლილი

„სოფლის მეურნეს“ თანამშრომელთა საერთო კრებამ დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო ერთი დღის ხელფასი.

თვიური ხელფასის ერთი პროცენტი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ქუთაისში ხანძრისაგან გადამწვარი უბნის აღსადგენად გადასდო თვიური ხელფასის 1 პროც.

მათხოჯის შვიდწლედის მასწავლებლების დახმარება

მათხოჯის შვიდწლედის მასწავლებლებმა ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდეს ერთი დღის ხელფასი.

ჯამაგირის 2 პროც.

საქ. იუსტიციის სახ. კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ იმ თანამშრომლებმა, რომლებიც ღებულობენ 50 მანეთს თვიურ ჯამაგირს გადასდონ 2პროც., ხოლო 50 მანეთის ზევით კი ერთი დღის ხელფასი—ქუთაისში დაზარალებულთა დასახმარებლად.

დამცველთა კოლეგიის წევრების გამოხმაურება

საქართველოს დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა თავის საგანგებო სხდომაზე დაადგინა, რომ დამცველთა კოლეგიის ყველა წევრებმა გაიღონ ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ ყოველთვიური საწევრო გადასახადის თანხის ნახევარი.

ერთი დღის ხელფასის გადადება

სად. ნავთლუღის რკინის გზის სადგურის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებამ დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი ქუთაისის დაზარალებულთა დასახმარებლად.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტში

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის თანამშრომელთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად.

10.000 მან. გადადება

ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად მთავრობის მიერ გამოყოფილ კომისიაში გუშინდლამდე თბილისის სხვადასხვა წარმოება დაწესებულებებიდან შემოვიდა 10.000 მან.

შემოწირულების შეკრება სწარმოებს მაზრებშიაც, მაზრებიდან ჯერ ჯერობით ცნობები არ არის მიღებული შემოსულ შემოწირულების რაოდენობის შესახებ.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საზოგადოებაში

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის თბილისის საზოგადოება შეუდგა ხანძრისგან დაზარალებულთათვის შემოწირულების შეგროვებას ნატურით. უმთავრესად აგროვებენ ტანსამოსს და ქვეშსაგებ-საბურავს. შემოწირულების პირველი პარტია ამ დღეებში გადაიგზავნება ქუთაისში.

ქუთაისის აღსადგენათ

16 მაისს შესდგა საქართველოს სახკომმრეწვის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენება ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა ქუთაისის აღდგენის მიზნით გადადებული იქნეს ერთი დღის ხელფასი.

დიასახლისთა დახმარება

15 მაისს 1-ლ რაიკომის ქალთა განყოფილებაში შესდგა დიასახლისების საერთო კრება. ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფენია გეგეშიძემ. მოხსენების შემდეგ არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა შემოწირულების შეგროვება დიასახლის ქალთა შორის. კრების დამთავრებისას კომისიამ შეაგროვა 77 მან.; შემოწირულების შეგროვება გრძელდება.

აჭარისტანი ეხმარება ქუთაისს

ბათუმი, 15 მაისი. აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარის ამხ. სურმანიძის თავმჯდომარეობით შექმნილია მთავრობის კომისია ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. კომისიამ მოწოდებით მიმართა აჭარისტანის ყველა მშრომელთ.

ბათუმში და მაზრებში სწარმოებს ნივთების და ყულაბებით ფულის შეგროვება.

წარმოებათა უმრავლესობამ დაადგინა დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდონ ერთი დღის ხელფასი (დს).

409 მანეთის გადადება

საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრებამ ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდო ერთი დღის ხელფასი 409 მან. და 67 კაპ. რაოდენობით.

თავის მხრივ საერთო კრება იწვევს ა.-კ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სტატ. ცენტრ. სამმართველოებს და საქართ. საგეგმ. კომისიის თანამშრომლებს. კრებამ გადასწყვიტა მიმართოს ყველა ადგილობრივ სტატ. ორგანოებს, რომლებიც ემორჩილებიან სტატ. ცენტრ. სამმართველოს, გადასდონ დაზარალებულთა სასარგებლოთ არა ნაკლებ ერთი დღის ხელფასისა.

ერთი დღის ხელფასი

მთავარი ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ქუთაისის ღარიბ ებრაელთა გადამწვარი უბნის აღსადგენად და დაზარალებულთა დასახმარებლად გაიღოს ერთი დღის ხელფასი.

კრება თავის მხრივ იწვევს: თბილისის მთავარ ფოსტას, რკინის გზის, ოლქის სამმართველოს, ქალაქის და ქალაქთაშორისო ტელეფონის, ბაქოს, ერევანის, ბათუმის და სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებს.

რკინის გზელთა შორის

გან. მუშაკთა კავშირის მე-29 ადგილკომში გაერთიანებულმა რკ. გზის მე-4 სკოლისა და რკ. გზის ინტერნატის თანამშრომლებმა დაადგინეს გადასდონ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა ფონდში თავიანთი თვიური ხელფასის 3 პროც.

ბორჯომ-ბაღის დრამწრის გამოხმაურება

ბორჯომ-ბაღის ქართულმა დრამატიულმა წრემ თავის საგანგებო სხდომაზე დაადგინა დაუყონებლივ შეუდგეს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად საღამო-წარმოდგენის მზადებას.

რკ. გზის მუშფაკში

რკინის გზის მუშფაკის პედაგოგიურმა პერსონალმა, თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის გამოწვევის თანახმად, ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდო ერთი დღის ხელფასი 109 მან. და 15 კაპ. რაოდენობით.

სასტუმრო „პალასის“ მუშა-მოსამსახურეების დახმარება

აღმასკომის 1-ლ საბჭოთა სასტუმრო „პალასი“-ს მუშა-მოსამსახურენი ქ. ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ სწირავენ ერთი დღის ხელფასს და ასეთი დახმარებისათვის იწვევენ საბჭოთა სასტუმროების—„ორიანტის“, „ევროპის“, ორიანტთან არსებულ მუშკოოპის სასადილოს, სადგურთან არსებულ წითელ სასადილოს და აღმასკომის აბანოების მუშა-მოსამსახურეებს.

დახმარების ფონდის გასაძლიერებლად

ახალშენებათა სამმართველოს თანამშრომელთა საერთო საგანგებო კრებამ იქონია მსჯელობა ქ. ქუთაისში მომხდარ ხანძარის შესახებ და დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი დაზარალებულთა დასახმარებლად.

შემომაქვს ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 5 მანეთი და ვიწვევ: მარგო სააკაშვილს, ეკატერინე კვირკველიას, რიფსიმე წოლოსანს, ვანო წვენიევს, რაფიკ კორინთელს და მიტო ერისთავს.

ელიოზ ხუციშვილი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნუნუ და ლენა ზამბახიძეს, ლუბა ხიხარულიძეს, სოლიკო სიხარულიძეს, კატო სააყვარელიძეს, გიზო და დარეჯან დოლიძეებს, გოგოლა თოფურიას, ლილი ტრაპაძეს, ნოდარ გუგუშვილს, ალიკ ავეტიკიანს, ლილი და მალიკო აპრიამოვებს, ნათელა თვალთვალაძეს და გოგი ჩიკაშუას.

ლეილა ნოეს ასული ზამბახიძე.

უსინათლო ბავშთა სკოლა-კომუნის პანსიონერებს შემოაქვთ ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ პატარა ბავშვების სასარგებლოდ 10 მანეთი. და იწვევენ შემდეგ სასწავლებლებს: ყრუ-მუნჯთა კოლექტივის და ავჭალის ახალშენის სკოლის მოწაფეებს.

მინდობილობით ა. ჩხაიძე.

ქალ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აკაკი ქავთარაძეს, სერგო მეგრელიშვილს, ბესარიონ გოგიას, პრაკოპი მეგრელიშვილს, სევა კუსიკელიშვილს, ბეგი ბერიას, ჩიჩიკო რაფავას, გრიშა შელიას, ერმილე ჭაკონიას, თომა ლუკავას; მათე მგელაძეს, რუბენ მაჩაიძეს, პავლე ბრეგვაძეს, აკაკი ბაბუნაშვილს, ფორა მიქავას.

ვანო ნიკოლაიშვილი.

მუშკოოპის გამანაწილებელი პუნქტის თანამშრომლებს შემოაქვთ/23 მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და იწვევენ მუშკოოპის სადაიაქო და ხორცის გამანაწილებელ პუნქტის თანამშრომლებს.

დავალებით მ. ნემსაძე.

თანახმად ამხ. მიშა პირველის გამოწვევისა შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლიტერიბი სულუქაძეს, სამსონ გვაბავას, დავით გვაზავას, ალექსანდრე პაპავას, გიორგი სულუხიას, გრიგოლ ბელიძეს; კლიმენტი აბუსერიძეს, იოსებ ბერიშვილს, იაკობ მონიავას, გალაქტიონ ცინცაძეს.

სამსონ კიკაბიძე.

თბილისის საღამოს 1-ლი საერთო განათლების კურსების თანამშრომლები იღებენ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასს—47 მან. რაოდენობით.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: მარინე და დათო ერისთავებს, ნანიკო პოპიაშვილს, ვატო და ნინიკო ფურცელაძეებს, ნათელა ახვლედიანს.

ეკა ჟუჟიაშვილი.

ლეილა ცერცვაძის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ: ნინო მელიას, მერი მოლონელიძეს, ირაკლი გვერდწითელს; ბაბო ფალავას; რაისა ხუნდაძეს, ოლია ახალბედაშვილს, ელენე დიდმელაშვილს, ლეილა დედანიშვილს, ნადია კიკნაძეს, თამარი ელიაშვილს, თეიმურაზ ლოლობერიძეს; ვენერა მაისურაძეს, თამარი ლვინიაშვილს, ციალა ხომახურიძეს, ნინო ლასხიშვილს, ეთერი ჯაფარიძეს, ნათელა დოლიძეს.

მე-3-მე საცდელ საჩვენებელი შრომის სკოლის მე-3 ჯგუფის მოწაფე **თამარ ბაქრაძე**

შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ გაზეთ კომუნისტის მუშკორებს: ნიკო ასლამაზაშვილს, ნიკო იტრიევს, შაქრო ნავთლუღელს, გოგო ხერხეულიძეს, ს. ხოჯაევს, რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან: ილია თაქთაქიშვილს, ივანე ვოლსკის, იოსებ გელაშვილს, ვასო ვაშაკიძეს, ნიკოლოზ რადნოვს, პავლე მატრიაშინს, სიმონ ნაუმოვს, ვალოდია ბარიხოვს, ვასო ზუბკოვს, ვასილ ფილიმონოვს.

ვ. ბარბაქაძე.

შემომაქვს ორი მანეთი (2) ქ. ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ: ს. მერკვილაძეს, მოსე ჭყონიას, სანდრო ლოლობერიძეს; ლეონტი ჭავჭანიძეს; ბესარიონ კეთილაძეს, შალვა პაპიტაშვილს, მიშა რუხაძეს, დათიკო ტაბიძეს, ალექსანდრე მალაკელიძეს და დათიკო უუფარაძეს.

მიშა გიორგისძე ლალაძე.

შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ: ვალიკო ბირკაიას; გიორგი ბირკაიას, დავით გრიგალავას, სერგო მონიავას, გრიგოლ ლალანიძეს, სანდრო ფარცხალაძეს, მიხეილ ლვინცაძეს, შალიკო ჭავჭანიძეს, გიორგი ნოჟარაძეს, გრიშა ლვინცაძეს,

აკაკი ვ. ბირკაია.

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს (2) ორი მანეთი და ვიწვევ: ართლეგიონის უფროსს ხევცურიანს, ა. დემეტრაშვილს, შტ. უფროსს. ამხ. ჟუჟიაშვილს, პ. ზ. ქ. მდივანს ხომერიკს, კლ. უფროსს ლეჟავას, კომახიძეს, ცხადაიას, ნოზაძეს, ცაგარეიშვილს,, ჩერქეზიას, თავართქილაძეს; მითაიშვილს და ორმოცაძეს.

ზოგი ენდოლაძე.

ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ საქ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა ა. წ. 14 მაისს გადასდო ერთი დღის ხელფასი ჯამით: ოთხას ცხრა მან. და 96 კაპ. (409—96).

ქუთაისში დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი (1) და ვიწვევ: თენგიზ, ლენა, ნონა და ნელი ჭანჭალეიშვილებს, ლამარა ჭავჭავაძეს, შალო და ცუგრი ჯაფარიძეებს, ანიკო შენგელაიას, გივი და მედეა კამკამიძეებს, მარგო, ზურაბ და დარეჯან ხარაძეებს, ზურაბ ტაბატაძეს, გიტო სამადლაშვილს და მიშო ჭიჭინაძეს.

სამი წლის ქუქური ჭანჭალეიშვილი.

„ორიანტი“-ს მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ თავისი წვლილი—41 მანეთი და იწვევენ სასტუმრო „ევროპა“ და „პალასის“ მუშა-მოსამსახურეებს.

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობის წევრებს შემოგვაქვს თითო თუმანი (სულ 70 მან.) ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ დასახმარებლად: ა.-კ. რკინის გზიდან: გ. ბერიძე, გ. გვერდწითელი, გ. ქავთარაძე, ა. დამბარიშვილი, ვ. მაისუროვი, ბ. კაბანაძე, ნ. გვარამაძე, კ. ძნელაძე, ვ. კენჯა, გ. შახ-ბუდაგოვი, ა. ხოჯაშვილი, ვ. გურგენიძე, ს. ყორყესალიშვილი, ნ. მეხხი, მ. მაჭავარიანი, გ. ჭკუასელი, დ. გვანცელაძე, ვ. ფანცხავა, შ. ალლაძე, გ. გიჟიმყრელი, ლ. ხუნდაძე, ვ. კერვალიშვილი, ი. გოპაძე, გ. ტატიშვილი, ვ. ჩიტაიშვილი, ე. ჩიქოვანი, მ. ხევსურიანი, გ. კეშელავა, გ. ბარამიძე, კოშკაძე, ვ. ბოკუჩავა, თოფურიძე, ბუნტური, სოკოლოვი (ქუთ.).; ს.მ.შ.ს.-დან: ა. ნ. კანდელაკი (ხამთო გან.), კ. გაბუნია, დ. ყიფიანი, ი. ბერიძე გ. სარაჯიშვილი, ა. გ. კანდელაკი (ახალშ. კომ.), მ. კოჩინაშვილი, ი. ვანაძე, ნ. გიჟიმყრელი, ი. კომპანიონი, ვ. ავალიანი, ლ. ხიზანაშვილი, ა. ქვარცხავა, გ. ედიბერიძე, პ. ტუროვეცი, გ. მუხაძე, ა. ვეისი, ა. შანშიევი, ს. რუტკოვსკი, ა. ნიკოლაიშვილი, ე. ბოგდატიევი, ბ. შენგელიძე, ა. დევდარიანი, შ. რამიშვილი, ნ. მამონოვი, პ. გიორგობიანი, გოკიელოვი, თათარაშვილი, დათეშიძე, ოტენი, სერებრიაკოვი, ა. ბურგმანი, გაუსმანი; გზათა კომისარიატის რწმუნებულისა და გზატკეცილების სამმართველოდან: ა. ჯორჯაძე, პ. ხელთუფლიშვილი, გ. კოჩინაშვილი, მ. ჩიკვაიძე, მ. ჯაში, გ. ჩხეიძე, ნ. კვეზერელი, კობაძე, ბ. მარკოვი, ს. ოლევსკი, კ. ვართაზარიანი, ი. მარდალეიშვილი, გ. ჯაფარიძე, ა. შევლაკი, სმიკი, ნ. ხაფაროვი, ნ. ევოიანცი, ვ. ვახვახიშვილი, ვ. მესტიაშვილი, დ. გვინჩიძე, ცინცაძე, ხაბაზიძე, ვ. გალკოვი, ნ. საფაროვი, გ. ოგანეზოვი, კ. ტატიშვილი; საქ. წყალთა მეურნეობიდან: ნ. კორინთელი, პ. მამრაძე, გ. გეგეჭკორი, ი. მჭედლიშვილი, ა. ჯაფარიძე, შერმაზანაშვილი, შ. ლიაძე, გ. ჩხეიძე, მ. ხოჯაშვილი, ი. ბურდიაშვილი, გ. ვოინიჩ—სენოჟენსკი, შ. ახალკაცი, ლოსაბერიძე, კ. ფერაძე, ა. გოგიჩაიშვილი, ა. კანდელაკი, ა. გუგუშვილი, ს. მგალობლიშვილი, ი. ასათიანი, ა. დავრიშევ, ს. კოპტანაშვილი, ზ. ბიჭიაშვილი, ი. ხვედელიძე, ტ. მარგველაშვილი, გ. ბოჭორიძე, ლ. მიქელაძე, კ. ჯაიანი, გუნია, გაბუნია, გაჟომია: ზაჰესის დირექციიდან: ე. კაპელერი, პ. კოსოვსკი, ა. მუსხელიშვილი, მიქელაძე, მამალაძე, ხაჩატურიანი, ა. შტრეიხერი, ბუოსტოვსკი; ქალაქის აღმასკომიდან: გ. აბაშიძე, ა. ქართველიშვილი, გ. მოსეშვილი, მ. გურამიშვილი, ბეთანოვი, ვ. ნასიძე, პ. გიორგობიანი, ნ. ლოლაძე, ს. მუხარინსკი, მ. აბესალომოვი, გ. ტერ-სტეპანოვი, ა. აგარონოვი, ს. ვოლკოვიჩი, მ. ჯანდიერი, ი. შჩუკლინი, მ. ყიასაშვილი, ნოხიკოვი, აგაროვი, ბუშკიონი; წყალსადენიდან: კ. ცინცაძე, ნ. სუხიაშვილი, გ. ხიზანაშვილი, გ. ვარაზაშვილი, ა. ბილანაშვილი, რომადოვიჩ, ნასიძე; შავი-ზღვის რკინის გზის სამმართველოდან: გ. თუმანიშვილი, გ. ბერიძე, მ. კარელინი; უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტიდან: პროფ. ა. დიდებულიძე, პროფ. ა. ბენაშვილი, გ. წულუკიძე, ი. თულაშვილი; სამშენიდან: გ. მგელაძე, გ. ნარსია, კ. ანტონოვი, ნ. ნიკოგოსიანი, ვ. გოცაძე, ვ. საბაევი, ი. მირზოევი, შ. ხერხეულიძე, ა. ჟღენტი, ბ. ცომაია, ლ. ფირალიშვილი, ა. ჭანტურია, გ. ცქიფურიშვილი, დ. იოსელიანი; „ტელასი“-დან: გ. ანდრონიკაშვილი, ე. ლამპარტერი, ა. მიროვიჩი, გ. ჯანელიძე; სხვადასხვა დაწესებულებიდან: პროფ. ა. ბაზოვი, ე. ალშიბაია, ა. გულისაშვილი, მ. მაჭავარიანი, ნ. თუხარელი, ვ. კანდელაკი, ი. ვარლამოვი, დ. ხმიადაშვილი, ვ. ახვლედიანი, ვ. ფხალაძე, ს. ფიცხელაური, კ. გიორგობიანი, მ. მაღლაკელიძე, ვ. გუნცაძე, ი. ბურჯანაძე, ვოლოხი, გიჟიმყრელი, ვ. შავგულიძე, ტ. სპრინკველი, გ. ბაქრაძე, ი. ლუკაშვილი, მოსულიშვილი, ნ. მთვლიჩანი, პ. ხიმონი, ქ. ხუდავერდოვი, გ. ხოგლობა, ა. ფიფია, შ. ოდიშელიძე, შ. კარბელაშვილი; ქუთაისიდან: ნ. თუმანიშვილი, პ. ორბელიანი, ს. მამაჯანოვი, ნ. სოკოლოვსკი, ს. გვანცელაძე, ვ. ტურძელაძე, ი. კაჭახიძე, ა. აბესაძე, მ.მახვილაძე, ვ. მახვილაძე; რიონჰესიდან: ო. მელიქ-ფაშაევი, ა. ჩიქოვანი, ბ. მიქელაძე, ნ. მაისურაძე, ა. ფარსადანოვი, გ. ხუნდაძე, ლ. ნათაძე, ი. ხარატიშვილი, მ. მერაბიშვილი, ა. ქსოვრელი, მ. ურუშაძე, ა. გიორგაძე ი. ავსაჯანოვი, ი. სანაძე; აბჰესიდან: ა. გულურჯიძე, კ. კობალაძე, ი. ნადარეიშვილი; ტყიბულიდან: პ. აბაშიძე, ა. ნეფსაძე, ა. ფურცელაძე, კ. ჭიჭინაძე, დ. ბუაჩიძე, ი. ჯაოშვილი, ნ. ნაკაიძე, ა. ანთაძე, კ. ჩილინგაროვი; ჭიათურიდან: ა. გოგავა, ქ. აბესაძე, ვ. წერეთელი, ა. ლორთქიფანიძე, პ. საყვარელიძე, კ. ხაპიცკი, ნ. ნანეიშვილი, ნ. ნასარიძე, მ. ყარახანიშვილი, ა. კობიძე, ი. ლალიძე, ა. მოისრეფაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ხითარიშვილი, ტ. ქავთარაძე, კ. ეხიაშვილი, რ. ქვაბულიძე, მ. კობახიძე, გრიგორიშვილი; სოხუმიდან: რ. კაკუბავა, შვერცელი; ბათუმიდან: პ. ბოჭორიშვილი, შენგელია, გორბუნოვი; ფოთიდან: დ. ჩოჩია, ჯიოშვილი; ბორჯომიდან: ა. ჩხეიძე, პ. ხოჭოლავა, კ. ბაკურაძე, გ. ქობალავა; ხონიდან: ს. მეფისაშვილი, ი. ჩხენკელი, ნ. ამირაგოვი, პ. გიორგობიანი; ოზურგეთიდან: ს. ჩიგოგიძე.

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა: ინჟ. ზ. ჭიჭინაძე, ინჟ. ა. კაციტაძე, ინჟ. ზ. ქურდიანი, ინჟ. ზ. გედევანიშვილი, ინჟ. ი. ყიფშიძე, ინჟ. ლ. დიასამიძე და ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ქალ. თბილისის უსინათლო ბავშთა სკოლა-კომუნას მუშა-მოსამსახურეებს ქუთაისში ხანძარით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ ერთი დღის შრომის ხელფასი, რომელიც უდრის 38 მ. 47 კ. და იწვევენ შემდეგ სასწავლებლების პედაგოგიურ პერსონალს და ტეხნიკურ მუშაკებს: მე-19 შრომის სკოლის, უმწეო ბავშთა კოლექტივებს, ავჭალის, კოჯორის 1-ლ, მე-2 და მე-3 ახალშენებს, თურქთა ტეხნიკუმს, მე-62, 63; 86 შრომის სკოლებს, ყრუ-მუნჯთა სკოლას, ქალთა საფაბრიკო-საქარხნო—ქიქოძის სახელობის სკოლას და ვაჟთა საფაბრიკო-საქარხნო კამოს სახელობის სკოლას.

მინდობილობით სკოლის გამგე **ა. ჩხაიძე.**

ქუთაისში დაზარალებულთა დასახმარებლად გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 676 მანეთი 43 კაპ.—სულ წინად შემოსულთან ერთად—8.978 მან. 28 კაპ.

საბჭოთა საქართველო

წერილები

უხიდობა ძალზე გვავიწროვებს
(წერილი დ. სახერიდან)

დ. სახერე ზემო-იმერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია, აქ არის რკინის გზის სადგური, ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონი, საავადმყოფო, სკოლები და სხვა დაწესებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ სახერეში შემავალი სოფლების უმრავლესობა მდებარეობს მდ. ყვირილას გაღმა. სოფლების მეტი ნაწილი მჭიდროდ არის დასახლებული, ვინაიდან ნიადაგი აქ შედარებით ნაყოფიერია. აქაურ გლეხობას სასყიდელი, ან გასასყიდი თუ რამე მოეპოვება, უსათუოდ სახერეში უნდა წავიდეს, მაგრამ ხიდის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან.

რამოდენიმე ათეული ათასი გლეხობის დიდი ხნის ოცნების საგანს შეადგენს ყვირილაზე საიმედო ხიდის აგება. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს არა ერთხელ დააპირეს ამ ხიდის გაკეთება; მენშევიკებმაც თითქოს რაღაც „იჩალიჩეს“: ადრევე მოტანილი რკინის გზის მიერ გადმოცემული ძველი ხიდის ნაწილები შეაკოწიწეს, მაგრამ ტეხნიკური მოსაზრებები წინასწარ არ იყო გათვალისწინებული და მდინარის ადიდების დროს ხიდი რიყეზე რჩება და ტოტებად გაფანტული ყვირილა რამოდენიმე ადგილზე გადაუსვლელი ხდება.

დღესაც ასეთივე მდგომარეობაა, ვიდრე ხიდს მიაღწევ, მდინარის სამი ტოტი არის გასასვლელი. დრო გამოშვებით ამ ტოტებზე, თუ ვინმეს მოეპრიანა გაადებენ თითო ვიწრო ხეს, ან რკინის გზის რონას, მაგრამ მასზე უშიშრად გადავლა შეუძლებელია. სოფლებიდან სახერეს სკოლებში მიმავალი მოწაფეები ხშირად ვეღარ გადიან წყალში და უკან ბრუნდებიან.

შეიძლება საიმედო ხიდის გაკეთება დიდ ხარჯს მოითხოვდეს, რის საშუალებაც ადგილობრივ აღმასკომს არ მოეპოვება, მაგრამ აქ საჭიროა ენერგიული ინიციატივა და შემდეგ ცენტრიც არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ისიც აღსანიშნავია, რომ გლეხობა დაუზარებლივ გაიღებს ამ საქმისათვის თავის წვლილს, რითაც კი შეუძლია, რასაც ხმა მაღლა აღიარებენ. ადგილობრივ აღმასკომს ყოველ შემთხვევაში იმდენი საშუალება მაინც მოეპოვება, რომ ზემოხსენებულ მდინარის დაფანტულ ტოტებზე დროებით მაინც გააკეთოს ისეთი საცალფეხო ხიდები სახელურებით, რომლებზედაც შესაძლებელი იქნებოდა უშიშრად და უმარცხოდ გასვლა.

იმედია ამ ფრიად საჭირბოროტო საკითხს დროზე მიექცევა ყურადღება.

ჯ. ეწრელი.

ნუ დაჩაგრავთ ღარიბ გლეხს
ბახვის თემი, გურია

ამ თემის მცხოვრები ულარიბესი გლეხი თომა ჯღერია რვა წლის განმავლობაში ამუშავებდა მის სამოსახლო მიჯნაზე მდებარე კოფ. აზნაურ ივანე ბოლქვაძის მიწას და საიჯარო აძლევდა მიწის პატრონს მოსავლის ნახევარს. ხშირად ჯღერიას თავისი ურმით მიჰქონდა მოსავლის ნახევარი ბოლქვაძის ოჯახში. მაგრამ ივანე ბოლქვაძეს, როგორც კარგ ცხოვრებაზე შეჩვეულს ბოლო დროს სახარჯო შემოაკლდა და ხსენებული მიწის ნაკვეთი ფარულად მისით მიყიდა მისივე გვარის კაცს, სოხუმელ ვაჭარს ყაისარ ბოლქვაძეს, რომელსაც სახნავ-სათესი მიწები ნორმაზე მეტი აქვს და მის მიწებს მოჯამაგირეები და გლეხები ამუშავებენ.

ივანე ბოლქვაძე გარდაიცვალა და 1926 წელში ბოლქვაძის მეუღლემ გამოუცხადა ჯღერიას, რომ მან მიწა გაყიდა და ჯღერიამ ხელი უნდა აიღოს მიწის დამუშავებაზე. ჯღერია არ დაეთანხმა მიწის დამუშავების ხელის აღებაზე და რომ ამ გარემოებას არ გამოეწვია უკანონოდ გაყიდული მიწის ყაისარ ბოლქვაძეზე ჩამორთმევა, მეზობელ-გამყიდავმა თემის აღმასკომის საშუალებით ერთმანეთს შორის დასდვეს საიჯარო ხელშეკრულება 12 წლის ვადით მიწით სარგებლობაზე, რაც საბჭოთა კანონებით ასეთი ხანგრძლივი იჯარა აკრძალულია და ისიც ვაჭრის მიერ მიწის აღებაზე.

წელიწადზე მეტია, რაც ეს უკანონო მოქმედება გასაჩივრებულია ჯღერიას მიერ. მან მიწათმოქმედების კომისარიატშიც შეიტანა განცხადება ამის შესახებ, რომელმაც თავის მხრივ ჯღერიას განცხადება გადაუგზავნა ოზურგეთის სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებას, მაგრამ სამწუხაროდ გლეხი ჯღერია გარკვეულ პასუხს დღემდისაც ვერ ეღირსა.

ჩვენ მივაქცევთ ამ გარემოებაზე ოზურგეთის საადგილ-მამულო განყოფილების ყურადღებას და მოვითხოვთ, რათა მან დროზე მოაგვაროს ეს სადაო საკითხი და ვაჭარ ყაისარ ბოლქვაძეს, რომელიც ერთ-ერთი შეძლებულ პირად ითვლება ბახვის თემში, ნუ დააჩაგვრინებს ულარიბეს გლეხ თომა ჯღერიას, რომელიც გაჭირვებით ინახავს რვა სულს.

მეჯაური.

გვჭირია დახმარება
სოფ. პირველი ილორი

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სოფელ პირველ ილორის და გაუწყვეტარს ხარბად ასაზრდოებს ციებ-ცხელების ბაცილებით ის დაჭაობებული ღელე, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა ცხენის წყლის პირველ მიმართულებას. მას შემდეგ, რაც ცხენის წყალმა მიიღო დღევანდელი მიმართულება, ძველი მისი მიმდინარეობის არე გახდა ბუდეთ ბაყაყთა და სხვა ქვეწარმავალთა, რომლის გასწვრივ გაშენებულია ზემოხსენებული ორი სოფელი.

ყველასათვის ცხადია ის საშინელი კლიმატიური პირობები, რომელშიაც უხდებოდა და უხდება აქაურ გლეხობას ცხოვრება, მაგრამ წინედ არასოდეს არ დასმულა საკითხი იმის შესახებ, რომ მალარიით დაავადებულ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებიათ. ეს საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დასვა დღის წესრიგში და დასმულ საკითხს გლეხობამ აღფრთოვანებით შეხვდა. შეუდგნენ არხის გაყვანას მდინარე ცხენის წყალიდან რიონამდე, რომელმაც უნდა გაიაროს და გასწმინდოს მთელი ის დაჭაობებული ადგილი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

არხის გათხრა უკვე დამთავრებულია, მაგრამ მისი სათავე, საიდანაც ცხენის წყალი უნდა გადმოვიდეს, დატოვებულია უყურადღებოდ, რაც შედეგია მთლიანად თემის და კერძოთ აღნიშნული სოფლების ეკონომიური სივიწროვისა. გლეხობას ამჟამად არ ძალუძს არხის დასამთავრებელი თანხა გადაიხადოს და ამრიგად დიდი ხნის საოცნებო მიზანი ჯერ კიდევ ვერ ხორციელდება.

მაგრამ გლეხობას იმედი აქვს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას, და გაუწევს მათ დახმარებას არხის დასამთავრებლად.

შამელია.

გლეხკორთა წერილებიდან

მოსაგვარებელი საქმე
აბაშის რაიონი, სენაკის მაზრა

ოთხი თვეა, რაც ადგილობრივ მილიციის თანამშრომლებს შრომის ხელფასი არ მიუღიათ, რითაც ისინი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. საჭიროა ამ საკითხის დროზე მოგვარება, რაზედაც უნდა იზრუნოს აღმასკომმა.

მეხი.

დაარსეთ აგრო-პუნქტი
კოჯრის თემი, თბილისის მაზრა

კოჯრის თემის გლეხობა მისდევს მემინდვრეობასა და მებაღეობას, მაგრამ მისი დამუშავება ხდება პრიმიტიული წესით. მეურნეობის გაუმჯობესებას თემში ხელს უშლის აგრონომის უქონლობა. საჭიროა თბ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ ამ გარემოებას დროზე მიაქციოს ყურადღება.

გ. გარსიაშვილი.

სასოფლო კლუბი ინგრევა
კოჯრის თემი, თბილისის მაზრა

კოჯრის სასოფლო კლუბი უმწეო მდგომარეობაშია, კიბის სიდამპლის გამო ოთახში ასვლა სახიფათოა, სცენა დანგრეულია, დეკორაციები სრულებით არ გააჩნია, ფანჯრები ჩალეწილია. საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დროზე შეაკეთონ კლუბის შენობა და მით გადაარჩინონ სრულ დანგრევას.

გ. გარსიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

რედაქცია სთხოვს „კომუნისტი“-ს მუშკორთა კოლექტივის წევრებს შემოიარონ რედაქციაში დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე.

ჩვენ მუშკორებში

16 მაისს, შესდგა გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა საუკეთესო სექციების საკონკურსო წერილები. როგორც ამხ. ს. ელიაძის სიტყვიდან გამოირკვა, საბჭოთა საანგარიშო კამპანიაში საბჭოთა საუკეთესო სექციების კონკურსში გზ. „კომუნისტი“-ს მუშა და გლეხ-კორესპონდენტებს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. მათ წერილებში გაშუქებული იყო არა მარტო სექციების მუშაობის დადებითი მხარე, არამედ უმთავრესად აღნიშნული იყო სექციების მუშაობის ნაკლიც.

მუშკორები და გლეხკორები სექციების მუშაობის გაშუქების გარდა მიუთითებდნენ საბჭოებს შემდეგი მუშაობის გასაცხოველებელ ღონისძიებებზე და აღნიშნავდნენ იმ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ სექციების ნორმალურ მუშაობას.

კრება გაეცნო რედაქციის მიერ გამოყოფილ კომისიის აზრს საკონკურსო წერილებისა და მათი ავტორების დაჯილდოების შესახებ და გადასწყვიტა საბჭოთა სექციების მუშაობის საუკეთესო კორესპონდენციებისათვის ჯილდო მიეცეთ შემდეგ კორესპონდენტებს: ბ. უჩანეიშვილს, ვანო პაატაშვილს, ნინო გვრიტიშვილს, მარგალიტა ზვიადაძეს, გ. ჟღენტს, ილ. ჟვანიას, ილ. ბედიაშვილს, ვლასი გალდავას, კ. ღვალაძეს და კირილე ახვლედიანს.

გარდა ამისა კრებამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ყველა იმ მუშა და გლეხ-კორესპონდენტს, რომლებმაც მიიღო აქტიური მონაწილეობა საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევაში და გაზ. „კომუნისტი“-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

დასასრულ კრებამ გამოჰყო სამი აქტიური მუშა-კორესპონდენტი: ნიკო იტრიევი, შ. ტალიკაძე და ვ. მთვრალაშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს სხდომებზე დასასწრებლად და საქმეების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

X

სანუჯრედების მოწყობის შესახებ

აღმასკომის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება სანიტარულ წარმომადგენლობისა და სანუჯრედების მოწყობის შესახებ—მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია თბილისის სანიტარულ-კეთილმოწყობის საქმეში.

სანიტარული უჯრედები რევოლუციამდე არ არსებობდა. ისინი ჩამოყალიბდა მხოლოდ 1917 წ. მანამდე ამგვარი უჯრედების დაარსებაზე და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე, არავინ ზრუნავდა.

სანიტარულ წარმომადგენლობის მოწყობა სახლებში, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას აძლევს მშრომელ მოსახლეობას, თვით ჩაებას ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და ხელი შეუწყოს ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებას.

სანუჯრედების წევრებს ირჩევენ მობინადრეთა საერთო კრებებზე. მის მოვალეობას შეადგენს გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა სახლის ჰიგიენურ მდგომარეობას, იზრუნოს ეზოს, ქუჩის, სამრეცხაოს, კანალიზაციის, საზოგადო ადგილების, და სხ. სისუფთავის დაცვაზე. სანუჯრედის წევრი იღებს სათანადო ზომებს ეპიდემიურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, იმ წესის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის განყოფილების მიერ.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქუჩის პირას მწვანე დანარგობის გეგმიან მოშენებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის გაწმენდაში და სანიტარულ პირობების დაცვაში.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება სანუჯრედის წევრის მუშაობა. მას უფრო მეტი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს. მის მუშაობას აქვს საზოგადოებრივი ხასიათი და ემსახურება საერთო კეთილდღეობას. სანუჯრედის მუშაობა იწყება განსაზღვრულ კვარტალზე, გადადის რაიონზე და ბოლოს ვრცელდება მთელ ქალაქზე.

მარტო ცალ-ცალკე ბინების კეთილმოწყობით და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით, ჩვენ ვერ შევსძლებთ ქალაქის სავსებით გაჯანსაღებას თუ სანუჯრედების მოქმედება არ იქნა საყოველთაოდ გავრცელებული.

მუშაობის გასაერთიანებლად, შემოღებულია კვარტალური წარმომადგენლობა სანუჯრედების და ყველა რაიონებში არსებობს სარაიონო ბიუროების პრეზიდიუმები. საჭიროა მშრომელთა ფართო მასამ ხელი შეუწყოს ამ ბიუროების წესიერ მუშაობას და დაეხმაროს პრეზიდიუმებსა და სანუჯრედებს, ჰიგიენურ პირობების დაცვაში.

ჯაფარ-ფაშა.

ქართულ მუშფაკში

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე, ქართულ მუშფაკში როგორც მსმენელთა ურთიერთობის დამოკიდებულება, ისე სწავლის პირობებიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, მუშფაკს აქვს საკუთარი შენობა, რის გამო მეცადინეობა უფრო მოწესრიგებულ და შერჩეულ დროებში მიმდინარეობს, ვიდრე ეს წინად. სახელმძღვანელო ნივთები—წელს საკმაოდ მოიპოვება. სასადილოს მდგომარეობა შედარებით წინანდელთან, გაუმჯობესებულია. წინანდელ 30 კაპიკიდან სადილზე, დღევანდელი 25 კაპეიკიანი სადილი გაცილებით უკეთესია. ეს სასადილოს უკეთ მოწყობის შედეგია, მაგრამ საჭიროა სასადილოს მდგომარეობის უფრო გაუმჯობესება. სასადილოს გამგე, უნარმოკლებული მოხუცი დედაკაცია, ის ვერ ადგენს სწორ ანარიცხებს, რის გამო მუშფაკელებს ეკარგებათ 7—8 სადილი თვეში. ეს მოვლენა ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას ჰქმნის მოსწავლეებში.

წიგნებიც ბლომად მოიპოვება სამკითხველოში, მაგრამ მუშფაკი მაინც ვერ არის უზრუნველყოფილი პროგრამაში აღნიშნულ საჭირო წიგნებით. მუშფაკის პრეზიდიუმმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

გარდა ამისა სისუფთავის დაცვის საქმე ვერ არის მოწესრიგებული. შესავლებში არ არის დადებული ფეხსაწმენდები, რის გამო ოთახში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი.

მუშფაკის პრეზიდიუმმა აღნიშნული ზოგიერთი ნაკლოვანებები უნდა გამოასწოროს.

მსმ. დოხნაძე.

მოაგვარეთ ეს საკითხი

შრომის კანონის თანახმად მძიმე და მავნე სამუშაოებზე მომუშავეებს ეძლევათ წელიწადში ერთი თვის შვებულება. ასეთ სამუშაოთა რიცხვში შედის აფთიაქიც; ფარმაცევტებს ეძლევათ წელიწადში ერთი თვის შვებულება, მაგრამ ქალაქის ცენტრალური ამბულატორიის აფთიაქი ამ მხრივ რატომღაც გამონაკლის წარმოადგენს. აქ შრომის კანონის ეს მუხლი არ ვრცელდება.

ქალაქის აფთიაქებში, ზაფხულის განმავლობაში საგრძნობლად შემცირებულია მუშაობა. ცენტრ. ამბულატორიის აფთიაქში კი ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი მუშაობა სწარმოებს, ისიც ანტიჰიგიენურ პირობებში. ჯამაგირსაც ქალაქის აფთიაქების ფარმაცევტები, მეტს ღებულობენ ვიდრე ცენტრ. ამბ. აფთიაქის ფარმაცევტები. შვებულებითაც ისინი ერთი თვით სარგებლობენ და ცენ. ამბულატორიის აფთიაქის თანამშრომლები კი ორი კვირით.

ამბულატორიის აფთიაქის თანამშრომლებმა ბევრჯელ მიმართეს თხოვნით სათანადო ორგანოებს ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ამაოდ. არც პროფკავშირი და არც ადმინისტრაცია თავს არ იწუხებს ამბულატორიის აფთიაქის თანამშრომლებზე იმავე უფლებების განსახორციელებლად, რომლითაც სარგებლობენ საფთიაქო სამმართველოს აფთიაქების ფარმაცევტები.

ადგილობრივ პროფორგანომ, რაც შეიძლება უნდა დააჩქაროს ამ საკითხის მოგვარება.

ხორეჯმილისპირელი.

მუშკორთა წერილებიდან

მხეცი ქმარი. ზორაბაშვილის ქ. სახ. № 9-ში (მე-7-დე სამ. უბანი) მცხოვრები გ. არეშოვი, ყოველდღე საშინლად სცემს თავის ცოლს და ემუქრება დანით ყელის გამოჭრას თუ ამოიღებს სადმე ხმას მის ასეთი მხეცური საქციელის შესახებ. ქალთა განყოფილებავ, მიხედე უპატრონო და მხეცი ქმარის ხელში მყოფ ქალს.

უჩინარი.

ჯამაგირს ტყვილად იღებს. სალიანდაგო დარგის მე-6-ე უბნის მე-9-ე სასტატოს ნადის თავი, მოქ. ზაალიშვილი ზედმეტი ბარგია წარმოებისათვის. იგი უქმად სიარულის მეტს არაფერს აკეთებს. მაშ რაში ღებულობს ჯამაგირს? ეს სალიანდაგო დარგმა გამოარკვიოს. ჩვენის აზრით კი ზაალიშვილის თანამდებობა სულ ზედმეტია.

მელ.

მეტაბელე იგვიანებს. მე-7-დე უბნის მე-5 სასტატო მეტაბელე მოქ. კოჩინევისა ყოველდღე იგვიანებს სამსახურში. ამის გამო ტაბელების შედგენა ფერხდება.

ჩხარელი.

გაზეთს აღარ ვღებულობთ. აღმოსავლეთის მემუსიკეთა კოლექტივი, სანამ გადავიდოდა ახალ ბინაზე, ყოველდღიურად ღებულობდა გაზეთებს, მაგრამ უკანასკნელად კავშირმა შეუწყვიტა კოლექტივს გაზეთების გზავნა.

მ. გარუნ.

საქ. სახკომსაბჭოში

ა.-კავ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მასშტაბით სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის მოწყობა.

სააქციო საზ-ბა „კოვიორი“-ს ორგანიზაცია

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიზანშეწონილად სცნო სააქციო საზოგადოება „კოვიორი“-ს ორგანიზაცია.

საკურორტო აღმშენებლობა

კურორტთა სამმართველოს დაევალა წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ცნობები აჭარისტანისა და აფხაზეთის საკურორტო აღმშენებლობისათვის გაღებული სახსარის გამოყენების შესახებ.

პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების განაწილება ორგანიზაციათა შორის

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა შრომის სახ. კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების საქართველოს ს. ს. რ-ის ორგანიზაციათა შორის განაწილების შესახებ.

სახელმწიფო ორგანიზაციებზე მიმაგრებულ პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების ხელფასით დასაკმაყოფილებლად საჭირო სახსარი, ზემოხსენებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ მუშაობის დამთავრებამდე, დატოვებულ იქნა განათლების სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში.

კრედიტი კოოპერაციას

(საქართველოს (ავტონომიური ერთეულებით) კოოპერატივებისათვის კრედიტების მისაწოდებლად 1927—28 წ. ბიუჯეტით გაღებული 211.600 მან. სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომის მიერ განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საქართველოს—176.000 მან., აფხაზეთს—20.000 მან. აჭარისტანს—10.000 მან. და სამხრეთ-ოსეთს 5.600 მან.

საქართველოსათვის გამოყოფილი 176.000 მ. განაწილებულ იქნა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის შემდეგნაირად: სოფლის კავშირს—81.000 მან. სარეწაო კოოპერაციას 55.000 მან. და საბინაო კოოპერაციის კავშირს 40.000 მან.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება

16 მაისიდან თბილისში, ქუთაისში და გორში დაიწყო 1905 წელში დაბადებულთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება.

ახალწვეულები შევსებულ იქნა ქვეითი და საარტილერიო ლეგიონების და სპეციალური ნაწილები, როგორიც არის მესანგრე და საკავშირო ასეულები.

ახალწვეულნი პირველ დღეს უკლებლივ გამოცხადდნენ შეკრებაზე. ამავე დღეს მოხდა მათი აღრიცხვა, რის შემდეგ ახალწვეულთ დაურიგდათ წითელი არმიელების ტანსაცმელი.

17 მაისიდან უკვე დაიწყო სამწყობრო მეცადინეობა. მეთაურნი კმაყოფილნი არიან ახალწვეულთა ყოფა-ქცევით. ახალწვეულთა დიდ ნაწილს გავლილი აქვს სამხედრო წვევამდელი მზადება, რაც დიდათ გაუადვილებს მათ მეცადინეობას და სამხედრო ხავების შეთვისებას.

სამი თვის განმავლობაში ახალწვეულებმა უნდა შეითვისონ ბრძოლის ყველა ის ხერხები, რომლებიც საჭიროა წითელ არმიელთათვის, რომ მან დამოუკიდებლათ და აზრიანად იმოქმედოს ბრძოლის დროს. მთავარი ყურადღება შეკრებაზე მიქცეული ექნება სასროლო საქმეს და ფიზკულტურას.

დღეიდან ახალწვეულთა შორის იწარმოებს პოლიტმეცადინეობა, პოლიტგანყოფილების მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით. ახალწვეულნი გაეცნობიან წითელ არმიას, მის ორგანიზაციას, ისტორიას და სხვა. მიქცეული ექნება ყურადღება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გაშუქებას.

ყაზარმაში იწარმოებს აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობა, ამისათვის გამოყოფილია ახალწვეულთათვის ლენინის კუთხეები. მოკლე ხანში ჩამოყალიბდება ლენკუთხეებთან კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები და სხვადასხვა ხასიათის წრეები.

ახალწვეულთა სულიერი განწყობილება ჩინებულია. ყველა დიდი ხალისით ეტანება სამხედრო საქმეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალწვეულნი კმაყოფილნი არიან ყველა იმ ღონისძიებებით, რომლებიც მიღებული იყო მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად.

საბინაო მეურნეობის განსავითარებლად

საბინაო ფონდის გადიდების და არსებული ფონდის დაცვის მიზნით საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს ქალაქებში ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენილობაში შექმნილი იქნეს საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები.

საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალი უნდა იხარჯებოდეს მუნიციპალიზაცია ქმნილი საბინაო ფონდის მოსავლელად, შესაკეთებლად და აღსადგენად და აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში შევა შემდეგი შემოსავალი:

იმ საცხოვრებელ სადგომების წმინდა შემოსავალი, რომელთა ექსპლოატაცია უშუალოდ ადგილობრივი (კომუნალური) მეურნეობის განყოფილებათა ეწევიან.

საბინაო საიჯარო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სახლების წმინდა შემოსავალი.

საცხოვრებლად იჯარით გაცემული მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების საიჯარო ქირა.

საიჯარო ქირა და საამორტიზაციო ანარიცხები მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლში სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ კანცელარიისათვის და სხვა არა სამრეწველო და სავაჭრო ხასიათის საჭიროებისათვის დაჭერილი სადგომისა.

კანონით ნებადართულ შემთხვევაში მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების გაყიდვით მიღებული თანხები:

სავაჭრო, სამრეწველო და სახელმწიფო სადგომის საიჯარო ქირის ანარიცხები იმ რაოდენობით, რასაც დააწესებენ სათანადო—(სამაზრო, საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო არანაკლებ 5 პროცენტისა.

საბინაო მეურნეობის აღსადგენი სპეციალური სესხი; სხვა შემოსავალი, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ; საბინაო ფონდის კაპიტალის პროცენტები.

ჩვენი კონკურსის შედეგები

როგორც მკითხველებს ემახსოვრებათ, ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი საუკეთესო კორესპონდენციაზე საბჭოთა სექციების კონკურსთან დაკავშირებით. გამოცხადებული იყო ათი ჯილდო.

რედაქციის მიერ გამოყოფილმა კომისიამ განიხილა ყველა წერილები, რომლებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში და „კომუნისტი“-ს თბილისელ მუშკორთა და ამ კომისიის გაერთიანებულ კრებაზე ერთხმად იქნა გადაწყვეტილი, რომ ჯილდო საუკეთესო კორეს-პონდენციებისათვის მიესაჯოს შემდეგ კორესპონდენტებს:

1. **ბ. უჩანეიშვილს** (სენაკი) პირველი ჯილდო ლენინის თხზულებები 5 წიგნი და 40 მანეთი.
2. **ვანო პაატაშვილს** (თელავი) მეორე ჯილდო. ფ. მახარაძის 7 წიგნი და 30 მან.
3. **ნინო გვრიტიშვილს** (დუშეთი) მესამე ჯილდო. ეგ. ნინოშვილის 2 წიგნი და 25 მანეთი.
4. **მარგალიტა ზვიადაძეს** (ზესტაფონი) მეოთხე ჯილდო 25 მანეთი.
5. **გ. ჟღენტს** (ლიუქსემბურგი, ბორჩალოს მაზრა) მეხუთე ჯილდო 20 მანეთი.
6. **ილ. ჟვანიას** (ფოთი) მეექვსე ჯილდო 15 მანეთი.
7. **ალ. ბედიაშვილს** (საგარეჯო) მეშვიდე ჯილდო 10 მან.
8. **ვლასი გალდავას** (ლანირ-ჭაგანი, ქუთაისის მაზრა) მერვე ჯილდო გაზ. „კომუნისტი“ ექვსი თვით.
9. **კ. ღვალაძეს** (ჭიათურა) მეცხრე ჯილდო გაზ. „კომუნისტი“ ოთხი თვით.
10. **კირილე ახვლედიანს** (ახალციხის მაზრა) მეათე ჯილდო „კომუნისტი“ ორი თვით*).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რედაქციის მოწოდებას საბჭოთა საანგარიშო კამპანიაში მუშგლეხკორთა აქტიური მონაწილეობის შესახებ, ფართოდ გამოეხმაურა „კომუნისტი“-ს მუშა და გლეხ-კორესპონდენტები, რომელთა აქტივობამ რედაქციას საშუალება მისცა სათანადოთ გაეშუქებია საბჭოების და მათი სექციების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რედაქცია საანგარიშო კამპანიის განმავლობაში ყოველდღე ღებულობდა მრავალ კორესპონდენციებს, რომელთაგან, ადგილის სიმცირის გამო, ჩვენ შევსძელით მხოლოდ ერთი ნაწილის გამოქვეყნება. უეჭველია, მუშგლეხკორთა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება და დაინტერესება საბჭოებით და მათი სექციებით შესაფერ ნაყოფს მოგვცემს მომავლისათვის საბჭოების მუშაობის გაჯანსაღების საქმეში.

რედაქციის მიერ გამოყოფილი კომისიისა და „კომუნისტი“-ს თბილისელ მუშკორთა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ზემოდ მოყვანილ დაჯილდოებულ ამხანაგებთან ერთად, აქვე აღნიშნოს ის კორესპონდენტები, რომლებიც განსაკუთრებით განირჩეოდნენ თავიანთი საქმიანი წერილებით: **ი. ორაგველიძე, ივ. ბარსევანიშვილი, გ. ძაბილაშვილი, ეგნატე მენთეშაშვილი, ილ. ფაღავა, ვანო ფარქოსაძე, ბენია ბერიძე** და **კ. ინაშვილი.**

ამასთანავე რედაქცია მადლობას უცხადებს ყველა იმ მუშა და გლეხ-კორესპონდენტებს, რომლებიც შესაფერისად გამოეხმაურენ ჩვენს მოწოდებას.

„კომუნისტი“-ს რედაქცია.

---

*) (დაჯილდოებულ ამხანაგებს ვთხოვთ გადმოგვიგზავნონ თავიანთი სწორი მისამართი).

საქ. ეკონომიურ საბჭოში

ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმის მდგომარეობა. ეკონომსაბჭოს მიერ გამოყოფილია კომისია ამხ. ცუმიანის, ბეჯანიანის, ბაგიროვის, შირვანსკის, სმირნოვის და კ. ჩხენკელის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა, სოფლის მანქანებით მომარაგების საქმის რაციონალიზაციისა და სოფლის მექანიზაციის ტემპის გასანვითარებლად—გამოიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები. კომისიამ თავისი დასკვნები უნდა წარადგინოს ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოში ორი კვირის ვადაში.

რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალათ—წინადადება მისცენ სას. სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებს, დაკვეთები მანქანებზე წარადგინონ „ზაკსელმაშში“ 25 ივლისამდე. დაკვეთები წინასწარ დამტკიცებული უნდა იქნეს სათანადო სახელმწიფო საგეგმო კომისიების მიერ.

„ზაკსელმაშს“ წინადადება მიეცა მანქანების მწარმოებლებთან დაკვეთები ჩამოაყალიბოს 1 სექტემბრისათვის.

ადმინ.-სამმართველო ხარჯების შემცირება

ტრანსპორტზე

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. კ. მე-2-ე პლენუმის დადგენილების შესასრულებლად, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირებაზე სასტიკ კონტროლის ორგანიზაციის შესახებ ამიერ-კავკასიის მუშგლეხინსპ. სატრანსპორტო ინსპექცია მიმდინარე წლის 15 მაისიდან შეუდგა ხსენებულ დირექტივის გატარების შემოწმებას ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე, კასპიის სანაოსნო საზოგადოებაში. შემოწმების ობიექტებათ დასახულია ხსენებულ წარმოების როგორც ცენტრალური აპარატები, ისე სალიანდაგო ადმინისტრატიული ერთეულები (სახელოსნოები, დეპო, საუბნო კანტორები და სხვ.).

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების გატარების შემოწმებამ, ხარჯების შემცირებისაგან მიღწეულ ფაქტიურ ეკონომიის გამორკვევის გარდა, უნდა გამოარკვიოს აგრეთვე სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის და კრედიტის გარეშე ხარჯების ყველა შემთხვევები და აგრეთვე თანხების დახარჯვა სხვა წყაროებიდან ადმინისტრატიულ-სამმართველო საჭიროებისათვის.

ამ მუშაობის ჩასატარებლად სატრანსპორტო ინსპექციის და საფინანსო კონტროლის თანამშრომლების გარდა, მოწვეული იქნებიან ხსენებულ წარმოების მუშა-მოსამსახურენი.

გამოკვლევაზე მომუშავეთ დახმარებას გაუწევენ საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციები; ადგილკომები, პარტუჯრედები, საწარმოო და ეკონომკომისიები და სხვა.

რკინის გზელების გაგზავნა

დასასვენებელ სახლებში

ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა ა. კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროსთან ერთად დაასრულა მუშაობა რკინის გზელების გასანაწილებლად მიმდინარე ზაფხულის სეზონში დასასვენებელ სახლებში. განაწილების მიხედვით დასასვენებელ სახლებში უნდა გატარდეს მიმდინარე წელში—2121 მუშა-მოსამსახურე. მათ შორის თბილისის უბნის რკინის გზელებიდან გაიგზავნება—719, კაცი, ხაშურიდან—219, სამტრედიიდან—199; ბათომიდან—94, განჯიდან—269, ბაქოდან— 432 და ლენინაკანიდან 209 კაცი.

რესპუბლიკების მიხედვით საქართველოდან გაიგზავნება 1211 რკინის გზელი, აზერბეიჯანიდან—701 და სომხეთიდან 209.

წელს დასასვენებელ სახლებში გაცილებით მეტი რკინის გზელები იქნებიან გაგზავნილი, ვიდრე შარშან. წელს იგზავნება 461 კაცით მეტი შარშანდელთან შედარებით. ცალკე რესპუბლიკებიდან წელს დამატებით იგზავნება საქართველოდან 344 რკინის გზელი, აზერბეიჯანიდან—53 და სომხეთიდან 64.

ამას გარდა, დასასვენებელ სახლებში გაიგზავნებიან 330 ახალგაზრდა მუშა. მათ შორის საქართველოდან—193 კაცი, სომხეთიდან—18 და აზერბეიჯანიდან—119 კაცი.

ამრიგად მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონში დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნება სულ—2451 კაცი.

ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა წინადადება მისცა რკ. გზ. დამზღვევ სალაროს წინდაწინვე შეუდგეს საჭირო მუშაობას რკინის გზელების დასასვენებელ სახლებში თავის დროზე გასაგზავნათ.

ნავთსადგურების კლასიფიკაცია

ნავთსადგურების კლასიფიკაციის ჩასატარებლად საკავშირო საგზაო სახალხო კომისარიატს მიღებული აქვს წესათ ნავთსადგურების მნიშვნელობის დასაბუთება ამ ნავთსადგურებში ხორბლეულის და ხე-ტყის ტვირთბრუნვის ზრდის მიხედვით.

ნავთსადგურების მნიშვნელობის დასაბუთების აღნიშნული წესი ა. კ. უმაღლეს ეკონომსაბჭოს მიაჩნია ცალმხრივად და ამიერ-კავკასიისთვის მიუღებლად.

ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების მნიშვნელობის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ნავთსადგურების ტვირთბრუნვის პერსპექტივები ნავთის, მარგანეცის და სხვა სატრანზიტო ტვირთების ექსპორტთან დაკავშირებით.

ა. კ. ეკონომსაბჭო აღიარებს, რომ ბათომის და ფოთის ნავთსადგურები აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც საგზაო კომისარიატს წარმოდგენილი აქვს მაგისტრალური მნიშვნელობის ნავთსადგურებისათვის.

ვინაიდან აღნიშნული ნავთსადგურები აკმაყოფილებენ მთელ ამიერ-კავკასიის საზღვაო ტვირთ ბრუნვას და გარდა ამისა სპარსეთის და შუა აზიის სატრანზიტო ტვირთებს, აუცილებლათ არის ცნობილი, რომ ბათომის და ფოთის ნავთსადგურები შეტანილ იქნან სამაგისტრალო მნიშვნელობის ნავთსადგურთა რიცხვში.

ა. კ. უმაღლესი ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ ამ ნავთსადგურების ერთი მეორესთან ახლო ტერიტორიალურმა მდებარეობამ არ უნდა შეაფერხოს ამ ნავთსადგურების აღიარება მაგისტრალური მნიშვნელობის, ნავთსადგურებად მით უმეტეს, რომ როსტოვის და მარიუპოლის, ერთის მხრივ, და როსტოვის და ნოვოროსიისკის ნავთსადგურები, მეორეს მხრივ, მდებარეობენ ახლო ერთი მეორესაგან. მაგრამ ეს ნავთსადგურები მიჩნეული არიან მაგისტრალური მნიშვნელობის ნავთსადგურებათ.

ა. კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ბაქოს ნავთსადგური, მისი დიდი ტვირთბრუნვის და ხელსაყრელი მდებარეობის გამო (სატრანზიტო გზა სპარსეთთან და შუა აზიასთან), აღიარებული იქნეს პირველ კლასის ნავთსადგურათ.

როსტოვიდან ხარკოვამდე

(შთაბეჭდილებანი)

საღამოს შვიდ საათზე ჩქარმა მატარებელმა გაგვაქანა როსტოვიდან.

მანამ დაბნელდებოდა თვალს ვერ ვაშორებ დიდ მდინარე დონის ლამაზ ნაპირებს.

მერე რა დიდია ამჟამად დონი!

ის ნაპირებიდან გადმოსულა და ქალაქ ბოტაისკამდე ზღვასავით გაშლილა.

მეთევზეების ნავები შავ წერტილებივით მოსჩანან მდინარის სივრცეში.

ალაგ-ალაგ ორთქლის დიდ გემებსაც ვამჩნევთ.

მდინარის ნაპირას მდგომი სახლები წყალში ცურაობენ. ადიდებული მდინარე აქაც ამოსულა, მაგრამ ამისათვის მაინცდამაინც არავინ იწუხებს თავს.

დაბლა სართული სამისოდაა მორთული. სახლებს შორის კავშირი გაბმულია ნავებით. მაღლა სართულებში—კი აუარება თევზებია გამოკიდებული გასახმობად.

აქ გაცხოველებული მუშაობაა. ზოგს ხსნიან, ზოგსაც ახლად ჰკიდებენ.

ასეთი სურათია ერთ მხარეზე.

ხოლო თუ მეორე მხარეზე გაიხედავთ, აქ ზღვასავით გადაშლილია ახლად ამოსული ჯეჯილი.

წინ დღით წვიმა მოვიდა და ყანები გაცოცხლა.

ტაგანროგიდან დაგვიღამდა.

მატარებელი მიჰქრის. არე-მარეს ვეღარ ვხედავთ. ძილს მივეცით თავი..

გათენდა თუ არა, ფანჯარას ვეტაკეთ. სულ მინდორი, სულ ყანები.

ნეტავი ერთი მთა დაგვენახა—ვფიქრობთ ყველანი, მაგრამ სადაა მთა? თვალები იღლება ამ დაუსრულებელ მინდვრებში ცქერით. ვინ გინახავს ამდენ ყანას, ამდენ პურს რომ ხედავ.

აი დიდი სადგური ლოზოვოი. აქ ორთქლმავალი უნდა გამოიცვალოს. მატარებელი დიდ ხანს გაჩერდება.

გადავდივართ სადგურზე. მზე ათბობს არემარეს. ახლო-მახლო სოფლებიდან დედა-კაცებს მრავალი სანოვაგე გამოუტანიათ გასასყიდათ. კვერცხი, რძე, კარაქი, მოხარშული ქათამი, ნამცხვრები. ყველაფერი, ჩვენში რომ იტყვიან, ჩალის ფასადაა. ეტყობა მსუყე ქვეყანაა, უხვი, მდიდარი...

კვლავ მიჰქრის მატარებელი. ეტყობა ახალი, დასვენებული მემანქანეა და ასეთივე ორთქლმავალი.

ისევ მინდვრები, ისევ ყანები.

ხარკოვს ვუახლოვდებით. ცოტა იცვალა ფერი ბუნებამ. მინდორი ტყემ შეცვალა. პატარა გორაკები გამოჩნდა, მატარებელმა სიჩქარეს უკლო. ნაძვნარ ტყეში შევსრიალდით.

ალაგ-ალაგ ტყე ადგილს უთმობს კოხტა და ლამაზ სოფლებს, ხეხილოვან ბაღ-ბოსტნებს.

გამოჩნდნენ მაღალი ბუხრები. ქარხნის ბოლი.. ხარკოვს უახლოვდებით.

რკინისგზის ლიანდაგები ერთი მეორეს ჯვარედინათ კვეთავენ. ხარკოვში რკინისგზის მრავალი შტოები იყრის თავს.

აი ფანჯრიდან ვხედავთ, გვერდიდან მატარებელი გვიახლოვდება. მეორე მხრიდანაც მოჰქრის ასეთივე მატარებელი. ჩვენი მესამეა. ყველა ხარკოვისაკენ, ყველა ერთ მხარეზე მიექანება. როგორ აუვლიან ერთმანეთის გვერდს? კითხულობს ერთი შეშინებით.

— არ დავეჯახოთ ერთი-მეორეს!

ამ დროს სამივე მატარებელი სამ სართულიან ხიდზე გასრიალდენ. ერთი მაღლა, მეორე შუაში და მესამეც სულ დაბლა.

საუცხოვო სურათი იყო... ჩვენმა სწრაფმა მატარებელმა სხვებს გაუსწრო და ხარკოვის სადგურზე შესრიალდა.

ს. დოლიძე.

ხარკოვი, 10 მაისი.

სატყეო მეურნეობა

ზოგიერთი ტყის ნაკვეთისა და პარკის შეკრულ ტყედ და პარკად გამოცხადების შესახებ

იშვიათი ჯიშის მცენარეთა და პარკების დასაცავად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გამოცხადებულ იქნეს შეკრულ ტყედ და პარკად ქვემოდ ჩამოთვლილი ტყის ნაკვეთები და პარკები.

ურთხმელას ტყე—ბაწარის ხეობაში (თელავის მაზრა, თელავის სატყეო); გოგნის გზის ტყე—ოკრიბაში 50 ჰექტ. (ქუთაისის მაზრა ქუთაისის სატყეო); ელდარის ფიჭვის ჭალა—ელდარში (სიღნაღის მაზრა, შირაქის სატყეო); ლაგოდეხის ტყე—500 ჰექტარი, ანცალის ხევში (სიღნაღის მაზრა, სიღნ. სატყეო); შავი ტყე 24 ჰექტ. ბორჯომის საკურორტო რაიონში (ბორჯომის სატყ. ლომისის მთაში); ნალვრევის ტყე—300 ჰექტარი, წაღვერში (ბორჯ. სატყეო რაიონში,—წაღვერის სატყეო); სახეცვლილი ფიჭვი, 40 ჰექტ. მარიამ-ჯვარის აგარაკში (თბილისის მაზრა, გარე-კახეთის სატყეო); ძელქვა 20 ჰექტ. ვარციხეში და აჯამეთში (ქუთაისის მაზრა, ქუთ. სატყეო); პონტის მუხა 14 ჰექტ. ოზურგეთის მაზრაში (ოზურგ. სატყ.); წაბლნარი, 40 ჰექტ. ტყიბულის აგარაკში (ქუთ. მაზ.); კევის ხე სალსალაჩი) და ლეია 100 ჰექტ. სიღნაღის მაზრაში (შირაქის სატყეო); კოჯრის ბაღი. (თბილისის მაზრა); ზუგდიდის პარკი (ზუგდიდის მაზრა); გორდის პარკი (ქუთაისის მაზრა).

შეკრული ტყეებისა და პარკების ნამდვილი საზღვრების ადგილობრივ შემოფარგვლა, ამ საზღვრების გეგმაზე გადატანით დაევალა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

ქრონიკა

შეხვედრა ამხ. გეგეჭკორთან

იაპონიის სამხედრო ატაშე ბ. კოიანაგი 16 მაისს ესტუმრა საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარს ამხ. გეგეჭკორს, რომელთანაც საუბარი ჰქონდა საქართველოში სასოფლო-მეურნეობის განვითარების და მასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. საუბარი ერთ საათზე მეტი გაგრძელდა.

16 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე იაპონელი სტუმარი მიწათმოქმედების სპეციალისტების თანხლებით გაემგზავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუხრანის საბჭოთა მამულში, სადაც დაათვალიერა სოფ. მუხრანი და ესაუბრა გლეხებს.

ამხ. მ. ღვამიჩავას გამგზავრება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ღვამიჩავა გუშინ გაემგზავრა ქუთაისში.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი

20 მაისიდან 22 მაისამდე ქალ. დნეპროპეტროვსკში ჩატარებული იქნება ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი, რომლის დროს გათამაშებული იქნება 23.300 მოგება—3.001.500 მანეთი.

ეს სესხი დიდი წარმატებით იქნა განაღდებული გასული წლის შემოდგომაზე.

განსაკუთრებული წარმატებით განაღდდა სესხი ამიერ-კავკასიაში, სადაც სესხის ობლიგაციები შეიძინა 221.000 მუშა-მოსამსახურემ, რომლებმაც ა.-კავკ. შეიძინეს 4.025.000 მან. ობლიგაცია.

ბურიის ნავთი

ხ. მ. უ. ს. საბჭო სამმართველოს ნავთის დამუშავებათა სექციის ცნობებით, უახლოეს ორ კვირაში დამთავრდება ჭაბურღილის ამოცემენტება, რის შემდეგაც დაწყებული იქნება პირველი ნავთიანი ფენიდან ნავთის ამოქაჩვა.

კოლმეურნეობათა საკავშირო ყრილობა

30 მაისს მოსკოვში გაიხსნება კოლექტიურ მეურნეობათა პირველი საკავშირო ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია: კოლმეურნეობათა მნიშვნელობა სას.-მეურ. განვითარების საქმეში და სას.-სამ. კოოპერაციის ამოცანები კოლექტივიზაციის დარგში; ცენტრალურ სას.-სამ. ბანკის მოხსენება კოლმეურნეობათა ფინანსების შესახებ; შრომის ორგანიზაცია და შრომის ხელფასის ფორმები კოლმეურნეობებში; მეურნეობის ორგანიზაციულად მოწყობა და კაპიტალის დაგროვების ფორმები კოლმეურნეობებში; საკავშირო კოლმეურნეობათა საბჭოს წესდება, მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა; მმართველი ორგანოების არჩევნები.

ამიერ-კავკასიას ყრილობაზე დათმობილი აქვს 12 ადგილი.

სამხედრო კონტინგენტის საპენსიო თანხის გადიდება

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სოც. უზრუნველყოფის ორგანოების კმაყოფაზე მყოფი სამხედრო კონტინგენტის საპენსიო თანხის გადიდება, რესპუბლიკის ფინანსიურ შესაძლებლობასთან შეფარდებით.

საგლეხო სესხი და წითელი ყაზარმა

წითელი არმიის მთავარ სამმართველოს ცნობით, დღევანდლამდის წითელი არმიის რიგებში გასაღებულია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის სამი მილიონ მანეთის ობლიგაცია.

ისტორიულ ძეგლის შეკეთება

განათლების სახ. კომისარიატი შეუდგა ნაპარწმინდის ისტორიული ძეგლის შეკეთებას. აღნიშნული ძეგლი სამი წლის წინად დააზიანა მეხმა, რის გამო საჭირო შეიქნა ძეგლის საფუძვლიანი შეკეთება. მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟ. კალჩინი.

ახლო მომავალში განათლების სახ. კომისარიატს განზრახული აქვს შეაკეთოს ოფჩის (იმერეთში) ისტორიული ძეგლის სახურავი.

თბილისის აღმასკომში

◆ **კანალიზაცია.** ფიქრის-გორის რაიონში კანალიზაციის გასაყვანად აღმასკომმა გადასდო 5000 მანეთი.

◆ **წითელი არმიის საბინაო და სანიტარულ** პირობების გასაუმჯობესებლად აღმასკომმა გადასდო 70 ათასი მანეთი.

◆ **საბეითლო პუნქტი.** ზემო-ერწოს თემში სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ხსნის საბეითლო პუნქტს.

◆ **საბავშვო ლიტერატურა.** პოლიტგანმ დაავალა მაზრის და ქალაქის სამკითხველოებისათვის შეიძინოს საჭირო საბავშვო ლიტერატურა. ამ მიზნით გადადებულია საჭირო თანხა.

მიწსახკომში

◆ **სახელოსნო.** მიწსახკომმა წნორის წყალში მოაწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემკეთებელი მოძრავი სახელოსნო. სახელოსნო მოწყობილია ავტომობილზე.

◆ **მეფუტკრეობის კურსები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა წელს თბილისში გახსნას მეფუტკრეობის მოსამზადებელი 3 თვიანი კურსები.

◆ **სუბტროპიკული მცენარეები.** მიწსახკომის ცნობით, ოზურგეთის მაზრის გურიანთის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ მოაწყო სუბტროპიკული მცენარეების სანერგე „ლიმონი“.

სოცდაზღვევის კომიტეტში

◆ **დახმარება.** მოზარდ უმუშევრებისათვის დახმარების გასაწევად სოცდაზღვევის კომიტეტმა გადასდო 13.000 მანეთი.

◆ **დასნეულებულ მოზარდ მუშებისათვის** სოცდაზღვევის კომიტეტი წელს წაღვერში აწყობს სპეციალურ ახალშენს.

ექსკურსია

◆ **საექსკურსიო სეზონი** მთელს საქართველოში გაიხსნება 15 ივნისიდან.

◆ **ექსკურსია ბაქოში.** 26 მაისს ბაქოში მიემგზავრება მელითონეთა ექსკურსია 15 კაცის შემადგენლობით.

◆ **26.000 ექსკურსანტი.** წელს საქართველოში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან მოელიან 26.000 ექსკურსანტსა და ტურისტებს.

◆ **საექსკურსიო ბაზები.** პოლიტგანათლების მთავარ მმართველობა შეუდგა საექსკურსიო ბაზების მოწყობას თბილისის მიდამოებში. სულ მოეწყობა 6 ბაზა: მათ შორის უზოში, ზედაზენში, შავნაბადში, შიოღვიმეში და სხვ.

◆ **კურსები.** პოლიტგანათლების მთავარმმართველობა ექსკურსიის მომწყობ ინსტრუქტორთა მოსამზადებლად ამ დღეებში თბილისში გახსნის სპეციალურ მოკლე-ვადიან კურსებს.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართული ენის კაბინეტში** დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება კაბინეტის ბიუროს სხდომა. დღის წესრიგშია: საგნობრივი გამოფენის გეგმის შედგენა.

საღამოს 7 საათზე კი შესდგება ლიტერატურის მეთოდიკის სემინარის მუშაობა. დღის წესრიგშია:—პროგრამის განხილვა, რეცენზია, ენის გაკვეთილები.

◆ **უნივერსიტ. თანამშრომელთა** საერთო კრება, რომელიც უნდა შემდგარიყო ოთხშაბათს. 16 მაისს, შესდგება დღეს, 18 მაისს დღის 2 საათზე. დღის წესრიგშია: ქუთაისში მომხდარ ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სხვადასხვა

◆ **მატყლი.** „სოფლის კავშირი“ წელს საქართველოში დაამზადებს 54.000 ფ. გაზაფხულის მატყლს.

◆ **კანაფი.** საზოგადოება „კანაფმა“ კანაფზე დააწესა შემდეგი ნიხრი: პირველ ხარისხის ბოჭკოზე—9 მ., მეორეზე—8 მ. 50 კ., მესამეზე—8 მ., მეოთხე ხარისხის ბოჭკოზე—6 მ. 50 კ.

◆ **ყრილობა.** 25 მაისს თბილისში გაიხსნება სამთამადნო მუშათა მე-7 ყრილობა.

◆ **ამხ. აბელ ენუქიძის** მიერ გამოგზავნილი ფულით სოფ. ხოტევში (რაჭის მაზრა) მოწყობილი იქნა მიმღები რადიო-სადგური.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** წინანდლიდან—ბარტაძეს, ონიდან—გამყრელიძეს, კერმინედან—ხარაძეს, ბაზვიდან—ნიკოლაიშვილს, როსტოვიდან—ელენეს, ბუკისციხიდან—შარაშიძეს, აბაშიდან—არონიშიძეს.

◆ **საქ. პროფსაბჭოს ისტპროფი** (პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელი ც. ბ.) სთხოვს 1905—7 წ. პროფ. მუშაკს, რაჟდენ ჯაღამაძეს შემოიაროს პროფსაბჭოში (რუსთაველის პროსპექტი № 17, მეორე სართული მე-12 ოთახი).

◆ **საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილება** იუწყება, რომ დღეს პროფკავშირთა ბიბლიოთეკების მუშაობის მიღწევების გამოფენაზე (მუშათა სასახლე, რუსთაველის გამზირი, № 17) წაკითხულ იქნება ლექცია შემდეგი თემაზე: როგორ უნდა წიგნზე მუშაობა.

დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

ტყავის წარმოების მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ გამოიმუშავა დადგენილება ტყავის ბაზრის და წარმოების მოწესრიგების შესახებ.

ადგილობრივ მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო წარმოებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს ეკრძალებათ ტყავის წარმოებათა აგება, ან გადაკეთება რესპუბლიკური სახალხო კომისართა საბჭოების სპეციალური ნებართვის გარეშე.

ტყავის სახელმწიფო ქარხანა შეიძლება იჯარით გადაეცეს მხოლოდ ტყავის სახელმწიფო ტრესტებს და სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციებს. გადაცემის საკითხი წინასწარ უნდა იქნას განხილული რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს ევალებათ მიიღონ ზომები ტყავის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ტყავის ხარისხის გაუმჯობესების საქმე ეკისრებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

ტყავის მრეწველობის გეგმიან საფუძველზე გადაყვანა და გეგმიანი ხელმძღვანელობა ევალება რესპუბლიკური სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

აუცილებელ საჭიროდაა მიჩნეული ტყავის დამამზადებელ ერთეულ შინა-მრეწველობის და არტელების ჩაბმა სამრეწველო კოოპერაციის სისტემაში.

ყოველ რესპუბლიკაში (ა.-კ. ფარგლებში) არსდება სანიტარულ-ტექნიკური კომისია, რომელიც გამოიკვლევს ტყავის ქარხნებს და საწყობებს და შეისწავლის წარმოების მდგომარეობას მათი გაუმჯობესების მიზნით.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს ევალებათ მიიღონ ზომები, რომ ტყავის ადგილობრივ ქარხნებში დამზადებული იქნას სპეციალური ფეხსაცმელები გლეხებისა და მთიან რაიონებისათვის.

ტყავის ნედლეულის გეგმიანად დამზადების, განაწილების და ექსპორტის საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რომელსაც მიენდო გააფართოოს ნედლი ტყავის დამამზადებელ აპარატის ქსელი.

ტყავის ნედლეულის დამზადებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ახლო მომავალში გამომუშავებული იქნება სპეციალური მოწოდება საბჭოთა, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების და მთელი მოსახლეობის მიმართ.

ხელოვნება

ოზურგეთის თეატრი

რეგულიარულად მომქმედი თეატრი დიდიხანია არ ყოფილა ოზურგეთში. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა პროფბიურომ და მიმდინარე წელს სათანადო ორგანიზაციების დახმარებით მიიღო ზომები თეატრის შესაქმნელად. თეატრის მთავარ რეჟისორად და ხელმძღვანელად მოწვეული იქნა კ. ულენტი, რომლის ენერგიული მუშაობით სულ მოკლე დროში ჩამოყალიბდა დრამწრე, მომღერალთა გუნდი. სიმებიანი და სასულე ორკესტრი. სრულიად გადაკეთდა სცენა. მოწყობილია მბრუნავი სცენა, მხატვარ ლ. მალაზონიას მიერ დამზადებულია ახალი დეკორაციები და მოდელები.

თეატრისა და სეზონის საზეიმო გახსნა მოხდა 6 მაისს. კ. ულენტის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა კ. სვობოდოლიუბოვის პიესა „ელიან გრიგალს“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო; ჯერ ჯერობით პიესა ზედიზედ დაიდგა ოთხჯერ. ამჟამად თეატრი დასადგმელად ამზადებს ბ. ლავრენიოვის „რღვევას“.

საბჭოთა სატირის თეატრი

თბილისში დაარსდა საბჭოთა სატირის თეატრი, რომელშიაც იმუშავებს ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივი.

თეატრს ხელმძღვანელობს ამხ. გ. ბუხნიკაშვილი. მთავარ რეჟისორად მიწვეულია კ. კახიძე, რეჟისორის თანაშემწედ: ციციაშვილი.

კოლექტივში შედიან: მ. ვარდოშვილი, ილურიძე, გაგუა, ვ. სახარულიძე, კულაშვილი, მალალაშვილი და სხ. ქალები: გურმანელი, ჩხეიძე და სხ.

თეატრისათვის რეპერტუარი უკვე შედგენილია. ამჟამად კოლექტივი ამზადებს შემდეგ სატირულ პიესებს: „ქალი პროტექციით“, „გარდაცვალებული კიტრაძე“, „სტატისტიკა“, „ალიმენტი“, „ქორწილი“, „ბიუროკრატები“, „ოთხი ორდერი“ და სხ.

თეატრისათვის შეძენილია შესაფერი მოწყობილობა: ტანსაცმელი, დეკორაციები და სხ. კოლექტივს განზრახვა აქვს ზაფხულის განმავლობაში წარმოდგენები გამართოს პროვინციებში, ხოლო შემოდგომაზე მუშაობას შეუდგეს თბილისში.

კოლექტივი თავის პირველ საჩვენებელ წარმოდგენას თბილისში გამართავს ამ თვის ბოლო რიცხვებში.

თეატრის პროგრამა და რეპერტუარი განხილული და დამტკიცებულია სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის მიერ.

◆ **სათეატრო ტექნიკუმი.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სათეატრო ტექნიკუმი.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში.** 20 მაისს გაიმართება პროფ. ტრუსოვსკას კლასის მოწაფეთა საჩვენებელი კონცერტი.

◆ **რიადნოვას საღამო.** დღეს კონსერვატორიაში გაიმართება რიადნოვას საღამო ჟიხარევას მონაწილეობით.

◆ **დიდი საღამო-კონცერტი.** დღეს ოპერის თეატრში ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკის უმუშევარ მსმენელთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **ჟიხარევას უკანასკნელი გასტროლი** გაიმართება 20 მაისს. წარმოდგენილი იქნება „ოკეანეს გადაღმა“.

◆ **მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლები** ოპერის თეატრში დაიწყება ხვალიდან.

— **დიდი კონცერტი**. კვირას, 20 მაისს, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება დიდი კონცერტი პროფ. ვრონსკის, მომღერალ ვალ. ქაშაკაშვილის, დავ. ბადრიძის, გვ. ებრაელიძისა და სხვათა მონაწილეობით.

აბრეშუმის თესლი

აბრეშუმის თესლის დარიგება დაიწყო 1-ლ მაისიდან. საქართველოში წელს სულ დარიგებული იქნება 100.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

აბრეშუმის თესლი თბილისიდან თანდათანობით იქნა გადაგზავნილი სამაზრო ცენტრებში და ინახებოდა სპეციალურად აბრეშუმის თესლის შესანახად აგებულ საწყობებში.

წელს მეაბრეშუმეობას დიდი გამოცოცხლება ემჩნევა აფხაზეთსა და აჭარისტანში.

ქობულეთში მოწყობილია პარკის საშრობი პუნქტი.

თესლის დარიგება ყველგან ნორმალურად მიმდინარეობს.

ადგილებზე ადგილი არ აქვს თესლის გაფუჭებას, როგორც ეს გასულ წლებში ხდებოდა.

სამრეწველო აღმშენებლობა ქუთაისში

ბარიტის ქარხნის აგება სავსებით დასრულებულია. ქარხანა აგებულია სადგურის რაიონში, ქალაქს გარეთ. ამჟამად სწარმოებს უცხოეთიდან მიღებული მანქანების დადგმა-აწყობა. ქარხნის სრული მოწყობა და მანქანების საბოლოო დადგმა უნდა მოახდინოს საზღვარ გარეთიდან გამოწვეულმა მონტიორმა, რომლისგანაც მიღებულია დეპეშა, რომ იგი უკვე გამოემგზავრა საქართველოში; ქარხნის აგება სულ დაჯდა 256.000 მან., ხოლო მოწყობილობის შეძენა 142.000 მანეთი.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის შენობის აგება 1-ლი მაისისათვის დასრულებული იყო 70 პროცენტით. ხარჯთაღრიცხვით ქარხნის აგება სულ ჯდება 557.000 მანეთი. 1-ლ მაისამდე ქარხნის საამშენებლო სამუშაოებზე დახარჯულია 187.000 მანეთი.

მოწამეთის კირის ქარხნის შენობის აგება დაჯდება 294.000 მანეთი. 1-ლ მაისამდე ქარხნის ასაგებათ დახარჯულია 242.000 მანეთი. ქარხნის აგება დასრულდება 1-ლი ივნისისათვის.

სასამართლო

როგორ იჯილდოებდა თავს აღმასრულებელი

გრიგოლ გერასიმეს ძე ბარუჩევი თბილისელი მოქალაქეა. საკმაო სტაჟი აქვს სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობაზე.

პირველი უბნის მცხოვრებთა შორის ბევრია ისეთი, რომელთათვის არა სასიამოვნო „ვიზიტი“ გაუკეთებია ბარუჩევს, აუწერია უძრავი, თუ მოძრავი ქონება მაძიებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

იმ თანხიდან, რომელიც აღმასრულებელ ფურცლის თანახმად უნდა გადაეხადა მოპასუხეს მაძიებლისათვის, თანახმად საერთო წესისა ბარუჩევს განსაზღვრული პროცენტის აღების უფლება ჰქონდა გასამრჯელოს სახით.

სასამართლოს აღმასრულებელი ბარუჩევი პროცენტებმა ისე წაახალისა, რომ თავის შეკავების უნარი დაუკარგა. იქ სადაც ცოტა იყო სარგო, სადაც არაფერი იყო დასაძრობი, ბარუჩევი დიდად თავს არ იწუხებდა აღმასრულებელი ფურცლის სისრულეში მოსაყვანად. ხოლო თუ დაინახავდა, რომ რამეს გამორჩებოდა ბარუჩევი ჯარასავით დატრიალდებოდა სასამართლოს დადგენილება დაჩქარებითი წესით მოჰყავდა სისრულეში.

წელს 23 იანვარს იუსტიციის სახალხო კომისრის განკარგულებით დაარსდა სარევიზიო კომისია, რადგან ცუდი ხმები დადიოდა ზოგიერთ აღმასრულებლების შესახებ.

გრიგოლ ბარუჩევი სარევიზიო კომისიას „პირნათლად“ შეხვდა, გადმოუშალა დავთრები და რიხით დაიწყო ლაპარაკი, რომ მას, როგორც ძველ მუშაკს ჩინებულად აქვს დაყენებული საქმე რაც კი რამ მიუღია ჯილდოთ, ან რაც კი რამ სისრულეში მოუყვანია ყველაფერს სარკესავით აჩვენებენ წიგნები.

ბარუჩევზე ცუდი მითქმა-მოთქმა იყო, „ბოროტი ენები“ ლაპარაკობდენ, რომ ნორმაზე მეტ გასამრჯელოს აღებაზე უარს არ ამბობსო.

საჭირო გახდა იმ მოქალაქების დაკითხვა, რომლებისგანაც ბარუჩევს გასამრჯელო ჰქონდა მიღებული.

ყველას რასაკვირველია ვერ დაჰკითხავდენ. ბევრმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა. ბევრი სხვაგან იყო წასული, მაგრამ საკმაო რიცხვის დაკითხვა მაინც შესაძლებელი გახდა.

რა გამოირკვა?

ბარუჩევს სულ ტყავი გაუძვრია მის ხელში ჩავარდნილ მოქალაქეებისათვის.

ვინმე ჯორბენაძისათვის, რომლისგანაც პროცენტულ გასამრჯელოდ ეკუთვნოდა 3 მანეთზე ცოტა მეტი, ბარუჩევს გადაუხდევინებია 37 მანეთი. წიგნში, რასაკვირველია, მხოლოდ 3 მანეთია გატარებული.

ვინმე კალანტაროვისაგან 3 მანეთის მაგიერ 25 მანეთი აუღია.

ერთი მოქალაქის ქონებაზე ბარუჩევს ყადაღა უნდა მოეხსნა სასამართლოს დადგენილების თანახმად. ყადაღაც მოხსნა. 73 მანეთიც აართვა 7 მანეთის მაგიერ. ვინმე მენთეშაშვილს 106 მანეთის მაგიერ 333 მანეთი გამოართვა. აქედან წიგნში გაატარა 106 მანეთი, დანარჩენი 227 მანეთი ჯიბეში გაუძახა.

როცა შეეკითხნენ, რატომ ჩადიოდი ასეთ სისაძაგლეს, ბარუჩევმა თავის გასამართლებლად სთქვა:

— მაგათ ჩემი ჯიბი სჭირთ. მაგათთვის სახლ-კარი ამიწერია, კარგს რატომ იტყვიან ჩემზე...

აღმასრულებელმა მეტი ვერაფერი სთქვა.

საგამომძიებლო ორგანოებმა სათანადო დასკვნა გამოიტანეს აქედან და აღმასრულებელი ბარუჩევი გამსახლისკენ გაისტუმრეს.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო. ჯილდოთ მოყვარულ აღმასრულებელს ღირსეული „დაჯილდოება“ მოელის.

უფასოდ მოსადილე

სასტუმრო „ორიანტის“ შენობაში არსებულ კოოპერატიულ სასადილოს შეეჩვია ერთი მოქალაქე, რომელიც ყოველთვის უფასოდ დანაყრებული გამოდიოდა სასადილოდან.

— წავიდა? სად არის აქ რომ კაცი იჯდა? ფული არ გადაუხდია,—ოფიციანტი აცეცებს თვალებს.

— სად გქონდა თვალები?—ნიშნის მოგებით უპასუხებს მეორე ოფიციანტი.

მეორე თუ მესამე დღეს მეორე ოფიციანტი დაეძებდა მიმალულ მოსადილეს.

— სად გქონდა თვალები?— გადაუხადა პირველმა ოფიციანტმა სამაგიერო.

მოგეხსენებათ, „ორიანტის“ სასადილოში სადილობისას ბევრი ხალხი იყრის თავს. ოფიციანტს არ შეუძლია ყველას გარეგნობა დაიმახსოვროს.

„უფასოდ მოსადილემაც“ იცის ეს. მიუხედავად ამისა, სიფრთხილეს მაინც იჩენს. დღეს რომ ერთ კუთხეში ისადილებს ხვალ მეორე კუთხეში მოუჯდება მაგიდას, რომ ერთი და იმავე ოფიციანტთან არ ექნეს საქმე.

ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი თვის განმავლობაში. ოფიციანტები გულზე სკდებოდენ სიმრისხისაგან.

— დღესაც გაგვებითურა?—ეკითხება ამხანაგი ამხანაგს, რომელსაც მეორეჯერ გაეპარა მოსადილე.

— დამაცადეთ, ეხლა დაახლოვებით მახსოვს იმისი გარეგნობა. ის ისე მოჩვეულია, რომ ხვალაც მოგვაკითხავს. ბიჭი არ ვიყო, თუ არ გავქჩრო!..

მეორე დღეს ყველანი ფხიზლად იყვნენ სადარაჯოზე. შემოვიდა საეჭვო პიროვნება. ისადილა კარგა მაგრათ, გააბოლა პაპიროსი. ერთხანს იჯდა მაგიდასთან და შემდეგ დინჯათ ზეზე წამოდგა და გაემართა კარებისაკენ.

— მოითმინეთ, ამხანაგო! თქვენ სადილის ფულის გადახდას არ აპირებთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე.

ამდენი ხანია ვაკაკუნებ. დავამტვრიე მაგიდა, თქვენ ყურადღებას არ მაქცევთ აქ ხომ არ დავაღამებ.

— აბა, ბევრს ნუ ლაპარაკობ! გეყოფა რაც მუქთად სჭამე. ფული ჩამოდი ეხლავე.

სადაა ფული? მოსადილე ეძებს ჯიბეში, ეძებს და არ დაადგა საშველი.

— ფული სახლში დამრჩენია. უკაცრავად. ეხლავე მოვიტან...

მოსადილეს ფულიც არ წამოუღია. დარწმუნებული იყო, რომ დღესაც უფასოდ ისადილებდა.

დააპატიმრეს მოქალაქე, რომელიც აღმოჩნდა ლაზარე კაპალეიში.

უანგარიშეს ძველი ცოდვები. 45 მანეთამდე აღმოაჩნდა ძველი ნისია. საქმე გადაეცა სასამართლოს.

ლაზარე კაპლეიშს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 თვით, ამას გარდა უნდა გადაუხადოს სასადილოს 45 მანეთი. სასჯელი შეეცვალა პირობით ერთი წლის ვადით.

გერ.

შემთხვევები

ხანძარი რუსთაველის თეატრში

გუშინ, დღისით, ცეცხლი გაუჩნდა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზს. თეატრის შენობიდან ამოდიოდა კვამლი, რომელიც რუსთაველის პროსპექტიდან შენიშნეს ქუჩაში მიმავალმა პირებმა.

თეატრის ადმინისტრაციამ ტელეფონით გამოიწვია პირველი ცეცხლის მქრობელი რაზმი.

ხანძრის ადგილზე გაემგზავრა აგრეთვე თბილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბრანდმაიორი ალ. ზერაძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცეცხლის ჩაქრობას.

ხანძარი გაჩნდა დაზიანებულ ელექტრონის მავთულების შეერთების გამო.

ცეცხლის ჩაქრობაზე მუშაობდა 7 ცეცხლის მქრობელი მანქანა.

ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმის ახალი დიდი კიბე.

ცეცხლი ჩააქრეს 40 წუთში. ზარალი ირკვევა.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დღისით, ციმაკურიძის ჩიხში (რკინისგზის მახლობლად) მოხდა უბედური შემთხვევა: მუშა რუბენ აზარიანი (მცხ. არაქელას ქ. № 1) და კარაპეტ ვარდანიანი (მცხ. ელბაქიძის დაღმართზე) კლდის ძირას თხრიდნენ მიწას. უცებ მიწა მოშვავდა და ქვეშ მოიყოლია ორივე მუშა, რომლებიც მძიმედ დაშავდნენ. დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

აფერისტები

უკანასკნელ ხანებში ქალაქში თარეშობს აფერისტთა ჯგუფი, რომლის წევრები დაიარებიან ბინებზე და მდგმურებს ეცნობიან, როგორც ინჟინერ-ტექნიკოსები. აფერისტები მოქალაქეთა თვალწინ გახსნიან პორტფელს, ამოიღებენ ხელსაწყოებს და იწყებენ „მუშაობას“. როცა მდგმურები მარტო სტოვებენ მათ—აფერისტები იტაცებენ ძვირფას ნივთებს და გარბიან. რამოდენიმე აფერისტი ამ დღეებში დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ.

ხულიგნობა მცირდება

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების ცნობებით, ქუჩაში წესრიგის დარღვევის შემთხვევები უკანასკნელ თვეში შემცირდა 40 პროცენტით.

პატიმარის გაქცევა

გუშინწინ აბულაღის მილიციის საპატიმროდან გაიქცა პატიმარი მამედ ისმაილ-ოღლი, რომელსაც ბრალდებოდა ქალის მოტაცება და გაუპატიურება.

ხანძარი

გუშინწინ, ღამით, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სახლს (№ 35) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრეს შინაური საშუალებებით.

დაჭრა

ამ რამოდენიმე დღის წინად ლუკა ვანიშვილმა სოფელ დიდ ლილოში (თბილისის მაზრა) ჩხუბის დროს დანით დაჭრა თავისი ძმა—ნიკო და მიიმალა. გუშინ ლუკა ვანიშვილი დააპატიმრა მილიციამ.

ქურდობა

გუშინწინ, დღისით, გაქურდეს კონ. საბაშვილის ბინა (ლენინის ქ. № 41), წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—ნინა დავითის ასულ სამხარაძეს რუსთაველის პროსპექტზე ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 115 მანეთი და მიიმალა;—გაქურდეს აგნია ვოლკოვის ბინა (კამოს ქ. № 53), წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ამ საქმეზე დააპატიმრეს მიხეილ თედორეს ძე ნიკოლსკი და ალექსანდრე სიმონის ძე ეისაგონი, რომლებიც გამოტყდნენ დანაშაულში.

—

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: ესქილ გუსელიანი, ნიკოლოზ ალექსის ძე ჩიქოვანი, სერგო სოლომონის ძე მარტიროზოვი, მკრტიჩ გრიგოლის ძე არტონიანცი და გურგენ ალექსანდრეს ძე სიჩუნოვი.

ელექტრონის მავთულის ქურდები

ამ რამოდენიმე დღის წინად ქალაქის წყალსადენში დაიკარგა ელექტრონის მავთულები. ქურდები გუშინ დააპატიმრეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა. ისინი აღმოჩნდნენ: ადამ სიმონის ძე ავაქოვი და პეტრე ვართანის ძე გარიბოვი.

ვისია ნივთები?

მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ოთახი № 2, გ. მალალაშვილთან.

ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

კულტურულ - საგანმანათლებლო კომისია

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე არჩეულ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო კომისია ამხ. დ. კანდელაკის, ს. მამულიას, ვ. იმედაძის, ვ. კიკნაძის, ფირალიშვილის და საქ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენლის შემადგენლობით.

კომისიას ევალება ფიზკულტურის დღესასწაულის განმავლობაში კულტურულ-საგანმანათლებლო ხელმძღვანელობა გაუწიოს პროვინციიდან ჩამოსულ ფიზკულტურნიკებს.

ამხ. ს. მამულია და კუჭაიძე (ჯანსახკომი) დაევალა შემუშაონ დღესასწაულში მონაწილეებზე საექიმო კონტროლის გაწევის გეგმა.

საექიმო კონტროლი

16 მაისს ჯანსახკომში შესდგა სრ. საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ არჩეულ საექიმო კომისიის სხდომა, რომელმაც შეიმუშავა დღესასწაულში მონაწილე ფიზკულტურნიკებზე საექიმო კონტროლის გაწევის წესი.

თანახმად აღნიშნული წესისა, დღესასწაულში მონაწილე ყველა ფიზკულტურნიკებზე უნდა მოხდეს საექიმო შემოწმება, ანტროპომეტრიული გაზომვა, სანიტარული დაკვირვება დღესასწაულის განმავლობაში და აგრეთვე პირველი დახმარებისა და ამბულატორიული დახმარების აღმოჩენა.

თბილისის ფიზკულტურნიკები მოვალენი არიან საექიმო შემოწმებაში გატარდენ ა. წ. 29—30—31 მაისს. ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში (ფეირვერკის ქუჩა № 4) დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

პროვინციიდან ჩამოსულ ფიზკულტურნიკებმა კი საექიმო შემოწმება უნდა გაიარონ 2, 3 და 4 ივნისს, იმავე სასპორტო დარბაზში. გარდა ამისა, მათთვის სპეციალურად იქნება შემუშავებული საექიმო შემოწმების კალენდარი.

შეჯიბრებაზე შესასვლელი ბილეთები

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებამ გამოუშვა შეჯიბრებაზე შესასვლელი იაფი ბარათები ორი სხვადასხვა ფასის.

1 მან. და 50 კაპ. ღია ბარათით შეიძლება შესვლა 10 შეჯიბრზე, ხოლო მანეთიანი ბარათით—5 შეჯიბრზე.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. პროფსაბჭოს შენობაში (ოთახი № 21).

როდის განახლდება ავტო-მიმოსვლა საქ. სამხედრო გზაზე

გუშინ თბილისში დაბრუნდა „ზაკავტოპრომტორგ“-ის კომისია, რომელმაც დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზატკეცილი. ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე—თუ როდის განახლდება ავტო-მიმოსვლა საქ. სამხედრო გზაზე, კომისიის წევრებმა,—უპასუხეს:

თოვლი მლეთამდე სრულიად გამდნარია. გზის მახლობელ ფერდობებზეც აღარ დარჩენილა თოვლი და ამგვარად ზვავების ჩამოწოლის საშიშროებაც აღარ არსებობს.

მლეთიდან ყაზბეგამდე გზა თოვლით არის დაფარული.

სწარმოებს მუშაობა რკინის ხიდის ახაგებათ დარიალის ხეობაში. მუშაობა დამთავრდება მაისის ბოლო რიცხვებში.

გარდა ამისა სწარმოებს გზების შეკეთება.

კომისიის წევრების გზაში ყოფნის დროს ანანურის მიდამოებში ადგილი ჰქონდა ძლიერ წვიმას, რამაც გამოიწვია მახლობელ მთის ღელეების ადიდება. ადიდებული წყალი გადმოვიდა გზატკეცილზე, წარეცხა იგი და დასტოვა დიდძალი ნალექი. წვიმის გადაღებისთანავე მიღებული იქნა ზომები გზის გასაწმენდათ.

სამხედრო გზატკეცილზე ავტო-მიმოსვლის სეზონი გაიხსნება ივნისის პირველ რიცხვებში.

პირველ ხანებში გზაზე იმუშავებს 20-მდე ავტობუსი, შემდეგ კი მოთხოვნილებისამებრ, მათი რაოდენობა გადიდებული იქნება.

საზოგადო სამუშაოები

უმუშევრობასთან ბრძოლაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადო სამუშაოების მოწყობას, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევენ მრავალ უმუშევარს.

გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში, შრომის ბირჟამ თბილისის აღმასკომთან ერთად საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გადასდო 51.409—65 კაპ. საზოგადო სამუშაოები უმთავრესად ეხებოდა ქუჩების შეკეთებას და გაყვანას მუშათა უბნებში. სამუშაოზე გაიგზავნა 3.131 კაცი, რომელთაც მიიღეს 43.344 მანეთი. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სტადიონის მოსაწყობ სამუშაოებში ჩაბმულმა უმუშევრებმა მიიღეს 48.684 მანეთი. ცენტრ. არქივის სამუშაოებზე გაგზავნილი იყო 62 კაცი.

წელს საზოგადო სამუშაოები მოეწყობა აღმშენებლობის დასახმარებლათ და გზების გასაყვანათ.

აღმასკომმა, შრომის ბირჟას წარუდგინა გეგმა ზოოლოგიური პარკის საზოგადო სამუშაოების ჩატარების შესახებ. შრომის ბირჟამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა აღნიშნული გეგმა თავისი ხარჯთ-აღრიცხვით, რომლის მიხედვითაც სამუშაოების ჩასატარებლათ გათვალისწინებულია 51.886 მანეთის დახარჯვა. აღმასკომს ამ სამუშაოებზე, უკვე გადადებული აქვს 24.000 მანეთი. სამუშაოები გაგრძელდება მთელი ზაფხულის განმავლობაში და სამუშაოებზე გაიგზავნება 600 კაცამდე. ხარჯთ-აღრიცხვით შავ-მუშათა ხელფასისათვის გადადებულია 24.000 მანეთი. კვალიფიციურ მუშებისათვის 10.000 მანეთი. დანარჩენ თანხას—27.886 მ. გაიღებს შრომის ბირჟა.

რკინისგზაზე

24.000 მან. გაფლანგვა

ა. კ. რკ. გზ. სამმართველოს მთავარმა მოლარემ—ჩიკვაიძემ გაფლანგა სახაზინო ფული, დაახლოვებით 24.000 მანეთამდე. ჩიკვაიძე დააპატიმრეს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

საყვედურის გამოცხადება

წევის დარგის ბაქოს მე-6 უბნის უფროსმა მოქ. გრიგორიევმა და ბალაჯარის სადგურის უფროსის თანაშემწემ ჯაფაროვმა გამოიჩინეს დაუდევრობა გაფუჭებულ ორთქლმავალების როსტოვის სახელოსნოებში გაგზავნის საქმეში. ზედმეტი მიმოწერით იმდენად გააჭიანურეს საქმე აღნიშნულმა პირებმა, რომ ორთქლმავლების გაგზავნას დააგვიანდა 1 თვე და 20 დღე. ამის გამო. საქმის გამჭიანურებლებს გამოეცხადათ ბრძანებით საყვედური. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე წევის დარგის საორთქლმავალო ნაწილის უფროსის თანაშემწეს მოქ. მინასიანს.

ლოთობის წინააღმდეგ

ა. კ. რკ. გზ. გამგეობამ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია სიმთვრალის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლის წარმოების საჭიროება. ბრძანების მიხედვით მთვრალი მუშა-მოსამსახურეები დაუყონებლივ უნდა იქნენ მოხსნილი სამუშაოიდან. სათანადო აქტის შედგენის შემდეგ, რომელსაც ხელს მოაწერს ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ორი მოწმე.

კულტფონდის განაწილება

ა. კ. რკინის გზელთა პროფკავშირმა დაადგინა განაწილოს უბნებს შორის ყოველთვიური ფონდი შემდეგნაირად: თბილისის უბანს ყოველთვიურად მიეცემა—5.220 მანეთი, ხაშურის უბანს—1488 მან., სამტრედიის უბანს—1403 მან., ბათომის უბანს—634 მან.. ბაქოს უბანს—2793 მან., განჯის უბანს—1950 მან. და ლენინაკანის უბანს—1.892 მან.

ავიაქიმში

მეორე ავიოლატარიის ბილეთები

15 მაისამდე საქართველოში გასაღებულ იქნა მეორე ავიალატარიის 37.0000 ბილეთი 18.500 მანეთის ღირებულებისა.

გასასაღებელი დარჩა ბილეთების უმნიშვნელო ნაწილი.

დარჩენილ ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. თავდაცვა-ავიაქიმში.

ავიაქიმის ჟურნალი

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ორკვირეული საილუსტრაციო საინფორმაციო ჟურნალი.

ჟურნალს სცემს საქ. ავიაქიმი საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან ერთად.

ავიაქიმის რაზმების დათვალიერება

28 მაისს საქ. ავიაქიმი აწყობს თბილისში არსებულ ავიაქიმიურ რაზმების დათვალიერებას.

რაზმელები დათვალიერებაზე გამოვლენ ნიღბებით ჰიდროპულტებით და სხვა საჭირო იარაღით.

ავიაქიმის ახალი კუთხე

თბილისის აღმასკომთან არსებული თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი აწყობს აღმასკომთან ავიაქიმის კუთხეს.

დოღი

ამიერ-კავკასიის დერბი

კვირას, 20 მაისს, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცხენთსაშენის იპოდრომზე გათამაშებული იქნება 1928 წლის სეზონის მთავარი ჯილდო—„ამიერ-კავკასიის დერბი“. ამ ჯილდოს გათამაშებაზე საქართველოს მიწსახკომის მიერ მიწვეულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომები.

ამ მიწვევის საპასუხოთ რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. კუბიაკისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა: „რადგან შესაძლებლობა არა მაქვს პირადად დავესწრო ამიერ-კავკასიის ჯილდოს გათამაშებას, გთხოვთ მიიღოთ ჩემი მხურვალე სალამი. მრწამს, რომ საქართველოს ცხენები ამ დღეს გამოიჩენენ ახალ მიღწევებს საბჭოთა მეცხენეობის დარგში“.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 18 მაისი

პარასკევს, 18 მაისს, [illegible] 870 მეტრიან ტალღაზე [illegible]:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები—საუბარი ქართულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—მოხსენება (გაგრძელება) რუსულ ენაზე.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის შედეგები ამიერ-კავკასიაში—მოხსენება რუსულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—თურქულ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

პიონერების გაზეთი—ისურ ენაზე და ორკესტრისა და გუნდის გამოსვლა.

ცოფი და მის წინააღმდეგ ბრძოლა—მოხსენება თურქულ ენაზე.

საქარ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტის ტრანსლიაცია სახ. კონსერვატორიიდან.

ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 მაისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევრებს:

მედიცინის მუშაკთა სექციიდან: ნინო ესაკია, ანნა ხარაძე, ოდიშარია, ელენე დეკანოზიშვილი, ვერა თუხარელი, ოსანა სტეფანოვა, კამაევასი, ლიუბა დოლაბერიძე, ანნა ლოსაშვილი, მელიტონ ნადარეიშვილი, დავით როზენბერგი, ანასტასია ბელენიკოვა, ელენე რამაზაშვილი, ზინაიდა ტერ-ოგანეზოვა, ანნა სოლენიკოვა, ელენე ფადეევა.

სექციას სჭირდება: ერთი კბილის ექიმი ქ. ფოთის ცენტრალურ ამბულატორიაში, ჯამაგ. 75 მანეთი. მსურველებმა უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. გოგიშვილს.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ილია შიუკაშვილი, არმენაკ ედიგაროვი, გრიგოლ ჩივაძე, გიორგი ოგანეზოვი, ალექსანდრე ბალანჩივაძე, ნიკოლოზ დედუკიძე, არსენ სტეფანიანცი, ვართაპეტ კარაპეტიანი, მნაცაკან ტერ-აკოპოვი, სტეფანე გალდავა, ხაჩიკ მალოიანი, რაჟდენ შუპაშვილი, თედორე ბალაგინი, გრიგოლ სიმონიანცი, დიმიტრი არტაროვი, ხაჩატურ შარვაშვილი, არსენ ვაგრამოვი, ვაგა ხაჩატუროვი, რუბენ ამიროვი, პავლე კელაგინი, გიორგი მაიესიანი, კონსტანტინე მარქაროვი, და აშოტ მიქაელიანი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ვასილ გოგსაძე, ბართლომე ვართანოვი, არშაკ კარაპეტიანი, ახმედ ამირ-ოღლი, ალექსანდრე ადუაშვილი, გიორგი დრეიძე, თადეოზ ალახვერდოვი, ვარლამ კობიძე.

ახალგაზრდათა მეოთხე სექციიდან სთეფიკ გასპაროვი და ნადეჟდა ჩილაძე.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის პოლიტიკურ ფაკულტეტის პარტკოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 18 მაისს, ნაშუადღევს 2 საათზე მოწვეულია ამავე ფაკულტეტის პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრების დასწრება აუცილებელია. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ამხ. დ. ლეჟავა, მეთონიძე, ქილიფთარი და ჯიმშელეიშვილი.

=:=

სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის პარტკოლექტივი იტყობინება, რომ, 19 მაისს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია ამავე ფაკულტეტის უჯრედის გაერთიანებული კრება ახ. ლ. კ. კ. წევრებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

ქ. გობეჯიშვილი, ი. ჯანელიძე, დ. დევიძე, გ. დოხნაძე, ვ. ემნაძე, ყ. ბერიშვილი, ნ. ენუქიძე, ლ. ენუქიძე, ქ. ენუქიძე, ნინა ჯანელიძე, ი. ესაიაშვილი, ნადია იაშვილი, ა. გობეჯიშვილი, ნ. ობოლაძე, ვ. ენუქიძე და პლ. ქელიძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს თავდადებული პარტიული მუშაკის და მებრძოლი კომუნისტის

ამხ. ალექსანდრე ვლად მერის-ძე ნადირაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მეორე საავადმყოფოდან. დაკრძალვის დღე გამოცხადდება. 1(9)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მარიამი, ვასილი, და თამარი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა | წ, 16 მაისს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

დათიკო ვასილის-ძე ჭარბაძე

გამოსვენება ბინიდან (დიმიტრიევის ქ. № 23) 19 მაისს, 3 საათზე. 2393

გულდათუთქულნი ძმები სერგო, ალფესი, კლემენტი და ემენი, დები: პოლისი, კატო და ოლღა, რძლები თებრონე, ანეტა და მარო იმნაძენი, სიძე კირილე ხოფერია, ძმისშვილები, დის-შვილები და სანდრო ხოფერია ვაუწყებთ საზოგადოებას ძვირფასი

ლავრენტი ივანეს ძე იმნაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვის დღეთ დანიშნულია 19 მაისი შაბათი დღის 2 საათ.. ნ. 1115

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანასტასია შვილებით: ტერეზა, მარიამი, ნიკოლოზ და თამარი, ძმები: დავითი და გიგო ცოლოშვილით, სიძე: გიგუცი მაჭავარიანი, ცოლის ძმა მოსე შუნგელია მეუღლე ალექსანდრათი და ცოლისდა მართა ქიქინაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 15 მაისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

თედორე პაპიას ძე ბულეიშვილი

გამოსვენება შაბათს, 19 მაისს, ნაშუადღევს 4 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩა, საკ. სახლი, № 77 დაკრძალვა ოლასკურის სასაფლაოზე. ნ. 1108

სახკინმრეწვის კინოთეატრები

პალასი სოლეი მინიონი	საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება მხატვრული ფილმი **ბოშური სისხლი** რეჟისორი ლევ პუშ ოპერატორები გალპერინი და კალატოზიშვილი მთავარ როლებში—მარია შირაი, კ. მიქაბერიძე, ა. თაყაიშვილი
აპოლო	უცხოეთის ახალი სურათი **დედის გული** ჟერმენ დერმოზის მონაწილეობით
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი **ღამის ექსპრესი** უცხოეთის ნაწარმოები
ოდეონი	უკანასკნელი დღე **გორა** პარასკევიდან გრანდიოზული სურათი ორი მსოფლიო
დარბაზი	ორიგინალური კომედია ოხლოპკოვის მონაწ. **მიტია**
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო რომანი 4 სერიათ **მკვლელის დაღი** 3 და 4 სერია ერთად

ზემელი: მალე ორი ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკეტერი. 0—13

დღეს და ყოველდღე პალასში, სოლეიში, მინიონში, აპოლოში პროგრამის გარდა **ხანძარი ქუთაისში** 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე ნ. 1113

დუგლას ფერბენკსი, ადოლფ მენჟუ, ბარბარა ლა მარ მალე ეკრანზე კინო თეატრ **პალასში** საუკეთესო სურათი **?** ნ. 1112

თბილისის ბირჟის კომიტეტთან არსებული **კოლექტივთა გამაერთიანებელი სამმართველო** ამით აცხადებს, რომ ყოფილი კოლექტივი „ელდორრეპუტი“-ს გამგე ამხ. მარდლეიშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან და მისი ხელმოწერა როგორც „ელდორრეპუტი“-ს გამგე შემდეგისათვის უძალოა. 2392 კოლექტივთა გაერთიანებული სამმართველო.

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი** ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობა, ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიღარიბისთა ავადმყოფების მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა № 48 (ყოფ. ჰერქენშეილის) ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი **ჯალალოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მოსამართ ქამის ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ კვირას, 20 მაისს, 10 საათზე, სასახლის ქ. № 3, საქფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება შემდეგი ნივთები: ბუფეტები, გარდერობები, მაგიდები, ხალიჩები, სარკეები და სხვა მრავალი საშინაო ნივთები ნ. 1110

მუშკოოპის ყველა რწმუნებულ-ქალების სადუქნე და კოოპერატიული კომისიის კოოპ-ორგანიზატორ ქალების **საყურადღებოდ** შაბათს, 19. მაისს, საღ. 6 საათზე, მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში (კირკის ქ. № 7) მოწვეულია მუშკოოპის წევრებ-ქალების **აქტივის კონფერენცია** დღის წესრიგი: ქალის ამოცანები სამომხმარებლო კოოპერაციაში (მომხსენებელი ამხ. ა. ერისთავი). ნ. 1114 საორგანიზაციო განყოფილება.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდ—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ვერიანას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩადრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დაკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 120 და წითელ ჯვრის საწევრო წიგნაკი № 2496 ექიმ ოსკარ ილარიონის-ძე კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2394

ბორჯომის კონტრაგენტს **დავით ტრიფონის-ძე ლომსაძეს** წინადადება ეძლევა ერთი კვირის განმავლობაში გაასწოროს გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორასთან ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები. 2—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

საქართველოს ფინსახკომისარიატი აცხადებს, რომ ქალ. ტფილისის მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე უბნების პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარია **გადატანილია** დიდი—ვანქის ქ. № 6. ნ. 1116 საადმინ.-საორგანიზაციო სამმართველო.

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **პ. ბ. ერისთავი**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 26 მაისს, 1928 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება სოფ. ქუთირეთში, (ცხუნკური თემში, მოქალ. არსენ დავითის-ძე ნიხლიძის ერთი მეშვიდედი ქონება სახლდობრ: 1) ერთი ხის სამზარეულო, ყავრით დახურული, 2) ერთი ბეღელი ხის, ცინკით დახურული, 3) ერთი სასიმინდე ქვის ბოძებზე დგმული, ყავრით დახურული, 4) ორი საწნახელი ხუთ-ხუთ საპალნიანი, 5) ერთი სასადილო გასაშლი მაგიდა, 6) ხუთი დედა თხა, 7) ექვსი თიკანი, 8) ერთი საკერავი მანქანა „ზინგერის“ სისტემისა, 9) ერთი ჭინგირი, 10) ერთი ჭური ღვინო მოთავსებული ორ საპალნიან ჭურში, 11) ქალის წინჭილი, 12) ერთი ოდა-ხის სახლი ორ სართულიანი, სამი განყოფილებით, ძირს პალოტით, ცინკით დახურული, 13) ორი ხის საწოლი აღნიშნული ქონება შეფასებულია 550 მანეთად და იყიდება ნინა ხელიძის და მისი ობლების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა დასავლეთ საქ. ოლქის სასამ. ოქტომბრის თვის 1927 წ. № 21164. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან. ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს. 2396

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი** პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი **ა. დ. კეკელია** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პრო. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 52—1 ტელ. 12—76

თვალის საავადმყოფო მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები: **ა. ნ. ვათილოვი** საოპერაციო დღეებში **ა. ბ. მალიევი** დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 4123—მარგალიტა დადიანის სახელზე, ჩ. გ. 2395

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 625/706 ნიდარა გრიგოლის-ძე ვაშაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1109

დაკარგა: „ზაკტპის“ წიგნაკი № 3270 გაცემული ქუთაისის „ზაკტპოდან“ ალექსანდრე დიმიტრის-ძე ბაბუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1109

დაკარგა: მკვებავთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 356 ბესარიონ სახნოს-ძე ჭკადუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1109

დაკარგა: საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 11507 აბრამ გოგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 41 გიორგი თოდუას სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: პირადობის მოწმობა № 806 ამბროსი მიქაიას სახელზე, ჩათ. გაუქ. 2388

დაკარგა: მეტრიკული მოწმობა № 583 დავით ქუქულიას სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 370 ეკტო წალამშვილის სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4—№ 409 ნესტორ ვეაძაძის სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 6142 პარასკევა თოდუას სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 85 სამსონ ასათიანის სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 319 კონსტანტინე ვაბუნაიას სახელზე, ჩ. გ. 2388

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 9173 ელიზბარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 238

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 10229—სიმონ ბენდიანიშვილის სახელზე ჩ. გ. 238

დაკარგა: საბუღალტრო კურსების დამთავრების მოწმობა № 341 მოცემული მე-2 სახ. საბჭ. კურ. გამგის მიერ—დავით ირაკლის-ძე დავითაიას სახელზე, ჩ. გ. 239

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68